

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სადოქტორო პროგრამა: ტრანსლაციური და კლინიკური მედიცინა
მიმართულება: პალიატიური და ტკივილის მედიცინა
დოქტორანტი: მარიამ ველიჯანაშვილი
სადოქტორო ნაშრომი:

სიცოცხლის მიწურულს აღქმებისა და დამოკიდებულებების
გათვალისწინების აუცილებლობა მოხუცთა პალიატიური მზრუნველობის
მოდელის შემუშავებისას

სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი: პროფ. დ. კორძაია

სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელები: პროფ. დ. კორძაია; პროფ. ს. დალაქიშვილი



უნივერსიტეტის
გამოცემლობა

თბილისი, 2016 წ.

სიცოცხლის მიწურულს აღქმებისა და დამოკიდებულებების გათვალისწინების აუცილებლობა მოხუცთა პალიატიური მზრუნველობის მოდელის შემუშავებისას

შესავალი

პალიატიური მზრუნველობა – აქტიური მრავალპროფილური მზრუნველობაა, რომლის უპირველესი ამოცანაა ტკივილისა და სხვა პათოლოგიური სიმპტომების მოხსნა, ავადმყოფთა სოციალური, ფსიქოლოგიური, სულიერი მხარდაჭერა.


იგი ვრცელდება იმ ავადმყოფებზე, რომელთა დაავადება მკურნალობას აღარ ექვემდებარება; პალიატიური მზრუნველობა ერთადერთი გზაა ასეთი ავადმყოფებისა და მათი ოჯახების ცხოვრების უკეთესი ხარისხის მიღწევისათვის (<http://www.who.int/cancer/palliative/definition/en/>).

ტერმინი “პალიატიური” წარმოიშვა ლათინური სიტყვისგან “Pallium”, რაც ნიშნავს “ნიღაბს”, “საფარველს”. პალიატიური მზრუნველობის არსია – შენიღბოს, დაფაროს ანუ შეამსუბუქოს განუკურნებელი დაავადებები (<http://www.mywhatevery.com/cifwriter/content/22/4472.html>).

ნებისმიერი ქვეყნის მოსახლეობა, ჯანმრთელობის მდგომარეობის მიხედვით, შეიძლება დაიყოს 3 ძირითად ჯგუფად: 1) ჯანმრთელებად, 2) პოტენციურად განკურნებად ავადმყოფებად და 3) ქრონიკულ, ინკურაბელურ ავადმყოფებად. შესაბამისად, ქვეყნის ჯანდაცვის სისტემასაც შესაბამისად, უნდა გააჩნდეს სამი ძირითადი მიმართულება (სურათი 1):

- პრევენციული მიმართულება, რომლის მიზანია დაავადებათა თავიდან აცილება;
- სამკურნალო მიმართულება, რომლის მიზანია ავადმყოფის გამოჯანმრთელება და რეაბილიტაცია

- პალიატიური მიმართულება, რომლის მიზანია პაციენტის სიცოცხლის ხარისხის მაქსიმალურად შესაძლებელი დონის უზრუნველყოფა.




სურათი 1: ჯანდაცვის სისტემის პროგრამები ქვეყნის მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებისათვის

ქვეყნის ჯანდაცვის სისტემა სრულყოფილად ვერ ჩაითვლება, თუ მას რომელიმე ამ მიმართულებათაგანი არ გააჩნია, ვინაიდან, ასეთ შემთხვევაში მოსახლეობის გარკვეული ნაწილი სამედიცინო მომსახურების გარეშე რჩება (Kordzaia, 2011). მე-20 საუკუნის ბოლომდე პალიატიური მზრუნველობა განიხილებოდა მხოლოდ როგორც ისეთი ონკოლოგიური პაციენტებისათვის საჭირო სისტემა, რომელთათვისაც უკვე უკუნაჩვენები იყო აქტიური მკურნალობის მეთოდები. მეოცე საუკუნის მიწურულიდან ეს მიდგომა იცვლება და ჯანმოს აღიარებით პალიატიური მზრუნველობა უნდა ჩაერთოს ყველა ქრონიკული მოპროგრესე დაავადების მართვაში (მათ შორის, შიდსის, ტუბერკულოზის, ნევროლოგიური დაავადებების და მდგომარეობების და მისთ.) (Graham F. et al, 2008).

იმავე ჯანმოს აღიარებით, პალიატიური მზრუნველობის სისტემაში ცალკე მიმართულებად უნდა იქნას გამოყოფილი ბავშვთა პალიატიური მზრუნველობა და მოხუცთა პალიატიური მზრუნველობა.

ყოველივე ზემოთთქმულის გათვალისწინებით, პალიატიური მზრუნველობის სისტემის სტრუქტურის სქემა შეიძლება შემდეგი სახით იქნას წარმოდგენილი (სურათი 2):



სურათი 2: პალიატიური მზრუნველობის სტრუქტურის სქემა

უკურნებელი, მაგრამ ხშირად სიცოცხლესთან თავსებადი სენით შეპყრობილი ბავშვის მზრუნველობისას, პალიატიური მზრუნველობის მოზრდილთათვის აპრობირებული სტანდარტების გარდა, გათვალისწინებული უნდა იქნას მისი მზარდი კოგნიტური მოთხოვნილება, თამაშის სურვილი, განათლების მიცემის აუცილებლობა და სხვა (Klick JC et al., 2010; Zernikow B et al., 2009; Himmelstein BP et al., 2004).

მიჩნეულია, რომ სხვადასხვა ქვეყნებში დანერგილი ბავშვთა პალიატიური მზრუნველობის მოდელები მეტ-ნაკლებად მსგავსია. ისინი ითვალისწინებს ბავშვის ასაკისა და ფიზიკურ-მენტალური შესაძლებლობების ცვლილებებს და ეფუძნება ექიმთა, ექთანთა, ფსიქოლოგთა, პედაგოგთა და მშობელთა ერთობლივ, კოორდინირებულ მუშაობას.

აღსანიშნავია, რომ რიგ ქვეყნებში, სადაც პალიატიური მზრუნველობის სისტემა კარგად არის განვითარებული და სრულად არის ინტეგრირებული ქვეყნის ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სისტემებში, ის მოიცავს სპეციფიურ მიმართულებასაც, რომელიც გულისხმობს ბავშვის გარდაცვალების შემთხვევაში მისი მშობლების საზოგადოებაში რეინტეგრაციის ხელშეწყობას (Davies B. et al., 2010; As a Process G. Grief and Bereavement in Pediatric Palliative Care, 2015).

განსხვავებული თავისებურებებით ხასიათდება პალიატიური მზრუნველობა მოხუცთათვის. იმის გამო, რომ ის ეხება სხვადასხვა ქვეყანაში ამ ქვეყნის ტრადიციებით და წესებით, რწმენითა და მსოფლმხედველობით ხანგრძლივად მცხოვრებ ადამიანებს, სხვადასხვა ქვეყნის მოხუცთა პალიატიური მზრუნველობის მოდელები მეტად განსხვავდება ერთმანეთისგან (Bentur N. et al., 2012; Blinderman CD et al., 2005; Sapir R et al., 1999).

ამასთანავე, პრინციპულად გასათვალისწინებელია, რომ პალიატიური მზრუნველობა მოხუცთათვის, მათი სამედიცინო მდგომარეობიდან გამომდინარე მოიცავს ორ განსხვავებულ მიდგომას:

1. პალიატიური მზრუნველობა მოხუცთათვის დაავადების შორსწასული სტადიით (მაგ. მოხუცი პაციენტი პაციენტი კიბოს / ინსულტის / შაქრიანი დიაბეტის და ა.შ. ბოლო სტადიაზე)

2. პალიატიური მზრუნველობა „პრაქტიკულად ჯანმრთელი“ მოხუცებისათვის, რომელთაც მხოლოდ აღენიშნებათ ასაკთან დაკავშირებული პრობლემები.

პირველ შემთხვევაში პალიატიური მზრუნველობის სტრატეგია განისაზღვრება ზოგადი პალიატიური მზრუნველობის პრინციპებით, კლინიკური დიაგნოზის და ასაკობრივი ფაქტორების გათვალისწინებით.

მეორე შემთხვევაში, როდესაც საქმე ეხება პალიატიური მზრუნველობის დაგეგმვას და განხორციელებას „პრაქტიკულად ჯანმრთელი“ მოხუცებისთვის, წარმოიშვება შესაბამისი სპეციფიკური ცოდნის დეფიციტით, ორგანიზაციულ და მეთოდურ საკითხებთან დაკავშირებული პრობლემებით განპირობებული სირთულეები. მოხუცი პაციენტების „პალიატიური მზრუნველობისას“ ვერ ხდება გერიატრიული სპეციფიკის გათვალისწინება.

საქართველოში დღემდე არ არსებობს პალიატიური მზრუნველობა კონკრეტულად ასეთი კონტინგენტისთვის.

ამგვარი მოდელის არარსებობას აქვს რამოდენიმე მიზეზი:

1. გერიატრია, როგორც სპეციალობა (სუბსპეციალობა) არ არის კარგად განვითარებული. დღეს ის არ შედის ქვეყნის საექიმო სპეციალობათა და სუბსპეციალობათა ჩამონათვალში, არ ფიგურირებს სამედიცინო პროფილის უნივერსიტეტთა კურიკულუმში

(http://www.moh.gov.ge/index.php?sec_id=258&lang_id=GEO).

2. აქამდე არ ყოფილა ჩატარებული კვლევები სპეციფიურად მოხუცთა ასაკში პალიატიური მზრუნველობის დაგეგმვის და განხორციელების თვალსაზრისით. არ ყოფილა იდენტიფიცირებული, თუ რა განსხვავებაა პალიატიური მზრუნველობის მიდგომებს შორის მოხუცთა ასაკისა და ახალგაზრდა/საშუალო ასაკის პაციენტებში - სამედიცინო, ფსიქოლოგიური და სოციალური ასპექტების მხრივ.

მოხუცები, ისევე, როგორც ნებისმიერი ასაკის ადამიანები, ცხადია, შეიძლება შეპყრობილნი იყვნენ ქრონიკული მოპროგრესე (უკუზღებელი) დაავადებებით. მეტიც, მოხუცთა ასაკში ასეთი დაავადებები უფრო ხშირია და უფრო მძიმედაც მიმდინარეობს (კიბო, შაქრიანი დიაბეტი, ათეროსკლეროზი, ინსულტი, გულის, თირკმლის, ღვიძლის უკმარისობა, ნერვ-კუნთოვანი და შემაერთებული ქსოვილის პათოლოგიები და ა.შ.). ასეთ ვითარებაში, აღნიშნულ დაავადებათა/პათოლოგიათა

სიმპტომების მართვისას გათვალისწინებული უნდა იქნას მოხუცთა გაზრდილი სენსიტიურობა სამკურნალწამლო საშუალებათა თუ სხვადასხვა ფიზიკურ/ფიზიოლოგიურ ინტერვენციათა მიმართ (Hilmer SN et al., 2009; Hohl CM et al., 2001; Lees J t al., 2011). ამ თავისებურების გათვალისწინებლობამ, შესაძლებელია დამატებითი პრობლემები შექმნას წამლის (ან მისი დოზით) გადაუტანლობის და/ან გვერდითი მოვლენების განვითარების გამო.

ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ „პრაქტიკულად ჯანმრთელ“ მოხუცებსაც აღნიშნებათ ამა-თუ-იმ ხარისხით გამოხატული ე.წ. სიბერესთან (ასაკთან) შეჭიდული ისეთი პათოლოგიები და მდგომარეობები, როგორიცაა საღეჭი აპარატის დეფექტურობით/დეფიციტურობით გამოწვეული კვების მოშლა და მისი გართულებები, მოძრაობის/გადაადგილების უნარის შეზღუდვა, მხედველობის, მენტალური (დემენციური, კოგნიტური), საჭმლის მონელებისა და საშარდე სისტემის პრობლემები და სხვ. (Zarit SH, Zarit JM, 2012; Thomas E et al., 2004; Mannoni A et al., 2003; Leveille SG et al., 2002).

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოხუცთა პალიატიური მზრუნველობა უნდა უზრუნველყოფდეს ყველა აღნიშნული პრობლემის ადეკვატურ მართვას.

სხვადასხვა ქვეყნების მოხუცთა პალიატიური მზრუნველობის მოდელების კრიტიკულად გაანალიზებამ დაგვარწმუნა, რომ ასეთი ეროვნული მოდელის შემუშავებისას მეტად უნდა იყოს გათვალისწინებული თავად ხანდაზმული მოსახლეობის მოთხოვნილებები და საჭიროებები სიცოცხლის ბოლო ეტაპზე (Heyland DK et al., 2006; Detering KM et al., 2010; Zweibel NR, Cassel CK, 1989). გასათვალისწინებელია ისიც, რომ ამ კონტინგენტის მოთხოვნილებები და პალიატიური მზრუნველობისადმი დამოკიდებულებები მნიშვნელოვანწილად განისაზღვრება დარჩენილი სიცოცხლის შეზღუდული ხანგრძლივობის გაცნობიერებითაც (Zweibel NR et al., 1989; Brumley R et al., 2007; Detering KM et al., 2010).

ქრონიკულ მოპროგრესე დაავადებათა ტერმინალური სტადიით შეპყრობილ მოხუცთა მკურნალობისა და მზრუნველობის საბჭოთა პერიოდის ტრადიცია -

სიცოცხლის ბოლომდე მკურნალობის არშეწყვეტა - ეფუძნებოდა სიკვდილის, როგორც გარდაუვალის აღიარებისა და მისთვის მზადების ხელშეწყობის საჭიროების მიუღებლობას. ხშირად ისეც ხდებოდა, რომ მკურნალობას შედეგის ნაცვლად ახალი პრობლემები მოჰქონდა (სამედიცინო და ფინანსური). ამის მიუხედავად, ზემოაღნიშნული ტრადიციის გამო, ერთი მხრივ, და არასაკმარისი კომპეტენციის გამო, მეორე მხრივ, ექიმებს უჭირდათ პასუხისმგებლობის აღება გადაწყვეტილებაზე, რომ უსარგებლო მკურნალობა პალიატიური მზრუნველობით ჩაენაცვლოს.

ადეკვატური გადაწყვეტილებების მიღებას ართულებს ისიც, რომ ხშირად, ხანდაზმულ პაციენტებთან კონტაქტი გაძნელებულია (ან შეუძლებელია) მათი მენტალური პრობლემების გამო (უგონო მდგომარეობაში ყოფნა, ასაკობრივი დემენცია, დელირიუმი და მისთ.) და ექიმებს კომუნიკაცია უწევთ პაციენტების ახლობლებთან (ოჯახის წევრებთან), როგორც სუროგატულ „გადაწყვეტილებების მიმღებებთან“ (Chikhladze N et al., 2016; Datta SS et al., 2016). აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ „ბოლომდე მკურნალობის“ და „სიკვდილის, როგორც სიცოცხლის ბუნებრივი გაგრძელების მიუღებლობის“ დამკვიდრებული ტრადიცია, პაციენტის ოჯახის წევრებსაც უშლის ხელს ადეკვატური მოთხოვნების ჩამოყალიბებასა და გადაწყვეტილებების მიღებაში.

ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე, მიზანშეწონილია, მკურნალობა/მზრუნველობის მიმართ ხანდაზმული ინკურაბელური პაციენტების მოთხოვნებისა და დამოკიდებულებების გამოკვლევა და სისტემატიზაცია იმ მიზნით, რომ ეს მოთხოვნები და დამოკიდებულებები გათვალისწინებულ იქნას მაშინაც კი, როდესაც პაციენტს, თავისი მდგომარეობის გამო საკუთარი აზრის მოწოდება არ შეუძლია.

ამასთანავე, იმის გათვალისწინებით, რომ ხანდაზმულ და მოპროგრესე განუკურნელი ქრონიკული დაავადებით შეპყრობილ პაციენტთა ოჯახის წევრებს ხშირად უწევთ „სუროგატული“ გადაწყვეტილებების მიღება პაციენტთა ნაცვლად, ასევე მიზანშეწონილია მკურნალობა/მზრუნველობის მიმართ მათი მოთხოვნებისა და დამოკიდებულებების გამოკვლევა და სისტემატიზაცია.

ხელმისაწვდომი ლიტერატურის მიმოხილვა უჩვენებს, რომ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში არ განხორციელებულა არც სიცოცხლის შეზღუდული ხანგრძლივობის გამაცნობიერებელ ხანდაზმულ პირთა და არც მათი ოჯახის წევრთა აღქმებისა და დამოკიდებულებების გამოკვლევა. ამდენად, პარადოქსულია, მაგრამ ფაქტია, რომ ქრონიკული უკურნებელი დაავადების ტერმინალური სტადიით შეპყრობილ პაციენტებისათვის სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლები “ფართოდ” ითვალისწინებენ საკუთარ და “მცირედ” – ამ მომსახურების მომხმარებელთა აღქმას, დამოკიდებულებასა და მოთხოვნებს მკურნალობა/პალიატიური მზრუნველობის მიმართ.

უკანასკნელი წლების მანძილზე საქართველოში “ადამიანთა უფლებების” და, შესაბამისად, „პაციენტთა უფლებების“ პრობლემის აქტუალიზაციამ, მათ შორის „ცუდი“ დაგნოზისა და პროგნოზის არა მარტო გამხელის, არამედ განსჯისა და პაციენტთა სურვილების (ნების) გათვალისწინების აუცილებლობამ, დღის წესრიგში დააყენა ხანდაზმულ პაციენტთა მოთხოვნებისა და დამოკიდებულებების გამოკვლევა მათთვის მზრუნველობის პროცესის სწორად დაგეგმვისათვის.

საზოგადოდ, პალიატიური მზრუნველობა მულტიპროფილურია, მოიცავს სამედიცინო, სოციალურ, ფსიქოლოგიურ, რელიგიურ, ეკონომიკურ, იურიდიულ მდგენელებს. მოხუცებულთა მზრუნველობის ორგანიზებისას ამ მდგენელთა ნაწილი კიდევ უფრო გააქტუალურებულია: მაგალითად, სოციალური დახმარება (მოხუცებში მატულობს სოციალური შემწეობის აუცილებლობა), იურიდიული მომსახურება (მოხუცებში აქტუალური ხდება სხვადასხვა იურიდიული საკითხების სასწრაფოდ მოგვარება, მათ შორის, ვთქვათ, მემკვიდრეობის გადაცემის საკითხები და მისთანანი). ამდენად, მოხუცთა პალიატიური მზრუნველობის მოდელი, წმინდა სამედიცინო და ფსიქოლოგიური დახმარების გარდა, უნდა ითვალისწინებდეს ამ პრობლემათა მოგვარებასაც.

2009 წელს, ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ალ. ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტის გერონტოლოგიისა და პალიატიური მზრუნველობის დეპარტამენტის ინიციატივით მოეწყო 24 ექსპერტის შეხვედრა.

ექსპერტები წარმოადგენდნენ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა დეპარტამენტებს, საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტს, საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციას, პალიატიური მზრუნველობის საქართველოს ეროვნულ ასოციაციას, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ, ეკონომიკისა და ბიზნესის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა (სოციოლოგიის მიმართულება) და მედიცინის ფაკულტეტებს, ალ. ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტის გერონტოლოგიისა და პალიატიური მედიცინის დეპარტამენტს, პალიატიური მზრუნველობის საერთაშორისო ექსპერტებს. შეკრების ამოცანას წარმოადგენდა იმ პრობლემების იდენტიფიკაცია, რომელთა გათვალისწინებაც აუცილებელია საქართველოში მოხუცთა პალიატიური მზრუნველობის მოდელის შექმნისათვის.

შეხვედრაზე სულ გამოიკვეთა 41 საკითხი (პრობლემა). მათგან ვორქშოფის მონაწილეთა 60%-ზე მეტის ის მხარდაჭერა ჰპოვა 7-მა საკითხმა (პრობლემამ), რომელთა გათვალისწინებაც ჩაითვალა აუცილებლობად (მიზანშეწონილად). ესენია:

- 1) ქვეყანაში მოხუცთა და ხანდაზმულთა გადანაწილების შესწავლა რეგიონების მიხედვით;
- 2) საქართველოში მოხუცთა და ხანდაზმულთა დაავადების სტრუქტურის გამოკვლევა;
- 3) მოხუცთა და ხანდაზმულთა სამედიცინო მომსახურების დროს გამოყენებულ ძირითად სამკურნალწამლო საშუალებათა ეფექტურობის გამოკვლევა;
- 4) მოხუცთა და ხანდაზმულთა ეკონომიკური პრობლემების იდენტიფიკაცია;
- 5) მოხუცთა და ხანდაზმულთა სამედიცინო და სოციალური დაზღვევის პაკეტების ეფექტურობის კვლევა;
- 6) მოხუცთა და ხანდაზმულთა საჭიროებათა იურიდიული უზრუნველყოფის შესაძლებლობათა გამოკვლევა;

7) მოხუცთა და ხანდაზმულთა, აგრეთვე მათი ოჯახის წევრთა აზრის კვლევა იმის თაობაზე, თუ რას უნდა ითვალისწინებდეს აუცილებლად მოხუცთა პალიატიური მზრუნველობის მომსახურება.

ამასთანავე, მსჯელობის დროს გამოიკვეთა, რომ მოხუცთა პალიატიური მზრუნველობის მოდელის შემუშავებისას აუცილებლად გასათვალისწინებელია, რომ:

- საქართველოში ხანდაზმული პირები შეადგენენ ქვეყნის მოსახლეობის თითქმის 25%-ს (სტატისტიკის ეროვნული ცენტრის მონაცემები, 2009 წ.)
- ხანდაზმული პირები ქმნიან ქრონიკული და ინკურაბელური დაავადებებით შეპყრობილთა ძირითად კონტინგენტს (67-70%) (დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის მონაცემები (2005-2009 წწ.);
- ხანდაზმულთა მიმართ მზრუნველობა ტრადიციულად წარმოადგენს საზოგადოების ვალდებულებას, ოჯახის და მთლიანად ერის ღირსების საქმეს (გაერთიანებული ერების დეკლარაცია).

აღნიშნული პრობლემები დაედო საფუძვლად ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ალ. ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტის გერონტოლოგიისა და პალიატიური მზრუნველობის დეპარტამენტის კომპლექსურ, მულტიფოკუსურ კვლევით პროგრამას, რომელიც დაიწყო 2010 წელს და დღემდე გრძელდება.

წარმოდგენილი ნაშრომი წარმოადგენს ამ პროგრამის შემადგენელ ნაწილს, რომელიც ფოკუსირებულია ზემოთ მოცემული ჩამონათვალის მე-2, მე-3 და მე-7 პუნქტებზე.

ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენს საქართველოში მოხუცთა პალიატიური მზრუნველობის ადეკვატური მოდელის შექმნისათვის დასაბუთებული რეკომენდაციების შემუშავება **შემდეგი ამოცანების გადაწყვეტის გზით:**

1. საქართველოში მოხუცთა (ხანდაზმულთა) იმ ქრონიკული დაავადებების იდენტიფიკაცია, რომლებიც ყველაზე ხშირად იწვევს პალიატიური მზრუნველობის

საჭიროებას, ერთი მხრივ, და რომელთა ფარმაცოთერაპიაც საჭიროებს „გერიატრიულ კორექციას“ მეორე მხრივ.

2. მოპროგრესე განუკურნელი ქრონიკული დაავადებით შეპყრობილ ხანდაზმულ პაციენტთა მკურნალობა/მზრუნველობის მიმართ ამ პაციენტთა ოჯახის წევრების მოთხოვნებისა და დამოკიდებულებების გამოკვლევა და სისტემატიზაცია.

3. სიცოცხლის ლიმიტირებული ხანგრძლივობის გამაცნობიერებელ ისეთი ”ჯანმრთელი” ხანდაზმული (85 წლისა და მეტი ასაკის) პირების ცხოვრების მიწურულის მოთხოვნილებებისა და დამოკიდებულებების გამოკვლევა და სისტემატიზაცია, რომელთა მენტალური მდგომარეობაც ადეკვატურია.

დასაცავად გამოსატანი დებულებები

- გულ-სისხლძარღვთა, ნევროლოგიური და ძვალ-კუნთოვანი სისტემის დაავადებების, ასევე სიმსივნეების შორსწასულ სტადიების სტანდარტული მედიკამენტური მკურნალობა მნიშვნელოვნად ნაკლებეფექტურია მოხუცთა და ხანდაზმულთა ასაკში რაც დამატებით არგუმენტს წარმოადგენს მკურნალობაში პალიატიური მზრუნველობის ადრეული ინტეგრაციისათვის;

- როგორც ხანდაზმულთა მხრივ, ისე მათი ოჯახის წევრების მხრივ, მკურნალობით/პალიატიური მზრუნველობით კმაყოფილების ხარისხი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული იმის აღქმაზე, თუ ეს მკურნალობა/მზრუნველობა რამდენად ხორციელდება პაციენტის პიროვნული პატივისცემის ნიშნით.

მეცნიერული სიახლე

- სიმსივნური დაავადებების მქონე ავადმყოფთა საერთო რაოდენობა მატულობს ყველა ასაკობრივ ჯგუფში. ამასთანავე, სიმსივნით ავადმყოფ ხანდაზმულთა რაოდენობა ჩამორჩება საშუალო ასაკის ასეთსავე ავადმყოფთა რაოდენობას, თუმცა, 5-ჯერ აჭარბებს სიმსივნით დაავადებულ ახალგაზრდების რიცხვს. ხანდაზმულთა ხვედრითი წილი ყველაზე მაღალია გულ-სისხლძარღვთა,

შარდ-სასქესო, სასუნთქი, თვალის და ენდოკრინული სისტემის დაავადებების მქონე ავადმყოფებს შორის (აღნიშნული დაავადებები შეადგენს ქრონიკული პათოლოგიების 89.3 %-ს), რაც გათვალისწინებული უნდა იქნას მოხუცთა პალიატიური მზრუნველობის მოდელის შექმნისას.

- 80 წელს გადაცილებულ იმ ხანდაზმულთა მოთხოვნილებების იერარქიაში, რომლებიც აცნობიერებენ დარჩენილი სიცოცხლის ხანგრძლივობის ლიმიტურობას, მაგრამ ინარჩუნებენ სოციალურ აქტივობას, ცალსახად სჭარბობს სოციალური ურთიერთობის, სიყვარულისა და პატივისცემის მოთხოვნილება.

- სამედიცინო პალიატიური მზრუნველობით მოხუცი პაციენტების ოჯახის წევრთა კმაყოფილების დონე არ განისაზღვრება მხოლოდ გაწეული სამედიცინო მომსახურების შედეგით. ის მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული იმის აღქმაზე, თუ რამდენად ხორციელდება ეს მომსახურება ადეკვატური კომუნიკაციის თანხლებით, რაც ადასტურებს პაციენტისა და მისი ოჯახის წევრებისადმი მედიკოსთა პიროვნულ პატივისცემას.

პრაქტიკული რეკომენდაციები

- საქართველოში ხანდაზმული ასაკის მოსახლეობის სრულფასოვანი სამედიცინო მომსახურების მიზნით, სამედიცინო განათლების ყველა დონეზე აუცილებელია ზოგადი გერონტოლოგიისა და გერიატრიის სასწავლო პროგრამის დანერგვა, რაც ხელს შეუწყობს საქართველოში მცხოვრებ უფროსი ასაკის მოსახლეობაში არა მარტო დაავადებათა პრევენციის და კვალიფიცირებული სამედიცინო მომსახურების სისტემის ჩამოყალიბებას, არამედ იქნება მოხუცთა პალიატიური მზრუნველობის ადეკვატური მოდელის ჩამოყალიბების მნიშვნელოვანი ხელშემწყობი ფაქტორი.

- მოხუცთა პალიატიური მზრუნველობის მიმწოდებელმა მედიკოსებმა აუცილებელია გაიარონ პალიატიური მზრუნველობის საბაზისო კურსი, რომელიც, სიმპტომთა კონტროლის გარდა მოიცავს სამედიცინო ეთიკასა და კომუნიკაციის ხელოვნებას, იმის მიუხედავად, რომ მოქმედი კანონმდებლობით,

არასტაციონარული პალიატიური მზრუნველობის მომწოდებლებს, ასეთი განათლება არ მოეთხოვებათ.

- მოხუცთა პალიატიური მზრუნველობის მოდელი უნდა ითვალისწინებდეს პაციენტებთან სრულფასოვანი კომუნიკაციის და მათი აღქმებისა და დამოკიდებულებების გაზიარებასა და პატივისცემას.

აპრობაცია:

დისერტაციის ფრაგმენტები მოხსენებულია:

- 2012 წლის ივნისში ევროპის პალიატიური მზრუნველობის ასოციაციის VII სამეცნიერო კონგრესზე (ტრონდჰეიმი, ნორვეგია);
- 2013 წლის ივნისში ევროპის პალიატიური მზრუნველობის ასოციაციის მე-13 მსოფლიო კონგრესზე (პრაღა, ჩეხეთი);
- 2014 წლის თსუ ივ. ჯავახიშვილის ფორუმზე;
- 2014 წლის ივნისში ევროპის პალიატიური მზრუნველობის ასოციაციის VIII სამეცნიერო კონგრესზე (ლიედა, ესპანეთი);
- 2015 წლის ნოემბერში ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარებულ პალიატიური მედიცინის პირველ საერთაშორისო სიმპოზიუმზე - „For Integration of Healthcare and University Components of Palliative Care - Medical Services, Education and Research“;

დისერტაციის თემაზე გამოქვეყნებული ნაშრომები:

- Geriatric Palliative Care Models Based on the Perceptions of - And Attitudes toward End-of-Life Needs and Demands of Target Population. Kordzaia D., Rukhadze T., Velijanashvili M., Amirejibi D., Durglishvili N., Labadze T., Palliative Medicine 2012, 26(4):657
- Onyeka, T. C., M. Velijanashvili, S. G. Abdissa, F. A. Manase, and D. Kordzaia. "Twenty-first century palliative care: a tale of four nations." *European journal of cancer care* 22, no. 5 (2013): 597-604;

- Perceptions of- and Attitudes towards End-of-Life Needs and Demands of Elders over 80 Years Continuing Intellectual Work in Georgia. *Chikhladze N., Velijanashvili M., Kordzaia D.* 8th World Research Congress of the European Association for Palliative Care, Abstract: A-615-0011-00756
- Velijanashvili M., Dalakishvili S., Kordzaia D. Analysis of Morbidity Proves the Necessity of Palliative Care in Elders. *European Journal of Palliative Care, Special Issue (13th World Congress of the European Association for Palliative Care, Prague, Czech Republic, 30 May – 2 June), 2013, p. 138);*
- Chikhladze, N., Janberidze, E., Velijanashvili, M., Chkhartishvili, N., Jintcharadze, M., Verne, J., & Kordzaia, D. (2016). Mismatch between physicians and family members views on communications about patients with chronic incurable diseases receiving care in critical and intensive care settings in Georgia: a quantitative observational survey. *BMC Palliative Care, 15*, 63. <http://doi.org/10.1186/s12904-016-0135-2>);

ლიტერატურის მიმოხილვა

პალიატიური მზრუნველობის არსი

ჯანმოს განმარტება (WHO)

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის განმარტებით, „პალიატიური მზრუნველობა არის მიდგომა, რომელიც აუშჯობესებს იმ პაციენტებისა და მათი ოჯახების სიცოცხლის ხარისხს, რომლებიც დგანან სიცოცხლისათვის საშიში დაავადებებისა და მათთან ასოცირებული პრობლემების წინაშე, ეს კი ხდება ტანჯვის პრევენციისა და შემსუბუქების გზით, ტკივილისა და სხვა პრობლემების ადრეული იდენტიფიკაციის, შეფასების და მართვის, ფიზიკური, ფსიქოსოციალური და სულიერი თანადგომის მეშვეობით.

პალიატიური მზრუნველობა:

- უზრუნველყოფს ტკივილისა და სხვა შემაწუხებელი სიმპტომების შემსუბუქებას/მოხსნას
- აუშჯობესებს სიცოცხლეს და მიიჩნევს სიკვდილს, როგორც ნორმალურ პროცესს
- არ ისახავს მიზნად სიკვდილის დაჩქარებას ან პირიქით, გადავადებას
- აერთიანებს პაციენტის მოვლის ფსიქოლოგიურ და სულიერ ასპექტებს
- პაციენტებს სთავაზობს თანადგომის სისტემას, რის მეშვეობითაც მათ შეუძლიათ რაც შეიძლება აქტიურად იცხოვრონ სიკვდილის დადგომამდე
- პაციენტის ოჯახს სთავაზობს მხარდაჭერის სისტემას, რომელიც ეხმარება მათ გადაიტანონ პაციენტის ავადმყოფობის და მისი გარდაცვალების შემდგომი გლოვის პერიოდი

- იყენებს გუნდური მიდგომის პრინციპს, რათა ყურადღება მიქცეული იქნას პაციენტებისა და მათი ოჯახების საჭიროებებზე, რაშიც ასევე შედის გლოვის პერიოდის კონსულტაცია, თუ ამის საჭიროება არსებობს
- აუმჯობესებს სიცოცხლის ხარისხს და ასევე შესაძლოა დადებითი გავლენა მოახდინოს დაავადების მიმდინარეობაზე
- შესაძლოა მისი დაწყება დაავადების ადრეულ ეტაპზე, სხვა თერაპიებთან კომპლექსში, რომლებიც ითვალისწინებენ სიცოცხლის გახანგრძლივებას, როგორცაა მაგ. ქიმიოთერაპია ან რადიოთერაპია, ასევე მოიცავს იმ გამოკვლევებს, რომლებიც საჭიროა შემაწუხებელი კლინიკური გართულებების უკეთესი შემცნებისა და მართვისთვის.“ (<http://www.who.int/cancer/palliative/definition/en/>).

პალიატიური მზრუნველობის ევროპის ასოციაციის (EAPC) განმარტება

ევროპის პალიატიური მზრუნველობის ასოციაციის (EAPC) განმარტებით, „პალიატიური მზრუნველობა არის იმ პაციენტების აქტიური, ყოვლისმომცველი მოვლა, რომელთა დაავადება აღარ ექვემდებარება განკურნებას. მასში უდიდესი წვლილი მიუძღვის ტკივილისა და სხვა სიმპტომების, სოციალური, ფსიქოლოგიური და სულიერი პრობლემების მართვას.

პალიატიური მზრუნველობა არის ინტერდისციპლინური მიდგომა და თავის არეალში მოიცავს პაციენტს, მის ოჯახს და მთლიანად საზოგადოებას. არსებითად, პალიატიური მზრუნველობის ვალია უზრუნველყოს მოვლა მისი ბაზისური კონცეფციით - რომელიც მთლიანად ფარავს პაციენტის საჭიროებებს იმის მიუხედავად, სახლში ხდება მოვლა თუ ჰოსპიტალში.

პალიატიური მზრუნველობა აუმჯობესებს სიცოცხლეს და მიიჩნევს სიკვდილს როგორც ნორმალურ პროცესს; იგი არ ახდენს გარდაცვალების დაჩქარებას ან გადავადებას. მისი დანიშნულებაა სიცოცხლის შემდგომი დაგვარად მაღალი ხარისხის

შენარჩუნება

გარდაცვალებამდე“

(www.eapcnet.eu/corporate/abouttheeapc/definitionandaims.aspx).

პალიატიური მზრუნველობის განმარტება საქართველოს კანონებში

საქართველოს კანონმდებლობაში, კერძოდ, კანონებში „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ და „პაციენტის უფლებების შესახებ“ პალიატიური მზრუნველობა შემდეგნაირად არის განმარტებული:

„აქტიური, მრავალპროფილური მზრუნველობა, რომლის უპირველესი ამოცანაა ტკივილისა და სხვა პათოლოგიური სიმპტომების მოხსნა, ავადმყოფთა სოციალური და ფსიქოლოგიური დახმარება, სულიერი თანადგომა. იგი ვრცელდება იმ პაციენტებზე, რომელთა დაავადება მკურნალობას აღარ ექვემდებარება; ასეთი მზრუნველობით შესაძლებელია ავადმყოფისა და მათი ოჯახების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება“

(http://www.tbilisi.gov.ge/img/original/2015/7/20/73321791774patsientis_uflebebis_shesakheb_sakartvelos_kanoni.pdf).

პალიატიურ მზრუნველობაზე მოთხოვნა (საჭიროება) და მასზე ხელმისაწვდომობა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში (ჯანმოს 2015 წლის მონაცემებით)

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის 2015 წლის ივლისის მონაცემებით (Fact sheet N°402, July 2015) (<http://www.who.int/mediacentre/factsheets/fs402/en/>):

- ყოველწლიურად, დაახლოებით 40 მილიონი ადამიანი საჭიროებს პალიატიურ მზრუნველობას მსოფლიოში, მათგან 78% ცხოვრობს დაბალი ან საშუალო შემოსავლის ქვეყნებში.
- მსოფლიოს მასშტაბით ამჟამად, პალიატიური მზრუნველობის საჭიროების მქონე ადამიანების მხოლოდ დაახლოებით 14% იღებს მას.
- მორფინსა და პალიატიური მზრუნველობისთვის საჭირო სხვა ესენციურ კონტროლირებად მედიკამენტებზე დაწესებული ზედმეტად მკაცრი რეგულაციები ხელს უშლის ტკივილის ადეკვატური მართვის და პალიატიური მზრუნველობის სათანადო განხორციელებას.

- ტრენინგისა და განათლების ნაკლებობა პალიატიური მზრუნველობის დარგში ჯანდაცვის პროფესიონალებს შორის წარმოადგენს მზრუნველობისადმი ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების უმთავრეს ბარიერს.

- პალიატიურ მზრუნველობაზე გლობალური მოთხოვნა მომავალში მხოლოდ გაიზრდება, რაც გამოწვეულია არა-გადამდები დაავადებების სიხშირის და მოხუცებული ასაკის მოსახლეობის ზრდის ტემპით.

- ადრეულად დაწყებული პალიატიური მზრუნველობა ამცირებს არასაჭირო ჰოსპიტალიზაციების სიხშირეს და ჯანდაცვის რესურსების ხარჯვას.

პალიატიური მზრუნველობა პირდაპირ მოიაზრება ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის სფეროში ადამიანის უფლებად. მისი მიწოდება უნდა ხდებოდეს პიროვნებაზე ორიენტირებული და ინტეგრირებული ჯანდაცვის სერვისების გზით, რომელიც სპეციალურად ამხვილებს ყურადღებას ინდივიდის სპეციფიურ საჭიროებებსა და არჩევანზე (<http://www.who.int/mediacentre/factsheets/fs402/en/>).

პალიატიური მზრუნველობა მრავალი დაავადების მიმდინარეობისას ხდება საჭირო. მოზრდილი ადამიანების უმრავლესობას, რომლებიც საჭიროებენ ამ მზრუნველობას, აქვთ ქრონიკული დაავადებები, მაგ. გულ-სისხლძარღვთა (38.5%) და სასუნთქი სისტემების (10.3%), შიდა (5.7%) და დიაბეტი (4.6%). პალიატიურ მზრუნველობას საჭიროებს ასევე თირკმლის უკმარისობა, ღვიძლის ქრონიკული დაავადებები, გაფანტული სკლეროზი, პარკინსონის დაავადება, რევმატოიდული ართრიტი, ნერვ-კუნთოვანი დაავადებები, დემენცია, მედიკამენტ-რეზისტენტული ტუბერკულოზი და თანდაყოლილი ანომალიები

პალიატიური პაციენტების ერთ-ერთი ყველაზე ხშირი და სერიოზული სიმპტომია ტკივილი. შორსწასული პროგრესირებადი დაავადებებთან ასოცირებული ტკივილის მართვისთვის აუცილებელია ოპიოიდური ტკივილგამაყუჩებლები. მაგ., შიდასით ან კიბოთი დაავადებული პაციენტების 80%-ს და გულსისხლძარღვთა ან ფილტვის ქრონიკული ობსტრუქციული დაავადებით პაციენტების 67% განიცდის საშუალოდან მწვავე ხარისხამდე ტკივილის, სიცოცხლის ბოლო ეტაპზე (Seya MJ et al., 2011).

ოპიოიდები ასევე ამსუბუქებს ისეთ დისტრესულ ფიზიკურ სიმპტომს, როგორიცაა სუნთქვის უკმარისობა. ასეთი სიმპტომების კონტროლი დაავადების ადრეული სტადიაზე წარმოადგენს ექიმის ეთიკურ მოვალეობას, რათა უზრუნველყოფილი იქნა ტანჯვის შემცირება და ადამიანების ღირსების პატივისცემა (Seya MJ et al., 2011).

პალიატიურ მზრუნველობაზე არასაკმარისი ხელმისაწვდომობა

როგორც ზემოთ აღინიშნა, ყოველ წელს დაახლოებით 40 მილიონი ადამიანი საჭიროებს პალიატიურ მზრუნველობას, ამათგან 78% ცხოვრობს დაბალი ან საშუალო შემოსავლის ქვეყნებში. მსოფლიოს მასშტაბით, მთელი რიგი მნიშვნელოვანი ბარიერების გადალახვაა საჭირო, რათა მოხდეს პალიატიური მზრუნველობის „ღიად დარჩენილი“ საკითხების დაკმაყოფილება:

- ჯანდაცვის ეროვნული პოლიტიკა და სისტემები ხშირად არ- ან არასრულად შეიცავს პალიატიური მზრუნველობის კომპონენტს
- პალიატიურ მზრუნველობაში ჯანდაცვის პროფესიონალთა ტრენინგი ხშირად შეზღუდულია ან საერთოდ არ არსებობს
- მოსახლეობის ხელმისაწვდომობა ოპიოიდებით ტკვილის გაყუჩებაზე არასაკმარისია ან არასათანადო და ვერ შეესაბამება საერთაშორისო კონვენციებს ესენციური მედიკამენტების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით (Seya MJ et al., 2011).

2011 წელს ჩატარებულ კვლევაში (Lynch T et al., 2013), რომელშიც 234 ქვეყანა / რეგიონი მონაწილეობდა, აღმოჩნდა, რომ პალიატიური მზრუნველობა კარგად ინტეგრირებული იყო მხოლოდ 20 ქვეყანაში, ხოლო 42%-ს საერთოდ არ ჰქონდა არანაირი პალიატიური მზრუნველობის სერვისები (<http://www.who.int/mediacentre/factsheets/fs402/en/>)

2010 წელს, ნარკოტიკების კონტროლის საერთაშორისო საბჭომ გამოავლინა, რომ ტკივილის გაყუჩებისთვის ოპიოიდების მოხმარების დონე დაახლოებით 121 ქვეყანაში იყო „არაადექვატური“ ან „ძლიერ არაადექვატური“ (არ შეესაბამებოდა ბაზისურ სამედიცინო საჭიროებებს) (Seya MJ et al., 2011). 2011 წელს დადგინდა, რომ

მსოფლიო მოსახლეობის 83% ცხოვრობს ისეთ ქვეყნებში, რომელთაც საერთოდ არა აქვთ ან აქვთ დაბალი ხელმისაწვდომობა ოპიოიდებით ტკივილის გაყუჩებაზე (Seya MJ et al., 2011). სამწუხაროდ, საქართველოც ამ ქვეყნების სიაშია.

პალიატიური მზრუნველობის სხვა ბარიერები მოიცავს:

- პოლიტიკოსებს, ჯანდაცვის პროფესიონალებსა და საერთოდ საზოგადოებაში არსებული არასაკმარისი განათლება პალიატიური მზრუნველობის რაობის და მისი სარგებელის შესახებ პაციენტებისა და ჯანდაცვის სისტემებისთვის
- კულტურული და სოციალური ბარიერები, როგორიცაა სიკვდილისა და გარდაცვალების შესახებ გავრცელებული რწმენები
- პალიატიური მზრუნველობის არასწორი გაგება, როგორიცაა მაგ. რომ ის განკუთვნილია მხოლოდ კიბოთი დაავადებული პაციენტებისთვის, ან მხოლოდ სიცოცხლის ბოლო კვირების განმავლობაში
- არასწორი მოსაზრებები, მაგ. ის რომ ოპიოიდებით ტკივილგაყუჩებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა გამოიწვევს გაზრდილ წამალდამოკიდებულებას. (Ling W et al., 2011)

აღსანიშნავია, რომ პალიატიური მზრუნველობა ყველაზე მეტად ეფექტურია, როცა იგი იწყება ქრონიკული ინკურაბელური დაავადების მიმდინარეობის ადრეულ სტადიაზე. ადრეული პალიატიური მზრუნველობა არა მხოლოდ აუმჯობესებს პაციენტების სიცოცხლის ხარისხს, არამედ ასევე ამცირებს არასაჭირო ჰოსპიტალიზაციების რიცხვს და ჯანდაცვის სერვისების უყარათო ხარჯვას (Ouslander JG, Berenson RA, 2011).

2014 წელს, პალიატიური მზრუნველობის შესახებ პირველი გლობალური რეზოლუციის თანახმად (<http://apps.who.int/medicinedocs/documents/s21454en/s21454en.pdf>), გაკეთდა მოწოდება ჯანმოსა და მისი წევრი სახელმწიფოების მიმართ, რათა მომხდარიყო პალიატიური მზრუნველობის, როგორც ჯანდაცვის სისტემების მთავარი კომპონენტის მიმართ ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება, ამასთანავე, ხაზი გაესვა პირველადი ჯანდაცვის რგოლსა და ადგილობრივ / სახლში მოვლის

სამედიცინო სერვისების განვითარების აუცილებლობას. მოხუცთა პალიატიური მზრუნველობა წარმოადგენს ასეთი სერვისების აუცილებელ კომპონენტს.

ამდენად, მოხუცთა პალიატიური მზრუნველობა არ შეიძლება განხილულ იქნას ჯანდაცვის სისტემის ცალკე ან დამატებით კომპონენტად, რომელიც ასოცირებული იქნება დამატებით დანახარჯებთან მთავრობის და/ან სადაზღვევო კომპანიების მხრიდან. როგორც ზემოთ აღინიშნა, პალიატიური მზრუნველობის ბენეფიციართა რიცხვი საკმაოდ დიდია და მათი თითქმის 80% ცხოვრობს დაბალი და საშუალო შემოსავლის ქვეყნებში (რომელთა შორის არის საქართველოც). ამასთან, პალიატიური მზრუნველობის საჭიროების მეორე კონტინგენტში საკმაოდ მაღალია ქრონიკული დაავადებების (არა-კიბოს) დიაგნოზი, რაც ხშირ შემთხვევაში თან ახლავს მოხუცებულთა ასაკს (გულის უკმარისობა, შაქრიანი დიაბეტი, თირკმლის უკმარისობა, ძვალ-სახსროვანი პათოლოგიები, ნერვული სისტემის დაავადებები და სხვა). ამ კონტინგენტზე მზრუნველობა წარმოადგენს სახელმწიფოს და ჯანდაცვის სისტემის პირდაპირ მოვალეობას, რაც უფრო ხელსაყრელია (როგორც ფინანსურად ასევე ორგანიზაციულად) ხორციელდებოდეს პირველადი ჯანდაცვის რგოლის და ადგილობრივი / სახლში მოვლის სერვისების გზით. ამ უკანასკნელთა განვითარებას და მათი პროცესში ჩართვის აუცილებლობას ხაზს უსვამს 2014 წელს მიღებული პალიატიური მზრუნველობის შესახებ პირველი გლობალური რეზოლუცია (<http://apps.who.int/medicinedocs/documents/s21454en/s21454en.pdf>), რომლის თანახმადაც მოხუცთა პალიატიური მზრუნველობა მოიაზრება ამ სერვისების აუცილებელ კომპონენტად.

მოხუცთა პალიატიური მზრუნველობა

დემოგრაფიული დაბერება და მისი მაჩვენებლები სხვადასხვა ქვეყნებში

დემოგრაფიული დაბერება გლობალური მოვლენაა, რომელიც შეეხო მსოფლიოს ყველა ქვეყანას. ამ პროცესმა მიიღო უპრეცედენტო მასშტაბი, რომელსაც არ მოეძიება ანალოგი კაცობრიობის განვითარების ისტორიაში. მოსახლეობის დაბერება ხანგრძლივი პროცესია და ხანდაზმულ ადამიანთა (60

წლისა და მეტის) რაოდენობის ზრდით ხასიათდება, მაშინ როცა ბავშვთა (15 წლამდე ასაკისა) და შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის (15-დან 59 წლამდე) ხვდრითი წილი მცირდება (Stolnitz GJ, 1992; Peterson PG, 1998; Kowaleski JT, 2011).

ედვარდ როსეტის კლასიფიკაციით სიბერის ქვემო ზღვრად (დასაწყისად) 60 წელია მიჩნეული. ითვლება, რომ ქვეყნები, რომლებშიც 60 წლისა და უფროსი ასაკის პირთა წილი მთელ მოსახლეობაში 8%-ზე ნაკლებს შეადგენს, დემოგრაფიულად “ახალგაზრდაა”. სადაც ამ ასაკის პირთა ჯგუფის წილი 8 - დან 12 %-მდე მერყეობს “დაბერების წინარე” პერიოდში იმყოფება; ხოლო ქვეყნებს 12%-ზე მეტი მაჩვენებლით ახასიათებენ როგორც დემოგრაფიულად “დაბერებულს”.

ეს უკანასკნელი ჯგუფი თავის მხრივ იყოფა:

- “სიბერის საწყისი სტადია” – 12 – 14 %
- “სიბერის საშუალო სტადია” – 14 – 16 %
- “სიბერის განვითარებული დონე” – 16 - 18 %
- “სიბერის ძალზე მაღალი დონე” – 18 % და მეტი (Rosset E, 2013;

Cowgill DO, 1974).

გაეროს დემოგრაფიის განყოფილების ექსპერტებმა 1959 წელს დაბერების პროცესთა შეფასების ზღვრულ ასაკად 65 წელი მიიჩნიეს და შემოგვთავაზეს მოსახლეობის დემოგრაფიული ასაკის განმსაზღვრელი სამი დონე:

- 4%-მდე – ახალგაზრდა მოსახლეობა
- 4-დან 7%-მდე – ზრდასრული მოსახლეობა
- 7%-ზე მეტი – მოხუცი მოსახლეობა (Peterson PG. Gray dawn,

1999; Nyce SA et al., 2005).

მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერების ტენდენცია პირველად საფრანგეთში აღინიშნა. 1870 წელს საფრანგეთი დემოგრაფიული დაბერების ზღურბლს (12%) გასცდა, ოდნავ მოგვიანებით, 1901 წელს დემოგრაფიული დაბერების ზღურბლს შვედეთმა გადააბიჯა, 1931 წელს – დიდმა ბრიტანეთმა, 1937 წელს – გერმანიამ. მოსახლეობის დაბერების პროცესი განსაკუთრებით

ინტენსიურია დასავლეთ ევროპაში, იაპონიასა და აშშ-ში. აზიის, აფრიკის და ლათინური ამერიკის განვითარებად ქვეყნებში მაღალი შობადობის შედეგად, მოსახლეობა – ახალგაზრდაა, ამ ქვეყნებში ხანდაზმული ადამიანების წილი 5 - 6 %-ს არ აღემატება (Anderson GF, Hussey PS., 2000; Christensen K et al., 2009).

2007 წელს მსოფლიოს ხანდაზმული მოსახლეობის რიცხვი 705 მილ. შეადგენდა. 2050 წელს იგი 2 მილიარდს მიაღწევს. 5-ჯერ გაიზრდება 80 წლისა და უფროსი მოსახლეობის რიცხვი (იყო 94 მილ., იქნება 470 მილ.), გაიზრდება 100 წლისა და უფროსი ასაკის ადამიანთა რაოდენობაც (იყო 140 ათასი, ნავარაუდევია 2,2 მილ.) (Kowal P et al., 2012).

გაეროს ექსპერტთა შეფასებით 2050 წელს განვითარებულ ქვეყნებში ხანდაზმული მოსახლეობის რიცხვი შეადგენს 30%-ს, ხოლო განვითარებად ქვეყნებში 20%-ს. სადღეისოდ მსოფლიო მოსახლეობის შემადგენლობაში 60 წლისა და მეტი ასაკის ადამიანთა რიცხვი მერყეობს 1,7 %-დან (არაბთა გაერთიანებული ემირატები) 27,9 %-მდე (იაპონია) (Sanderson W, Scherbov S., 2008).

1990 წლიდან საქართველოში მოსახლეობის საერთო რაოდენობა შემცირდა და იყო 5 424, 4 ათასი, 2007 წელს შეადგენდა 4 394, 7 ათასს. 2014 წლის აღრიცხვის თანახმად, ქვეყანაში დაფიქსირდა 4 490.5 ადამიანი. ნავარაუდებია, რომ საქართველოს მოსახლეობა ხოლო 2050 წლისთვის კიდევ უფრო შემცირდება და გახდება 3 164,2 ათასი ადამიანი (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, http://www.geostat.ge/?action=page&p_id=151&lang=geo).

2007 წელს საქართველოში ხანდაზმული მოსახლეობა 19,6%-ს შეადგენდა, ხოლო 2050 წელს ეს მაჩვენებელი 30 %-იან ზღვარს მიაღწევს (საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემები).

მოსახლეობის დაბერების პროცესს აუცილებლად უნდა მიეცეს დადებითი ან უარყოფითი შეფასება (Baltes MM et al., 1996).

დადებითია პროცესი იმ შემთხვევაში, როდესაც მოსახლეობის დაბერება მიმდინარეობს სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ზრდის შედეგად, ხოლო

მოსახლეობის აღწარმოების ყველა პარამეტრი: შობადობა, მოკვდაობა, ბუნებრივი მატება დაბალანსებულია.

უარყოფითი შეფასება უნდა მიეცეს მოსახლეობის დაბერების იმ დემოგრაფიულ მაჩვენებლებს, როდესაც დაბერების პროცესი განპირობებულია ხანშიშესული და მოხუცი მოსახლეობის ხვედრითი წილის ზრდით მთლიან მოსახლეობაში და დარღვეულია მოსახლეობის აღწარმოების პარამეტრები. სამწუხაროდ, საქართველოში დემოგრაფიული ძვრები ამ მიმართულებით მიმდინარეობს. შემცირებულია სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა, შობადობა, ბუნებრივი მატება, მაღალია მიგრაციისა და მოკვდაობის მაჩვენებლები.

მრავალ ქვეყანაში 60 წლის და მასზე უფროსი ასაკის მოსახლეობის რიცხვი უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე სხვა ასაკობრივი ჯგუფები (Just JM et al, 2010).

ტრადიციულად, მოხუცებულობის კატეგორიას განეკუთვნებოდა 65 წლის და ზემოთ ასაკის ინდივიდები, თუმცა ამ განმარტების წარმომავლობა უცნობია. ასე, მაგალითად, იაპონიაში ჩატარებული კვლევის შედეგად, რომელიც ეფუძნებოდა ასაკოვანი კონტინგენტის ემპირიულ, კლინიკურ და პათოლოგიურ მონაცემებს, გამოითქვა ვარაუდი, რომ ტერმინი „მოხუცებული“ გამოყენებული უნდა იქნას 75 წლის და მეტი ასაკის ინდივიდებისთვის (Orimo H et al., 2006).

თანამედროვე გერონტოლოგია რთული, კომპლექსური საბუნებისმეტყველო მეცნიერებაა დაბერების შესახებ, რომელიც გარდა ბიოლოგიური ასპექტებისა მოიცავს დემოგრაფიის, მედიცინის, სოციოლოგიის, ეკონომიკის, ჰიგიენისა და ფსიქოლოგიის განხრებს. გერონტოლოგიის ძირითადი მიზანია – ადამიანს მისცეს შესაძლებლობა იცოცხლოს ფიზიოლოგიურ სიბერემდე. ამავე დროს, პიროვნებას მაქსიმალურად შეუნარჩუნოს საზოგადოებრივი და სოციალური აქტივობა, შრომისუნარიანობა სურვილი და, რაც მთავარია, განცდა – იყოს საზოგადოებისათვის სასარგებლო (Von Faber M et al., 2001).

ამასთანავე, მოსახლეობის დაბერება – რთული პროცესია, რომელიც დიდ გავლენას ახდენს ადამიანთა ცხოვრების ყველა სფეროზე. ეკონომიკური

თვალსაზრისით მოსახლეობის დაბერება აისახება ეკონომიკურ მდგომარეობაზე, დანაზოგებზე, ინვესტიციებსა და მოხმარებაზე, შრომის ბაზარზე, პენსიებზე, გადასახადთა დაკისრებასა და თაობათა შორის ტრანსფერებზე, ოჯახის შემადგენლობაზე და ცხოვრების პირობებზე, საბინაო მოთხოვნილებაზე, მიგრაციის ტენდენციებზე, ეპიდემიოლოგიურ და სამედიცინო მომსახურებაზე. პოლიტიკურ სფეროში – შეუძლია გავლენა იქონიოს არჩევნების შედეგებზე (Magnus G., 2012).

ხანდაზმულებთან ურთიერთობა სამოქალაქო საზოგადოებაში სოციალური კეთილდღეობის შეფასების ერთ-ერთ მნიშვნელოვან კრიტერიუმს წარმოადგენს. თუნდაც იმიტომ, რომ საზოგადოება ვალდებულია დაუბრუნოს ხანდაზმულს ის, რაც მისგან კრედიტის სახით მიიღო შრომისუნარიან ასაკში, მაშინ როდესაც ისინი გაცილებით მეტს ქმნიდნენ, ვიდრე ამჟამად მოიხმარენ.

2002 წლის აპრილში ესპანეთში მიღებულ იქნა მადრიდის საერთაშორისო მოქმედების გეგმა და პოლიტიკური დეკლარაცია დაბერების პრობლემების შესახებ. იგი საერთაშორისო საზოგადოებისათვის იქცა შემობრუნების პუნქტად, ყველა ასაკის პირთაგან შემდგარი საზოგადოების აშენების აუცილებლობის შესახებ - ”პრინციპით – ერთიანი საზოგადოება, საერთო პრობლემები” (Sidorenko A, Walker A., 2004).

მადრიდის საერთაშორისო მოქმედების გეგმა ფოკუსირდება სამი ძირითადი პრიორიტეტული მიმართულებით:

- ხანდაზმული ადამიანები და საზოგადოების განვითარება
- ხანდაზმული ადამიანების ჯანმრთელობის და კეთილდღეობის

განმტკიცება

- მათთვის ცხოვრების მოხერხებული და სასურველი გარემოს შექმნა

ეს თითოეული ქვეყნის აღმასრულებელი ხელისუფლებისგან მოითხოვს მოსახლეობის სოციალური დაცვის ახალი პოლიტიკის და სისტემის შექმნის აუცილებლობას.

გერიატრიული სამსახური ჯანდაცვის სისტემაში და მისი მნიშვნელობა

ყურადღებას იმსახურებს ის ფაქტი, რომ ხანდაზმული ასაკის მოსახლეობის ზრდის ტემპი პირდაპირ პროპორციულია მოსახლეობაში ქრონიკულად მიმდინარე დაავადებათა რიცხვის ზრდასთან. საზოგადოებაში ყალიბდება ავადმყოფთა და უძლურთა სოლიდური ჯგუფი, რომლებიც საჭიროებენ არა მარტო სამედიცინო მომსახურებას, არამედ სოციალურ და ფსიქოლოგიურ თანადგომასაც (Nyce SA, Schieber SJ, 2005).

პალიატიური მზრუნველობის ფუნქციონირების სტანდარტული სისტემა არ არსებობს, ამდენად სხვადასხვა ქვეყნებში ეს სამსახური დამოუკიდებელი გეგმით ვითარდება და ეფუძნება იმ მოთხოვნების დაკმაყოფილებას რომელიც დგება პიროვნების, ოჯახის, საზოგადოების და ქვეყნის წინაშე.

მიუხედავად აღნიშნულისა, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციის შესაბამისად ამ დარგის ფუნქციების მრავალფეროვნება შეიძლება გავყოთ ორ ძირითად ჯგუფად:

- პალიატიური მზრუნველობა ბინაზე
- პალიატიური მზრუნველობა სტაციონარში

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ უფროსი ასაკის პირებს უქვეითდებათ თვითმომსახურების უნარი. განსაკუთრებით ისეთი დაავადებების დროს როგორცაა: საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის, გულ-სისხლძარღვთა და ნერვული სისტემის დაავადებები, დიაბეტი, მხედველობა და სმენის დარღვევები.

გაერთიანებული ერების გენერალური ანსამბლეს 37-ე სესიამ შეიმუშავა მოქმედების პროგრამა, რომელიც გარდა სამედიცინო მომსახურების აღმოჩენისა ორიენტირებული უნდა იყოს, რომ ხანდაზმულებს აღმოუჩინოს ეკონომიკური, სოციალური და ფსიქოლოგიური თანადგომა, რათა არ მოხდეს მათი იზოლირება ოჯახის და საზოგადოებისაგან (Weber G, Wolfmayr F., 2006). საზოგადოება ვალდებულია ხანდაზმულებს დაუბრუნოს ის კრედიტი, რომელიც მათ შრომისუნარიანობის წლებში გასცეს. ეს კი ბევრად მეტია ვიდრე ისინი საჭიროებენ დღეს.

უფროსი ასაკის მოსახლეობის სრულყოფილი სამკურნალო და პრევენციული სამსახურის სისტემის შექმნის დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს, არა მარტო სტაციონალურ მომსახურებას, არამედ ხანდაზმულთა სამედიცინო-სოციალური მომსახურებით უზრუნველყოფას ბინაზე. აღნიშნული განპირობებულია ორი ძირითადი მიზეზით, პირველი ეს არის ამ კონტინგენტის მზარდი მოთხოვნა ამბულატორიულ-პოლიკლინიკურ მომსახურებაზე, მეორე – ხანდაზმულ პაციენტთა უმეტესობას სურს დარჩეს ოჯახში, ნათესავებთან, ახლობლებთან, იმ გარემოში სადაც ისინი იმყოფებიან. მათ მზრუნველობაში აქტიურად უნდა იქნას ჩართული ოჯახის, სოციალური მუშაკის და სხვადასხვა პროფილის ექიმი-გერიატრები (თერაპევტი, ოფთალმოლოგი, ქირურგი, ნევროლოგი, ენდოკრინოლოგი და ა.შ) (Kemper P., 1992; Norgard TM, Rodgers WL., 1997).

მოხუცთა პალიატიური მზრუნველობის ზოგიერთი მოდელი

იმისათვის, რომ შემუშავებულიყო ერთიანი სისტემური მიდგომა (whole-system approach), ჯანმომ შეიმუშავა სამი კოლაბორაციული ცენტრი პალიატიური მზრუნველობისთვის:

- ჯანმოს პალიატიური მზრუნველობის კოლაბორაციული ცენტრი ოქსფორდში, დიდი ბრიტანეთი (Sir Michael Sobell House Hospice - <http://www.sobellhospiceoxford.org>)
- ჯანმოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის პალიატიური მზრუნველობის კოლაბორაციული ცენტრი ბარსელონაში, ესპანეთი (Barcelona, Institut Catala d'Oncologia, 2010 - http://www.iconcologia.net/index_eng.htm)
- ჯანმოს პალიატიური მზრუნველობის და მოხუცთა მზრუნველობის კოლაბორაციული ცენტრი ლონდონში, დიდი ბრიტანეთი - Department of Palliative Care, Policy and Rehabilitation, King's College London, 2010 (<http://www.kcl.ac.uk/palliative>).

სიცოცხლის მიწურულს მზრუნველობის სტრატეგია ინგლისში

ჯანდაცვის ეროვნული სერვისი (NHS – National Health Service) გაერთიანებულ სამეფოში მოქმედებს ჯანდაცვის დეპარტამენტის ცენტრალური მენეჯმენტის დაქვემდებარებით. პალიატიური მზრუნველობის დაფინანსება ხდება ჯანდაცვის ეროვნული სერვისის და მოხალისეთა სექტორის ფინანსური რესურსების კომბინაციით. მოვლის უწყვეტობის პრინციპი წარმოადგენს სიცოცხლის მიწურულს მზრუნველობის სტრატეგიის წამყვან მახასიათებელს (End of Life Care Strategy: promoting high quality care for all adults at the end of life. London, Department of Health, 2008.). სერვისები მიეწოდება ყველას, მიუხედავად მათი დიაგნოზისა და მოვლის სექტორისა. პალიატიური მზრუნველობის სტრატეგიაში გამოყოფილი თემები ეფუძნება მოხალისე ჰოსპისების კვლევების მტკიცებულებით მონაცემებს (Gysels M. et al., 2004), NHS -ის სიცოცხლის მიწურულის მოვლის პროგრამას (2004-2007), მარია კიურის კიბოს მოვლის არჩევით პროგრამას (End of life care: better patient outcomes, genuine patient choice. London, Marie Curie Delivering Choice Programme, 2009 (http://deliveringchoice.mariecurie.org.uk/NRrdonlyres/8D53D050-A160-475F-9DA6-344ED6ADD9AF/0/Feb09_DCPoverview.pdf) და ფართომასშტაბიან კონსულტაციების პრაქტიკას. ესენია:

- სიცოცხლის ბოლო ეტაპზე მოვლის პროფილის გაფართოება (თხოვლობს სიცოცხლის ბოლო ეტაპთან დაკავშირებული საკითხების გაღრმავებულ ცოდნას);
- ყველა პროვაიდერ ორგანიზაციის და იმის შეფასება, თუ როგორ მოქმედებს სერვისების დაგეგმილი ცვლილებები მათ ხარისხზე;
- სიცოცხლის ბოლო ეტაპს მიახლოებული კონტინგენტის გამოვლენა;
- მოვლის დაგეგმვა: ყველა იმ ადამიანის საჭიროებების შეფასება, რომლებიც უახლოვდებიან სიცოცხლის მიწურულს, მათი სურვილებისა და არჩევანის განხილვა და შეთანხმებული ქმედებების შეტანა/რეგისტრაცია მოვლის გეგმაში;
- მოვლის კოორდინაცია, გეოგრაფიული თავისებურების გათვალისწინებით;

- პალიატიური მზრუნველობის სწრაფი და პერმანენტული ხელმისაწვდომობა - 24 საათის მანძილზე, კვირაში 7 დღის განმავლობაში;
 - მაღალ-ხარისხიანი სერვისების მიწოდება ყველა სექტორში - ჰოსპიტლებში, საზოგადოებრივი მოვლის სექტორში, მზრუნველობის სახლებში, მოხუცთა თავშესაფრებში, სასწრაფო დახმარების სისტემაში;
 - პალიატიური მზრუნველობა სიცოცხლის ბოლო დღეებში და გარდაცვალების შემდეგ;
 - მომვლელთა ჩართვა და მხარდაჭერა, ოჯახის წევრების (მათ შორის - ბავშვებისაც), ახლო მეგობრების და მომვლელების ჩათვლით (რეკომენდებულია მათი აქტიური ჩართულობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში და მათი სრულყოფილი ინფორმირება საჭიროების მიხედვით);
 - შესაბამისი სწავლება/ინფორმირება და ტრენინგი პალიატიური მზრუნველობის პროცესში (სისტემაში) ჩართული ყველა პირისათვის;
 - შეფასება და კვლევა (პროცესის მონიტორინგი და შედეგების ანალიზი);
- აღსანიშნავია, რომ მოხუცთა პალიატიურ მზრუნველობაზე, დიდ ბრიტანეთში 2009-2010 წლებში მთავრობის მიერ დაიხარჯა 88 მილიონი ფუნტი სტერლინგი, ხოლო 2010-2011 წლებში - 198 მილიონი ფუნტი სტერლინგი (Palliative care, policy and rehabilitation. London, Department of Palliative Care, Policy and Rehabilitation, King's College London, 2010 (<http://www.kcl.ac.uk/palliative>)).

პალიატიური მზრუნველობის კატალონიის მოდელი

კატალონიის გააჩნია ავტონომიური გადაწყვეტილების მიღების უნარი ჯანდაცვის დაფინანსების, დაგეგმვის და იმპლემენტაციის მხრივ, რომელიც ხელმისაწვდომია და უფასო კატალონიის ყველა მოქალაქისთვის. ჯანდაცვის სერვისების მიწოდება ხდება საჯარო და არაკომერციული ორგანიზაციების სექტორის კომბინაციით. კატალონიის პალიატიური მზრუნველობის ჯანმოს სადემონსტრაციო პროექტი მიზნად ისახავს სპეციალიზებული პალიატიური

მზრუნველობის სერვისების განხორციელებას რეგიონში და იგი წარმოადგენს სამაგალითო მოდელს სხვა ქვეყნებისთვის. ეს პროგრამა ეფუძნება იმ პრინციპს, რომ ხარისხიანი პალიატიური მზრუნველობა ყველა ადამიანის უფლებაა, როგორც ჯანდაცვით უზრუნველყოფის სისტემის განუყოფელი ნაწილი. მთავარი ფოკუსი კეთდება ამბულატორიულ (community care) და სახლში მოვლაზე, სერვისები კი ხელმისაწვდომია ყველა ადამიანისთვის, მიუხედავად მათი დაავადებისა (როგორც კიბო ასევე არა-სიმსივნური პათოლოგიები) (Gomez-Batiste X et al. 1994):

ეს პროექტი მოიცავს

- ყველა ჯანდაცვის პროფესიონალის ტრენინგს პალიატიურ მზრუნველობაში;
- საბაზისო პალიატიური მზრუნველობის ინტეგრაციას კონვენციურ ჯანდაცვის სერვისებში;
- სპეციალიზებული პალიატიური მზრუნველობის სერვისების იმპლემენტაციას მთელი ჯანდაცვის სისტემის მასშტაბით;
- ოპიოიდური ანალგეტიკების მიწოდების მაკონტროლებელი კანონმდებლობის დროდადრო გადახედვას;
- პროფესიული სტანდარტების შემუშავებას;
- მონიტორინგისა და შეფასების სტრატეგიის შემუშავებას.

10 წლის მანძილზე, კატალონიის პროექტის განხორციელებამ შედეგად მოიტანა პალიატიური მზრუნველობის სერვისების, მხარდაჭერის (მზრუნველობის) გუნდების და მორფინის მოხმარების (რაც მიუთითებს ტკივილის მართვის გაუმჯობესებას) მნიშვნელოვანი ზრდა (ცხრილი 1) (Gomez-Batiste X et al. 2002). 15 წლის შემდეგ, კატალონიის 95%-ზე მეტი დაიფარა პალიატიური მზრუნველობის სერვისებით, სადაც ორგანულად იყო ინტეგრირებული მოხუცთა პალიატიური მზრუნველობის სერვისიც (Gomez-Batiste X et al. 2006, 2007).

ამან მნიშვნელოვნად შეამცირა ჰოსპიტალიზაციების და ჰოსპიტალური საწოლ-დღეების რაოდენობა, გადაუდებელი/ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში მიმართვიანობა; გაზარდა სახლში გარდაცვალების მაჩვენებელი. კატალონიის

ჯანდაცვის დეპარტამენტის მთლიანი ხარჯები შემცირდა 8 მილიონი ევროთი 2005 წელს, ამასთანავე აღინიშნა სამედიცინო დახმარების/მზრუნველობის ხარისხით კმაყოფილ პირთა რიცხვის გაზრდა.

ცხრილი 1. პალიატიური მზრუნველობის სერვისები კატალონიაში, 1989-2005

სერვისები	1989-1990 (პროექტის დაწყება)	1995	2001	2005
პალიატიური მზრუნველობის სერვისები საწოლებით	2	21	50	63
სახლში მოვლის გუნდები	1	44	52	70
ჰოსპიტალური გუნდები	1	18	20	34
მორფინის მოხმარება (მგ / პაციენტზე, წლის განმავლობაში)	3.5	11.4	17	21

მოტანილია Gomez-Batiste X et al. 2007-ის მიხედვით.

იაპონიის მოდელი

ინდუსტრიალიზებულ ქვეყნებს შორის, მოსახლეობის ყველაზე სწრაფად მზარდი დაბერება აღინიშნება იაპონიაში (Hirakawa Y., 2012.). 1970 წელს, 65 ან მეტი წლის ასაკის იაპონელი მოსახლეობის წილი იყო 7%, ხოლო 1990 წლისთვის ამ ციფრმა 12%-ს მიაღწია. 2006 წელს იაპონიის მოსახლეობის 20.8% იყო 65 წლის ან მეტი ასაკის, რაც მსოფლიოში ყველაზე მაღალ მაჩვენებელს წარმოადგენდა (National Institute of Population and Social Security Research. *Population Statistics 2011*).

იაპონიაში ძალიან სწრაფად იზრდება მოხუცთა ასაკში გარდაცვალების მაჩვენებელიც. (National Institute of Population and Social Security Research, 2011) (სურ. 1):

მოხუცთა რიცხვის და მოხუცთა ასაკში გარდაცვალების მაჩვენებლების უეცარი ზრდა განაპირობებს დროში გახანგრძლივებულ პალიატიურ მზრუნველობაზე მწვავედ გაზრდილ მოთხოვნას.

მეოცე საუკუნის ბოლო დეკადაშიც კი იაპონიაში არ იყო ფართოდ ხელმისაწვდომი მოხუცთა მოვლის სახლები და ბინაზე მოვლის სერვისები. მოხუცებს, რომელთაც სჭირდებოდათ გახანგრძლივებული მზრუნველობა, ხშირად ესაჭიროებოდათ ჰოსპიტალში დარჩენა თვეების და ზოგჯერ წლების მანძილზეც კი. ამ სიტუაციამ გაზარდა ჰოსპიტალში გარდაცვალების მაჩვენებელი. ამგვარად, მოხუცების მეტწილად ჰოსპიტალში დარჩენა გარდაცვალებამდე და გახანგრძლივებული მოვლის რესურსების ნაკლებობა წარმოადგენს ქვეყნის მწვავე სოციალურ პრობლემას.

ამ გარემოებების გათვალისწინებით, იაპონიამ შემოიღო მოვლის სისტემების სხვადასხვა მოდელი, რომელიც ეფუძნებოდა დასავლეთის ქვეყნებში გამოყენებულ სქემებს (Tsutsui, T. & Muramatsu, N., 2007; Jacobs & Challis, 2007). ამ მოდელების დანერგვა გახდა იაპონიის ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სისტემების პოლიტიკის რეფორმის ნაწილი, რომელიც ითვალისწინებდა სამედიცინო გახანგრძლივებული მოვლის დანახარჯების შემცირებას და სიცოცხლის ხარისხის გაზრდას მოხუცებში. თუმცა, აღსანიშნავია, გათვალისწინებულ იქნა ის კულტურული თავისებურებები, რაც განასხვავებს იაპონიას სხვა ქვეყნებისგან (Japan Geriatric Society, 2001; Shimizu, 2009).

მესამე დონეზე არსებულ მოთხოვნებთან მიმართებაში, დამაინვალიდებელმა დაავადებამ შეიძლება ძლიერი ზეგავლენა იქონიოს პიროვნების უნარზე, გასცეს და მიიღოს მზრუნველობა, სითბო, სიყვარული, მიუხედავად იმისა, იყო თუ არა ეს მოთხოვნა დაკმაყოფილებული მანამდე (Zalenski RJ et al, 2006). მაგალითად, სხეულის ფორმის შემცვლელი დაავადების ან ჩარევის შემდეგ (როგორიცაა მაგ. მასტექტომია ან ამპუტაცია) ადამიანები ბუნებრივად ფიქრობენ იმაზე, ისევ ისე უყვართ თუ არა ისინი ახლობლებს, ან საერთოდ არიან თუ არა მისაღები მათთვის. ცხადია, რომ საჭიროა სპეციალური მხარდაჭერის სისტემები (რაც შეიძლება მოხილული იქნას ჰოსპისის გუნდის მიერ), რათა მოგვარებული იქნას ამ წუხილით აღძრული ეჭვები, შფოთვა, დეპრესია.

მიკუთვნების მოთხოვნილება განსაკუთრებით აქტუალური ხდება სიცოცხლის მიწურულს. სიმარტოვეში სიკვდილი ცხადია საშინელი გადასატანია. თუმცა, რაც არ უნდა პარადოქსულად ჟღერდეს, სიცოცხლის მიწურული ეტაპი შეიძლება ერთადერთი პერიოდი იყოს, როდესაც ადამიანს ეძლევა პირადი სივრცის/დროის გამოყენების საშუალება. მას თავისუფლად შეუძლია გამოავლინოს ის ფიქრები, გრძნობები და მოქმედებები, რაც სხვა დროს არასწორად ან ნეგატიურად შეიძლებოდა ყოფილიყო აღქმული (Zalenski RJ et al, 2006). ინტიმურობა რეალურად არის საკუთარ თავთან მარტო დარჩენის გამოცდილება, იდეალურ შემთხვევაში, ეს გამოცდილება, სულ მცირე, შეიძლება გახდეს სულიერი/ფსიქიკური კატარზის და, ამდენად, დიდი სულიერი შვების საფუძველი (Zalenski RJ et al, 2006).

შემდგომ ეტაპზე (მასლოუს მოთხოვნილებათა იერარქიის მეოთხე დონეზე) ოჯახის წევრებთან ან მეგობრებთან ერთად ჩვეულ აქტივობებში ჩართვის უუნარობამ შეიძლება გამოიწვიოს თვითშეფასების დონის დაქვეითება. ამას კიდევ უფრო ამწვავებს ინვალიდობა და შედეგად, ვთქვათ, სამსახურის დაკარგვა, ან საყვარელ საქმიანობაზე იძულებით უარის თქმა, რაც საბოლოოდ ანადგურებს

ადამიანში საკუთარი ღირებულების შეგრძნებას. ასეთი მკვეთრი ცვლილებები ცხოვრების წესში ხშირად იწვევს ძლიერ ტანჯვას (Cassell EJ, 1991). ასეთ დროს, ხშირად, ძლიერ დადებითი ეფექტი აქვს ჰოსპისისა და პალიატიური მზრუნველობის გუნდის მიერ სპეციალური ღონისძიებების ორგანიზებას, რომელიც ხაზს უსვამს პაციენტის ღირებულ მხარეებს, მის პროფესიულ თუ სხვა მიღწევებს წარსულში და მისი პატივისცემის გამომხატველია. ეს ხელს უწყობს საკუთარი თავის ღირებულებისა და პატივისცემის გრძნობის დაბრუნებას (Zalenski RJ et al, 2006).


მასლოუს მიხედვით, მოთხოვნილებათა და ღირებულებათა პირამიდის პირველი ოთხი დონის დაკმაყოფილება აძლევს პაციენტებს შანსს მიაღწიონ მეხუთე, ყველაზე მნიშვნელოვან დონეს, რომელიც გამოიხატება თვით-აქტუალიზაციასა და ტრანსცენდენტულობაში. მასლოუს განმარტებით, თვით-აქტუალიზაცია არის „ტენდეცია იმისა, რომ მოხდეს პიროვნების შესაძლებლობების მაქსიმალური აქტუალიზაცია, რათა მაქსიმალურად მიუახლოვდეს იმას, რასაც ეს პიროვნება წარმოადგენს საკუთარ არსში“ (Maslow A, 1970.). ეს განმარტება პირდაპირ ესადაგება სისლი სონდერსის, პალიატიური მზრუნველობისა და ჰოსპისის ფილოსოფიის ფუძემდებლის განსაზღვრებას იმის შესახებ, თუ რა არის მზრუნველობის მიზანი: „მისცეს საშუალება პაციენტს იყოს ის, რასაც თავად წარმოადგენს, სიცოცხლის მიწურულს“ (Saunders C, 2003). ტრანსცენდენტულობა გულისხმობს ურთიერთკავშირს სხვა პიროვნებებთან, სამყაროსთან, ღვთაებრივ საწყისთან, რაც უფრო აძლიერებს სიცოცხლის აღქმას, შეუზღუდავი შესაძლებლობების შეგრძნებას, ოცნებების და წვდომის უნარს (Maslow A, 1970).

მასლოუს იერარქიის მიხედვით, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ პირველი ოთხი დონის მოთხოვნილებათა (საჭიროებათა) დაკმაყოფილება - რაც ამ შემთხვევაში მოიცავს სიმპტომების კონტროლს, უსაფრთხოების, მიკუთვნების და პიროვნული ღირებულების შეგრძნების უზრუნველყოფას - ისევე მნიშვნელოვანია, როგორც თვით-აქტუალიზაციის და ტრანსცენდენტულობის პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენება. დაავადების პროგრესირებასთან ერთად, უფრო დაბალი დონის საჭიროებები, ვთქვათ, შიმშილი, შესაძლოა პირდაპირი მნიშვნელობით

იქნას გაუფასურებული. პაციენტს შეიძლება აღარ შეეძლოს საკვების მიღება და ამგვარად, მხოლოდ არამატერიალური დომენების (საჭიროებების) დაკმაყოფილება გახდეს მისთვის უფრო მნიშვნელოვანი, რომელთა მოგვარებაც შესაძლებელია (Zalenski RJ et al, 2006).

სიცოცხლის ხარისხის შეფასების მეთოდები სიცოცხლის მიწურულ ეტაპზე, მაგ. მაკგილის სიცოცხლის ხარისხის კითხვარი და შკალა (Cohen SR et al, 1995) ყურადღებას ამახვილებს ემოციურ და სულიერ საჭიროებებზე და ადასტურებს, რომ ინტიმურობა, თვით-შეფასება (ღირსების შეგრძნება) და აქტუალიზაცია ნამდვილად ყველაზე პრიორიტეტული დომენებია სიცოცხლის მიწურულს. ამასთანავე, ყოველი „გარღვევა“ ქვემო დონის პრობლემატა მოგვარებაში (მაგალიტად, ტკივილისგან გათავისუფლება), წარმოადგენს რაღაც ტრანსცენდენტულს, მძლავრ ბიძგს, რომელიც ადამიანს აძლევს დამატებით სტიმულს და ენერგიას (არა მარტო ფიზიკურ, არამედ სულიერ ენერგიასაც) იერარქიის უდრო მარალი საფეხურის მოთხოვნილებათა რეალიზაციისათვის (Zalenski RJ et al, 2006).

წარმოდგენილ სურათზე მოცემულია პაციენტის გამოცდილებების სპეციფიური დეტალები, მასლოუს მოთხოვნილებათა/საჭიროებათა/ღირებულებათა იერარქიის სხვადასხვა საფეხურებზე (სურათი 5):



სურათი 5: პაციენტის გამოცდილებები მასლოუს მოთხოვნილებათა იერარქიის სხვადასხვა საფეხურებზე

** მოწოდებულია Zalenski RJ et al –ის მიხედვით, 2006*

მოხუცებში პალიატიური მზრუნველობის დაგეგმვისას აუცილებელია თავად მათი სურვილების / ალქმების / დამოკიდებულებების განსაზღვრა და გათვალისწინება. გარდა იმისა, რომ იგი წარმოადგენს სამედიცინო ეთიკის მოთხოვნას, იგი ასევე იძლევა საფუძველს მზრუნველობის ყველაზე ოპტიმალური და ეფექტური მიდგომის შემუშავებისთვის (Zalenski RJ et al., 2006).

პალიატიური მზრუნველობა მოხუცთათვის - საგანმანათლებლო კურიკულუმის შემუშავება სამედიცინო და საექთნო პროფილის სტუდენტებისთვის

მოხუცთა პალიატიური მზრუნველობა წარმოადგენს მზარდ გამოწვევას. გერმანიაში ამ ფაქტის ხაზგასმა მოხდა 2009 წელს კანონმდებლობაში მიღებული ცვლილებით, რომლის მიხედვითაც მოხუცთა პალიატიური მზრუნველობა გახდა სამედიცინო კურიკულუმის სავალდებულო შემადგენელი ნაწილი (Just JM et al, 2010). დასავლეთის ქვეყნებში მოხუცი პაციენტების რიცხვის ზრდასთან ერთად უფრო და უფრო რთულდება მზრუნველობის განხორციელება მულტიმორბიდულობის (მრავალი თანმხვედრი დაავადების), დემენციისა და მოხუცებულთა სისუსტის თანხვედრის გამო. მოხუცთა პალიატიური მზრუნველობის განხორციელება ინტერპროფესიული (ინტერდისციპლინური) ჯგუფის მიერ, წარმოადგენს სამედიცინო და საექთნო კოლეჯების სასწავლო პროგრამის მნიშვნელოვან ნაწილს. ასეთ პალიატიურ მზრუნველობაში ამ სასწავლებლების სტუდენტთა მონაწილეობა აუმჯობესებს მოხუცთათვის პალიატიური მზრუნველობის განხორციელებას, რაც დადასტურებულია გერმანიის ჯანდაცვის სამინისტროსა და მისი ექსპერტთა ჯგუფის მიერ.

ასევე დადასტურებულია, რომ პალიატიური მზრუნველობის და გერიატრიის სწავლება ჯანდაცვის სფეროს სტუდენტებისთვის არის მოხუცთა მზრუნველობის ზოგადი მდგომარეობის გაუმჯობესების ერთ-ერთი გზა (Just JM et al., 2010).

ლიტერატურის ძიების და ექსპერტთა შეფასების შედეგებით გამოვლინდა დედუქციის შემდეგი დომენები: გერიატრია, პალიატიური მზრუნველობა, კომუნიკაცია და პაციენტის ავტონომია და ორგანიზაციული და სოციალური კავშირები. (Just JM et al, 2010), რომლებმაც ასხვა ჰპოვა მოხუცთა პალიატიური მზრუნველობის საგანმანათლებლო კურიკულუმებში (იხ. ცხრილი 4):

ცხრილი 4: მოხუცთა პალიატიური მზრუნველობის საგანმანათლებლო კურიკულუმებში ხაზგასმული დომენები

სფერო	სასწავლო ამოცანა
გერიატრია	• გერიატრიული შეფასება • ინტერდისციპლინური გუნდური მიდგომის მნიშვნელობა
პალიატიური მზრუნველობა	• სიმპტომების მართვა • სისტემური ტკივილის მართვა • პალიატიური შეფასება • თვით-მოვლა
კომუნიკაცია და პაციენტის ავტონომია	• კომუნიკაცია პაციენტსა და მის ოჯახთან • გლოვა • ეთიკური ასპექტები • ცუდი ამბის შეტყობინება • დაავადების შორსწასულ ეტაპზე ჩასატარებელი ღონისძიებების დაგეგმვა
ორგანიზაცია და სოციალური ქსელები	• მზრუნველობის ადმინისტრირება

(წყარო: წარმოდგენილია Just JM et al -ის მიხედვით, 2010)

ლიტერატურის კვლევამ სიცოცხლის მიწურულს მოხუცთა საჭიროებების თაობაზე გამოავლინა ასეთი სურათი (იხ. ცხრილი 5):

ცხრილი 5: მოხუცთა საჭიროებები სიცოცხლის მიწურულს, სხვადასხვა დომენების მიხედვით

სფერო	თემატიკა
გერიატრია	• მნიშვნელოვანია ჰოლისტური მიდგომა • მიუხედავად იმისა, რომ სახეზეა პოტენციურად სიცოცხლის შემამოკლებელი დაავადება, მოხუცი ასაკისთვის ისეთი ჩვეული სიმპტომები, როგორიცაა შარდის ბუშტის კონტროლის გაძნელება ან მხედველობის გაუარსება, შესაძლოა ერთობლივად ძლიერ აუარესებდეს სიცოცხლის ხარისხს • გერიატრიული შეფასება და ხშირად არსებული პრობლემების ცოდნა,

	როგორიცაა, მაგ. დაცემის რისკი, დელირიუმი, სისუსტე, შეუკავებლობა და, განსაკუთრებით, დემენცია • მულტიმორბიდულობა, როგორც პროგნოზის გამაუარესებელი, რაც იწვევს ჰოსპისში უდროოდ გადაყვანას
პალიატიური მზრუნველობა	• პერსონალური, ფსიქოლოგიური და ეგზისტენციური საკითხები აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული • მხედველობაში უნდა იქნას მიღებული პერსონალურ, ფსიქოლოგიურ და ეგზისტენციურ საკითხებზე კულტურის ზეგავლენა • გადამწყვეტი მნიშვნელობისაა ტკივილის ეფექტური კონტროლი • ტკივილისგან გათავისუფლება აუცილებელია პერსონალური, ეგზისტენციური და სულიერი პრობლემების მოგვარებისათვის • 70 წლის და უფრო ასაკოვან პაციენტებს სჭირდებათ დახმარება ეგზისტენციურ და სულიერ საკითხებთან გამკლავებისთვის, მათი ასაკის მიუხედავად • სიმპტომების მკურნალობასთან ერთად, ყოველთვის გათვალისწინებულ უნდა იქნას მოხუცის ფიზიოლოგიის არასიმყარე და ცვალებადობა
კომუნიკაცია და პაციენტის ავტონომია	• ეფექტური კომუნიკაცია მომვლელებსა და პაციენტს შორის არის უკეთესი გამოსავლის და მზრუნველობის უფრო მაღალი ხარისხის გარანტია • დემენციის შემთხვევაში, გადამწყვეტია მზრუნველობის გეგმის შემუშავება და მისი განხორციელება, მანამდე სანამ პაციენტს შეუძლია ეს. ადრეულ ეტაპებზე უნდა მოხდეს ოჯახის წევრების ჩართვა. • მზრუნველობის აუცილებელი ნაწილია პაციენტის ოჯახთან კომუნიკაცია • მნიშვნელოვანია ინტერპროფესიული (ინტერდისციპლინური) გუნდური მიდგომა
ორგანიზაცია და სოციალური ქსელები	• შუახნის ასაკის პაციენტებისგან განსხვავებით, მოხუცებს ხშირად აქვთ სუსტი სოციალური კავშირები. ეს იწვევს ახლობელი ადამიანების ნაკლებობას, რომლებსაც შეუძლიათ მიმართონ პიროვნული, ეგზისტენციური და სულიერი საკითხების მოსაგვარებლად, ასევე ნაკლები მხარდაჭერა აქვთ ორგანიზაციულ საკითხებში, მაგ. ოჯახის წევრების მხრიდან. • უნდა მოხდეს პაციენტების ინფორმირება, სწავლება და დახმარება იმისათვის, რომ შემუშავებული და განხორციელებული იქნას მოვლის ამომწურავი სქემა. • მოხუც პაციენტებს სურთ რომ ჰქონდეთ მეტი კონტაქტი მომვლელებთან, მაგრამ ხშირად არ სთხოვენ მათ ამას, იმის შიშით რომ ვინმეს ზედმეტად შეაწუხებენ.

(წყარო: წარმოდგენილია Just JM et al -ის მიხედვით, 2010)

როგორც ზემოთ აღინიშნა, პალიატიური მზრუნველობის და გერიატრიის სწავლება ჯანდაცვის სფეროს სტუდენტებისთვის არის მოხუცთა მზრუნველობის ზოგადი მდგომარეობის გაუმჯობესების ერთ-ერთი გზა (Just JM et al., 2010). ინტერპროფესიული განათლების და პალიატიურ მზრუნველობაში ადრეული განათლების საჭიროება აღიარებულია ეროვნულ დონეზე მთავრობათა მიერ (German Ministry of Health (2002): Fourth Report of the German Government on the Situation of the Elderly. BT-Drs. 14/8822. , 2002) და საერთაშორისო დონეზე ჯანმოს მიერ (World Health Organization Study Group on Interprofessional Education and Collaborative Practice. [<http://www.who.int/hrh/professionals/announcement.pdf>]). პალიატიური მზრუნველობის და გერიატრიის სფეროების გაერთიანება და მათი სწავლება ინტერპროფესიული მიდგომით აუმჯობესებს მულტიდისციპლინური გუნდის მიდგომის გათავისებას და შემდგომში იძლევა სინერგიულ ეფექტს (Palliative Care: The Solid Facts. [<http://www.euro.who.int/document/E82931.pdf>]; Raymond S, Woo J, 2001; Bolmsjo I, 2008).

მასალა და მეთოდები

ნაშრომში გამოყენებულია როგორც რეტროსპექტული, ისე პროსპექტული კვლევის მეთოდები: სამედიცინო დოკუმენტაციისა და ისტორიების ანალიზი, ინტერვიუს მეთოდი და ანკეტური გამოკითხვა. ასეთი განსხვავებული მეთოდების გამოყენება საჭირო გახდა ზემოაღნიშნული, განსხვავებული მოდების წერტილების მქონე ამოცანების იდენტიფიკაციით.

ამოცანა 1:

საქართველოში მოხუცთა (ხანდაზმულთა) იმ ქრონიკული დაავადებების იდენტიფიკაცია, რომლებიც ყველაზე ხშირად შეიძლება საჭიროებდეს პალიატიურ მზრუნველობას, ერთი მხრივ, და რომელთა ფარმაცოთერაპიაც საჭიროებს „გერიატრიულ კორექციას“ მეორე მხრივ.

მასალა და მეთოდები

ჯანდაცვის სამინისტროს სტატისტიკური დეპარტამენტის მონაცემების საფუძველზე შევისწავლეთ ქ. თბილისის სტაციონარულ და ამბულატორიულ დაწესებულებებში 1998 წლიდან 2005 წლის ჩათვლით სხვადასხვა ასაკის ავადმყოფთა გადანაწილება შემდეგი ძირითადი დაავადებების მიხედვით:


- ინფექციური და პარაზიტული დაავადებები;
- სიმსივნური დაავადებები;
- სისხლისა და სიხლმზადი ორგანოების დაავადებები;
- ენდოკრინული დაავადებები;
- ფსიქიკური და ქცევითი დარღვევები;
- ნერვული სისტემის დაავადებები;
- თვალის დაავადებები;
- გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებები;
- სასუნთქი სისტემის ორგანოების დაავადებები;
- საჭმლის მომნელებელი ორგანოების დაავადებები;
- ძვალ-კუნთოვანი სისტემისა და შემაერთებელი ქსოვილის დაავადებები;

- შარდ-სასქესო სისტემის დაავადებები;


უნივარსიტეტი ანალიზის მეთოდით შეფასებულ იქნა სამი ასაკობრივი კატეგორიის - 20-39 წლის, 40-59 წლისა და 60 წელზე უფროსი ასაკის პაციენტთა განაწილება (მიმართვიანობა) ამბულატორიულ და სტაციონარულ დაწესებულებებში. თვალსაჩინოებისათვის აგებული იქნა ცხრილები და დიაგრამები.

მაგალითისათვის:

დიაგრამა 1: სისხლისა და სისხლმზადი ორგანოების დაავადებების მქონე ამბულატორიულ ავადმყოფთა გადანაწილება სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში 1998-2005 წლებში.



დიაგრამა 2: ქ. თბილისის სტაციონარულ დაწესებულებებში სისხლისა და სისხლმზადი ორგანოების დაავადებების მქონე ავადმყოფთა განაწილება 1998-2005 წლებში.



პარალელურად, შესწავლილ იქნა აგრეთვე ქ. თბილისის რესპუბლიკური საავადმყოფოს 1995, 2000 და 2005 წლების სარქივო მასალა (სულ 1708 ავადმყოფობის ისტორია). კვლევის მიზანს შეადგენდა რესპუბლიკური საავადმყოფოს ზოგადი თერაპიისა და კარდიოლოგიის განყოფილებებში მოხუც და ხანდაზმულ ავადმყოფებში თანმხლებ დაავადებათა, ასევე, ამ კონტინგენტის სამკურნალოდ გამოყენებული პრეპარატების სიხშირისა და ეფექტურობის გამოკვლევა (განხორციელდა ანტიბიოტიკების, ტრანკვილიზატორების, ჰიპოტენზიური საშუალებების, საძილე საშუალებების, არასტეროიდული ანთების საწინააღმდეგო პრეპარატების, ანტიარითმიული, ანტისპაზმური, ანტი-ანგინალური საშუალებების, დიურეზული საშუალებების, საგულე კლიკოზიდების, ანტიკოაგულანტების - როგორც მოხუცებში ყველაზე ხშირად გამოყენებული პრეპარატების ეფექტურობის

ანალიზი). პაციენტთა განაწილება შეფასებულ იქნა უნივარიაციული ანალიზის მეთოდით სქესისა და ასაკის მიხედვით. გამოყოფილ იქნა ორი ასაკობრივი კატეგორია: 1) 22-44 წელი 2) 60 წელი და ზევით. გამოყენებული მედიკამენტების ეფექტურობის შესაფასებლად გამოყოფილ იქნა გამოსავლის სამი კატეგორია: 1) მდგომარეობა უცვლელია; 2) მდგომარეობა გაუმჯობესდა; 3) ლეტალური გამოსავალი. თვალსაჩინოებისათვის აგებული იქნა ცხრილები და დიაგრამები.

ამოცანა 2:

მოპროგრესე განუკურნელი ქრონიკული დაავადებით შეპყრობილ ხანდაზმულ პაციენტთა მკურნალობა/მზრუნველობის მიმართ ამ პაციენტთა ოჯახის წევრების მოთხოვნებისა და დამოკიდებულებების გამოკვლევა და სისტემატიზაცია.

მასალა და მეთოდები

გამოკითხულ იქნა ინტენსიური თერაპიის/კრიტიკული მედიცინის განყოფილებაში „სერვისმიღებული“ 20 მოხუცი (75-82 წლის ასაკის) პაციენტის ოჯახის წევრები (სულ 27 პირი).

ჩატარდა გამჭოლი კვლევა რომელიც გრძელდებოდა 2014 წლის თებერვლიდან 2015 წლის თებერვლამდე. გამოყენებულ იქნა „ხელმისაწვდომი შერჩევის“ მეთოდი: კვლევაში ჩართული იქნა კვლევის პერიოდში არსებული პაციენტები და მათი ოჯახის წევრები. კვლევა დაეფუძნა სტრუქტურირებული ფორმატის ინტერვიუმს.

ოჯახის წევრების მონაწილეობა კვლევაში გადაწყდა იმის გამო, რომ ხშირად კრიტიკული მედიცინის განყოფილებაში მყოფი, ტერმინალური ინკურაბელური დაავადების მქონე პაციენტთან კონტაქტი გაძნელებულია ან შეუძლებელი ცნობიერების დათრგუნვის გამო. კვლევიდან გამორიცხვის კრიტერიუმს წარმოადგენდა ისეთი პოწ-ები, რომლებიც შეზღუდულად ან საერთოდ არ ფლობდნენ ქართულ ენას.

პაციენტის პირადი მონაცემები (მაგ. ასაკი, სქესი, დაიგნოზი და გარდაცვალების თარიღი) მოწოდებული იქნა თავად მათი ოჯახის წევრების მიერ,

საავადმყოფოს მიერ გაცემული სტანდარტული გაწერის / გარდაცვალების ცნობაზე დაყრდნობით (მონაცემები მოცემულია ცხრილ 6-ში).

ცხრილი 6: პაციენტის პირადი მონაცემები, მოწოდებული მათი ოჯახის წევრების მიერ

ასაკი, სქესი დიაგნოზები *	75-82	
	ქალი	მამაკაცი
	9	12
პანკრეასის თავის კიბო, მექანიკური სიყვითლე, ასციტი, ღვიძლის უკმარისობა	1 (1)	1 (1)
ნაღვლის ბუშტის კიბო, ბილიური ობსტრუქცია		1 (1)
ფილტვის კიბო, მრავლობითი ძვლოვანი მეტასტაზები		1 (1)
შუასაყრის ჰოჯკინის ლიმფომა, მულტიორგანული უკმარისობა	1	
რეტროპერიტონეული ლიმფომა, მულტიორგანული უკმარისობა	1 (1)	
დიაბეტი, ოსტეოპოროზი, ბარძაყის თავის მოტეხილობა, თირკმლის უკმარისობა	2	
მწვავე ინსულტი, ცერებრული კომა		2 (1)
ინსულტის შემდგომი მდგომარეობა, ნაწლავის ნაწილობრივი გაუვალობა	1	1 (1)
გულის უკმარისობა, დემენცია	1	1
საშვილოსნოს კიბო, მრავლობითი მეტასტაზები, ჰიდროთორაქსი, ასციტი	1	
საყლაპავის კიბო, გასტროსტომა, დემენცია		1 (1)
ნაწლავის დიდი ზომის კიბო, ტერმინალური ილევოსტომა	1	2 (1)
ღვიძლის ციროზი, სისხლდენა საყლაპავის ვარიკოზულად გაგანიერებული ვენებიდან, მულტიორგანული უკმარისობა		1 (1)
ჯამი	20	(9)

* ფრჩხილებში მოცემულია გარდაცვლილ პაციენტთა რაოდენობა

ინსტრუმენტი

პალიატიური მზრუნველობის, ფსიქოლოგიისა და ეთიკის სფეროებში მომუშავე ექსპერტების გუნდის მიერ პაციენტის ოჯახის წევრებისთვის შემუშავებულ იქნა სპეციალური კითხვარი:

1. თქვენ, როგორც ოჯახის წევრს, გესაუბრებოდათ თუ არა ექიმი პაციენტთან დაკავშირებულ ისეთ დეტალებზე, რომელიც ეხებოდა პაციენტის შესაძლო მდგომარეობის გაუარესებას?

0 = არასოდეს										10 = ყოველთვის	არ ვიცი
1	2	3	4	5	6	7	8	9	1	999	
											0

2. ექიმი გატყობინებდათ თქვენ, როგორც პაციენტის ოჯახის წევრს, პაციენტის სავარაუდო სიცოცხლის ხანგრძლივობის თაობაზე?

1	2	3	4	5	6	7	8	9	1	999	
											0

3. არჩევდა თუ არა ექიმი თქვენთან, თუ როგორ შეიძლება დადგეს პაციენტის სიკვდილი?

1	2	3	4	5	6	7	8	9	1	999	
											0

4. ათანხმებდა თუ არა ექიმი თქვენთან გადაწყვეტილებას მკურნალობის შემდგომი ტაქტიკის თაობაზე (მართვით სუნთქვაზე შესაძლო გადაყვანა, ან სხვა)?

1	2	3	4	5	6	7	8	9	1	999	
											0

5. გესაუბრებოდა თუ არა ექიმი იმ ცხოვრებისეულ თემებზე, რომლებიც დაკავშირებულია მნიშვნელოვანია პაციენტისათვის და თქვენთვის?

1	2	3	4	5	6	7	8	9	1	999	
											0

6. გესაუბრობოდათ ექიმი პაციენტის რწმენაზე (სარწმუნოებაზე)?

1	2	3	4	5	6	7	8	9	1	999	
											0

7. ექიმი პატივს სცემდა თქვენი და პაციენტის სულიერ განწყობას და რელიგიურობას?										
1	2	3	4	5	6	7	8	9	1	999
										0

8. ექიმს უჭირდა თუ არა თქვენთან პაციენტის სიკვდილზე ლაპარაკი? მონიშნეთ ქვემოთ მოცემული სკალაზე:

0 = “ძალიან უჭირდა” და 10 = “არ უჭირდა” (შემოხაზეთ მხოლოდ ერთი პასუხი)

0	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
---	---	---	---	---	---	---	---	---	---	----

9. ზოგადად როგორ შეაფასებდით ექიმის და ოჯახის წევრის კომუნიკაციას?

0 = „უარყოფითად“ და 10 = „დადებითად“ (შემოხაზეთ მხოლოდ ერთი პასუხი)

0	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
---	---	---	---	---	---	---	---	---	---	----

კითხვარი ფარავდა კომუნიკაციის სხვადასხვა ასპექტებს, რაც მოიცავდა (მაგრამ არ იყო შეზღუდული მხოლოდ ამ საკითხებზე): პაციენტის პროგნოზს, გარდაცვალების მოსალოდნელ დროს, მკურნალობის გეგმას და რელიგიის საკითხებს. კითხვარების განხილვა მოხდა შესაბამისი სფეროს ექსპერტების მიერ რათა დადასტურებულიყო მათი შინაარსის ვალიდურობა და გამოცდილ იქნა სამ მოხალისეზე, რომლებიც არ მონაწილეობდნენ კვლევაში (იმ პაციენტთა ოჯახის წევრები, რომლებიც გარდაიცვალნენ კრიტიკული მედიცინის განყოფილებაში), რათა ნამდვილად დავრწმუნებულიყავით, რომ ყველა მონაწილე სწორად გაიგებდა კითხვებს (კითხვარი და მისი შინაარსი მოცემულია ქვემოთ). კითხვარების შევსება ხდებოდა დამოუკიდებლად, ერთ-ერთი მკვლევარის თანდასწრებით, რომელიც მონაწილეებს უხსნიდა შევსების წესებს. მონაწილეებს სთხოვდნენ, შეეფასებინათ თავიანთი პასუხები შკალით 0-დან 10-მდე, სადაც „0“ წარმოადგენდა „არასოდეს“, ხოლო „10“ კი - „ყოველთვის“.

თუმცა, კითხვებისთვის 1.9 – 2.9 – „0“ შეესაბამებოდა „იყო ძალიან რთული“ და „10“ – „საერთოდ არ იყო რთული“, ხოლო კითხვებისთვის 1.10 და 2.10 – „0“ იყო „მთლიანად უარყოფითი და „10“ – „მთლიანად დადებითი“.

მონაწილეებს ასევე ჰქონდათ „არ ვიცი“ პასუხის ვარიანტი, თითოეული კითხვისთვის. ყოველ მონაწილეს ეძლეოდა მხოლოდ ერთჯერადი ცდა კითხვარის შესავსებად.

ეთიკური საკითხები

კვლევის ფორმატი მოწონებული და დამტკიცებული იქნა ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ალ. ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტის ეთიკური კომისიის მიერ, საერთაშორისოდ აღიარებული ბიოეთიკური სტანდარტების შესაბამისად. ყველა მონაწილისგან მიღებულ იქნა წერილობითი ინფორმირებული თანხმობის ფორმა. დაცული იყო როგორც მონაწილეთა, ისე მათი პასუხების კონფიდენციალურობა.

სტატისტიკური ანალიზი

მონაცემთა შეგროვების შემდეგ, გაკეთდა კითხვარებზე პასუხების ხელახლა კოდირება შემდეგ სამ კატეგორიად: 0-3 = „არასოდეს/ იშვიათად/არადამაკმაყოფილებლად“, 4-7 = „მეტ-ნაკლებად“ და 8-10 = ხშირად/ ყოველთვის/დამაკმაყოფილებლად. „არ ვიცი“ პუნქტზე პასუხები ცალკე იქნა კლასიფიცირებული.

ცვლადი განაწილების (variable distributions) მისაღწევად ჩატარდა სტანდარტული, აღწერითი სტატისტიკური ანალიზი.

კითხვარის ბოლო ორი შეკითხვისათვის, შესაბამისად შერჩეული იქნა 3 კატეგორია: „ძალიან უძნელდებოდა“, „საშუალოდ/რამდენადმე უძნელდებოდა“, „არ უძნელდებოდა“ და „უარყოფითად“, „საშუალოდ“, „დადებითად“.

ამოცანა 3:

სიცოცხლის ლიმიტირებული ხანგრძლივობის გამაცნობიერებელ ისეთი ხანდაზმული პირების ცხოვრების მიწურულის მოთხოვნილებებისა და დამოკიდებულებების გამოკვლევა და სისტემატიზაცია, რომელთა ცნობიერების მდგომარეობაც ადეკვატურია (მეტ-ნაკლები ინტენსივობით განაგრძობენ ინტელექტუალურ საქმიანობას);

მასალა და მეთოდები

გამოკვლეულ იქნა 80 წელს გადაცილებული 20 მოხუცი. კვლევაში ჩართვის კრიტერიუმს წარმოადგენდა ასაკი (85 წელი ან მეტი), სიცოცხლის მაღალიმიტირებელი დაავადების არარსებობა (მოხუცები უნდა ყოფილიყვნენ „ჯანმრთელები“ და უნდა ჰქონოდათ შენარჩუნებული მინიმალური სოციალური აქტივობა) და ადეკვატური ცნობიერება.

კვლევა ეფუძნებოდა ნახევრად სტრუქტურირებული ფორმატის ინტერვიუებს. კერძოდ, კვლევაში მონაწილე თითოეული პირი პასუხობდა შემდეგ კითხვარს:

დემოგრაფიული ბლოკი

სქესი:

ასაკი:

პროფესია / საქმიანობა:

ძირითადი შეკითხვები:

როგორ გაიხსენებდით თქვენს წარსულ ცხოვრებას?

თუ შეცვლიდით რამეს თქვენს განვლილ ცხოვრებაში?

რას გეგმავთ რომ გააკეთოთ?

კითხვარი შეიქმნა აბრაამ მასლოუს იერარქიული (საჭიროებათა / მოთხოვნილებათა / ღირებულებათა) პირამიდისა და მისი გათანამედროვეებული ვარიანტის (Douglas T. et al, 2010), ასევე ჰარვეი მაქს ჩოჩინოვის და მის თანაავტორთა კვლევის შედეგების (Chochinov, H.M. et al, 2005; Chochinov, H.M. et al, 2007),

გათვალისწინებით - სოციოლოგთა და ფსიქოლოგთა მონაწილეობით (ნ. ჭაბუკიანი, თ. ჭაბუკიანი).

ინტერვიუს ჩაწერის (აუდიოფორზე) ხანგრძლივობა შეადგენდა 10 წუთიდან 1 საათამდე. ინტერვიუების ჩატარების შემდეგ ხდებოდა მათი ტრანსკრიპტი და კოდირება: თითოეული ინტერვიუ იყოფოდა მეტ-ნაკლებად დამოუკიდებელ ფრაგმენტებად. ასეთი ფრაგმენტების რაოდენობა მერყეობდა 2-დან 27-მდე. ხდებოდა თითოეულ ფრაგმენტში ასახული ინფორმაციის შესატყვისობის განსაზღვრა აბრაამ მასლოუს პირამიდის რომელიმე დონესთან და შესაბამისად „განთავსება“ ამ დონეზე. როგორც თითოეულ ინტერვიუში ასახული ინფორმაციის კლასიფიკაცია, ისე ტექსტის კოდირება ხდებოდა 2 მკვლევარის მიერ დამოუკიდებლად. ამ სამუშაოს შესრულების შემდეგ ხდებოდა საჭიროებათა / მოთხოვნილებათა / ღირებულებათა პირამიდაზე განთავსებული ინტერვიუს ფრაგმენტების შედარება. ერთიანი სურათის მიღებისათვის ხელისშემშლელი ყველა შეუსაბამობა და წარმოშობილი პრობლემები წყდებოდა ამ მკვლევართა შორის დისკუსიის გზით, კონსენსუსის საფუძველზე. მასლოუს პირამიდის სხვადასხვა დონეზე განთავსებულ ფრაგმენტთა რაოდენობები ექვემდებარებოდა ანალიზს აღწერილობითი სტატისტიკის მეთოდის გამოყენებით.

კვლევის მეთოდოლოგია შემუშავებული იქნა თსუ დოქტორანტ ნ. ჩიხლაძის და თსუ მორფოლოგიის ინსტიტუტის მორფოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომლის - ელენე ჯანბერიძის მონაწილეობით.

კვლევის შედეგები და განსჯა

1. საქართველოში მოხუცთა (ხანდაზმულთა) იმ ქრონიკული დაავადებების იდენტიფიკაცია, რომლებიც ყველაზე ხშირად იწვევს პალიატიური მზრუნველობის საჭიროებას, ერთი მხრივ, და რომელთა ფარმაცოთერაპიაც საჭიროებს „გერიატრიულ კორექციას“ მეორე მხრივ.

ჯანდაცვის სამინისტროს სტატისტიკური დეპარტამენტის მონაცემების საფუძველზე შევისწავლეთ ქ. თბილისის სტაციონარულ და ამბულატორიულ დაწესებულებებში სხვადასხვა ასაკის ავადმყოფთა გადანაწილება ძირითადი დაავადებების მიხედვით 1998 წლიდან 2005 წლის ჩათვლით.

კვლევის შედეგები წარმოდგენილია დიაგრამებზე (1-20).

ინფექციური და პარაზიტული დაავადებებით ავადმყოფობ ხანდაზმულთა რაოდენობა მნიშვნელოვნად ნაკლებია. როგორც ამბულატორიულ, ისე სტაციონარულ ქსელში (დიაგრ. 1 და 2). ამასთანავე, სტაციონარში ხანდაზმულთა მიმართვიანობა 3,12-4,29 -ჯერ ჩამორჩება ახალგაზრდების მიმართვიანობას. ამბულატორიულ ქსელში ეს მონაცემები გაცილებით ფართოდ ვარირებს და შეადგენს 13,5-19,75 –ს.

სიმსივნური დაავადებების მქონე ავადმყოფთა საერთო რაოდენობა სტაციონარებში ყველა ასაკობრივ ჯგუფში თანდათან იმატებს შესწავლილი წლების განმავლობაში. ამასთანავე, 40-59 წლის ასაკობრივი ჯგუფის პაციენტთა რაოდენობა ყოველწლიურად აღემატება ხანდაზმულ (60 და მეტი ასაკის) ავადმყოფთა რაოდენობას (დიაგრ. 3). განსხვავებული სურათია ამბულატორიულ ქსელში: სიმსივნით ავადმყოფ ხანდაზმულ პაციენტთა რაოდენობა აღემატება როგორც ახალგაზრდათა, ისე შუახნის პაციენტთა რაოდენობას (დიაგრ. 4).

ენდოკრინული დაავადებების მქონე საშუალო და ხანდაზმული ასაკის ავადმყოფების რაოდენობა სტაციონარულ დაწესებულებებში მკვეთრად აღემატება ახალგაზრდათა რაოდენობას. ამასთანავე, 2002-2005 წლებში, საშუალო და ხანდაზმული ასაკის ავადმყოფების რაოდენობა მკვეთრად 1998-2001

წლებთან შედარებით (დიაგრ. 5). ამბულატორიებში სამივე შესადარებელი ასაკობრივი ჯგუფის მიმართვიანობა შედარებით სტაბილურია. ამასთანავე, ხანდაზმულ ავადმყოფთა რაოდენობა მკვეთრად აღემატება არა მხოლოდ ახალგაზრდათა, არამედ შუახნის ავადმყოფთა რაოდენობასაც (დიაგრ. 6).

ნერვული სისტემის დაავადებათა მქონე სტაციონარულ პაციენტებში, ხანდაზმულთა რაოდენობა მკვეთრად აღემატება, როგორც ახალგაზრდათა, ისე საშუალო ასაკის პირთა რაოდენობას (დიაგრ. 7). ამბულატორიულ ავადმყოფებში, რამდენადმე სხვა სურათია: 2003 წლამდე საშუალო ასაკის პაციენტთა მიმართვიანობა აღემატება ხანდაზმული ასაკის პაციენტთა მიმართვიანობას (გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ 2000 წლის მონაცემები: ნერვული სისტემის დაავადებათა გამო, ამბულატორიეს მიმართა 40-59 წლის ასაკის 2707-მა პირმა, ხოლო 60 და მეტი წლის ასაკის 3743-მა პაციენტმა), ხოლო 2003 წლიდან სურათი იცვლება და ხანდაზმულთა მიმართვიანობა მკვეთრად სჭარბობს როგორც ახალგაზრდათა, ისე შუახნის ასაკის პაციენტთა მიმართვიანობას (დიაგრ. 8).

ხანდაზმულებში განსაკუთრებით მაღალია თვალის დაავადებათა სიხშირე, როგორც სტაციონარულ, ისე ამბულატორიულ დაწესებულებებში (მკვეთრად აღემატება ახალგაზრდა და შუახნის პაციენტთა რაოდენობას). ამასთანავე, აქაც შესამჩნევია ზემოაღნიშნულის მსგავსი ტენდენცია: საკვლევი პერიოდის ბოლო ოთხი წლის პაციენტთა ჯამური რაოდენობა აღემატება პირველი ოთხი წლის პაციენტთა ჯამურ რაოდენობას (დიაგრ. 9, 10).

თვალის დაავადებათა განაწილების დიაგრამების ანალოგიური დიაგრამებს იძლევა 1998-2005 წლებში გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებების გადანაწილებაც. როგორც სტაციონარებში, ისე ამბულატორიებში მატულობს ავადმყოფთა რაოდენობა, ამასთანავე, ყველაზე მეტი დაფიქსირებულია ხანდაზმული ასაკის პაციენტი. განსაკუთრებით მკვეთრად არის გამოხატული სხვაობა ხანდაზმულ და ახალგაზრდა ავადმყოფთა რაოდენობებს შორის (დიაგრ. 11, 12).

სასუნთქი სისტემის ორგანოების დაავადებათა მქონე ავადმყოფების რაოდენობა 1998-2005 წლებში სტაციონარებსა და ამბულატორიებში ზოგადად მაღალია. სტაციონარებში ამ დაავადებით ყველაზე ნაკლები პაციენტი 40-59 წლის ასაკობრივ ჯგუფშია აღრიცხული. დაავადებული ახალგაზრდების რაოდენობა კი აჭარბებს ხანდაზმულებს. წლების მიხედვით აღინიშნება დაავადების სიხშირის მატება (დიაგრ. 13). ამბულატორიებში ხანდაზმულ ავადმყოფთა რაოდენობა აჭარბებს სხვა ასაკობრივ ჯგუფებს. წლების მიხედვით დაავადების სიხშირის მატება აქაც მკაფიოდაა გამოხატული (გამონაკლისს წარმოადგენს 1998 წლის მონაცემები, როდესაც დაავადების მაღალი მაჩვენებელია დაფიქსირებული (დიაგრ. 14).


საქმლის მომწოდებელი ორგანოების დაავადებათა მიხედვით ავადმყოფთა რაოდენობა სტაციონარულ დაწესებულებებში 1998 წლიდან 2005 წლამდე ყველა ასაკობრივ ჯგუფში თანდათანობით მატულობს. ამასთანავე, ახალგაზრდებს, საშუალო ასაკისა და ხანდაზმულ პაციენტების რაოდენობებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავება არ ფიქსირდება (დიაგრ. 15). ანსხვავებული სურათია ამბულატორიებში, სადაც ამ დაავადებათა სიხშირე განსაკუთრებით მაღალია ხანდაზმულებსა და საშუალო ასაკის პირებში. აქ მეორდება სხვა დაავადებებისათვის დამახასიათებელი თავისებურება: ხანდაზმულ პაციენტთა რაოდენობა მნიშვნელოვნად აღემატება შუახნის პაციენტთა რაოდენობას, ხოლო ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, მნიშვნელოვნად აღემატება ახალგაზრდათა რაოდენობას (დიაგრ. 16).

ძვალ-კუნთოვანი სისტემისა და შემაერთებელი ქსოვილის დაავადებათა მქონე სტაციონარული ავადმყოფების რაოდენობა, შესასწავლ პერიოდში ავლენს მატების ტენდენციას. ყველაზე მეტია 40-59 წლის ასაკობრივი ჯგუფის ავადმყოფების რაოდენობა (დიაგრ. 17). განსხვავებული სურათია ამბულატორიულ ავადმყოფებში: ყოველ შესწავლილ წელს, 60 და მეტი ასაკის ავადმყოფთა რაოდენობა თითქმის 6-ჯერ აღემატება ახალგაზრდა პაციენტების, ხოლო 2 -ჯერ საშუალო ასაკის პაციენტების რაოდენობას (დიაგრ. 18).


შარდ-სასქესო სისტემის დაავადებებით პაციენტთა საერთო რაოდენობა მატულობს წლების მიხედვით. სტაციონარულ ავადმყოფთა რაოდენობა ყველა ასაკობრივ ჯგუფში საკმაოდ დიდია. ამასთანავე, აღსანიშნავია რომ ახალგაზრდა და ხანდაზმული პაციენტები სჭარბობენ შუა ხნის პაციენტებს (დიაგრ. 19). განსხვავებული გადანაწილების სურათი გვაქვს ამბულატორიებში: ახალგაზრდა პაციენტთა რაოდენობა მკვეთრად აღემატება შუა ხნის პაციენტთა რაოდენობას, მაგრამ ეს უკანასკნელიც, თავის მხრივ, მკვეთრად აღემატება ხანდაზმულ პაციენტთა რაოდენობას (დიაგრ. 20).

სისხლისა და სიხლმადი ორგანოების დაავადებებით ავადმყოფთა რაოდენობა სტაციონარებში 1998-2005 წლებში ყველა ასაკობრივ ჯგუფში თანდათანობით მატულობს. გამონაკლისს წარმოადგენს 2005 წელი; ავადმყოფთა რაოდენობა აქ ყველა ასაკობრივ ჯგუფში შემცირებულია. იგივე ვითარებაა ამბულატორიულ მაჩვენებლებშიც. პაციენტების ყველაზე მეტი რაოდენობა დაფიქსირებულია 2002 წელს. ხალგაზრდა პაციენტთა რაოდენობა არემატება როგორც საშუალო ასაკის, ისე ხანდაზმულ პაციენტთა რაოდენობას (დიაგრ. 21, 22).


ფსიქიკური და ქცევითი დარღვევების მქონე სტაციონარულ ავადმყოფებში სჭარბობს 20-39 წლის ავადმყოფები. აღსანიშნავია, რომ ამ ასაკობრივ ჯგუფში ავადმყოფთა რაოდენობამ 2005 წელს 1998 წელთან შედარებით 50%-ით მოიმატა (დიაგრ. 23). ავადმყოფთა მატება აღინიშნება ამბულატორიულ დაწასებულებებშიც (დიაგრ. 24). ამასთანავე, საშუალო ასაკის პაციენტების რაოდენობა სჭარბობს როგორც ახალგაზრდა, ასევე ხანდაზმულ პაციენტთა რაოდენობას.




დიაგრ. 1




დიაგრ. 2




დიაგრ. 3




დიაგრ. 4




დიაგრ. 5




დიაგრ. 6




დიაგრ. 7




დიაგრ. 8




დიაგრ. 9




დიაგრ. 10




დიაგრ. 11




დიაგრ. 12




დიაგრ. 13




დიაგრ. 14




დიაგრ. 15




დიაგრ. 16




დიაგრ. 17




დიაგრ. 18




დიაგრ. 19




დიაგრ. 20




დიაგრ. 21



დიაგრ. 22



დიაგრ. 23



დიაგრ. 24

ამგვარად, შესწავლილ პერიოდში ავადმყოფთა რაოდენობა თითქმის ყველა გამოკვლეულ დაავადებათა ჯგუფებში თანდათან მატულობს როგორც სტაციონარულ, ასევე ამბულატორიულ დაწესებულებებში. ეს, ერთი მხრივ დაკავშირებული უნდა იყოს აღნიშნულ პერიოდში ქვეყნის ჯანდაცვის რეფორმის გამო, დაავადებათა გამოვლენისა და აღრიცხვიანობის სისტემის გაუმჯობესებით; მეორე მხრივ, ის შეიძლება ასახავდეს ეკოლოგიური გარემოს გაუარესებასა და ორგანიზმზე მისი უარყოფითი ზემოქმედების შედეგს.

წარმოდგენილი დიაგრამების ანალიზი, რომელიც საჭიროებს მულტიფოკუსურ მიდგომას, მნიშვნელოვანი უნდა იყოს ჯანდაცვის

მენეჯერთათვის, მათ შორის, საზოგადოებრივი ჯანდაცვის მენეჯერთათვის. საინტერესოა მაკრატელის ეფექტი ზოგიერთი დაავადების მიმართ ასაკობრივ ჭრილში, როდესაც სტაციონარში ხანდაზმულთა ხვედრითი წილი განსხვავდება (ზოგჯერ კი, სრულიად საპირისპიროა) ამავე ასაკის პაციენტთა ხვედრითი წილისაგან – ამბულატორიულ დაწესებულებებში. ეს, ძირითად, უნდა აიხსნას თვით დაავადებისა და მისი მართვის თავისებურებით, თუმცა, არ არის გამორიცხული, რომ ასეთ მაკრატელის ეფექტს ასევე განაპირობებდეს სხვადასხვა ტიპის დაწესებულებაში მომსახურების ადეკვატურობის (ორგანიზაციული და ადამიანური რესურსის) დონე, სამედიცინო პერსონალთან კომუნიკაციის ხარისხი, ასევე საზოგადოებრივი აზრი იმის თაობაზე, თუ სად სჯობს ამა-თუ იმ ჩივილით პაციენტთა (განსაკუთრებით კი – ხანდაზმულ პაციენტთა) მიმართვა.

ასევე საჭიროებს ანალიზს, თუ რით იყო გამოწვეული, ამა თუ იმ წელს, სხვადასხვა სისტემის დაავადებათა “პიკი” ან “ჩავარდნა”.

ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო გამოგვევლინა ის დაავადებები, რომლებიც ხშირია (მატულობს) ხანდაზმულ ასაკში და, რომლებიც, სავარაუდოდ, აუცილებლად გასათვალისწინებელი იქნება მოხუცთა პალიატიური მზრუნველობის მოდელის დაგეგმვისას.

ჯანდაცვის სამინისტროს სტატისტიკური დეპარტამენტის მონაცემების კვლევის საფუძველზე დადასტურებულ იქნა, რომ ხანდაზმულთა ხვედრითი წილი ყველაზე მეტია გულ-სისხლძარღვთა, შარდ-სასქესო, სასუნთქი, თვალის და ენდოკრინული სისტემის დაავადებების მქონე ავადმყოფებს შორის.

შესწავლილ იქნა თბილისის რესპუბლიკური საავადმყოფოს 1995, 2000 და 2005 წლების სარქივო მასალა. სულ 1708 ავადმყოფობის ისტორია. კვლევის მიზანს შეადგენდა რესპუბლიკური საავადმყოფოს ზოგადი თერაპიისა და კარდიოლოგიის განყოფილებათა მაგალითზე 60 წლისა და მეტი ასაკის ავადმყოფთა სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის, დაავადებათა სიხშირის, თანმხლებ დაავადებათა რაოდენობრივი განაწილების, სამკურნალო პრეპარატების გამოყენების სიხშირის და მკურნალობის შედეგების ანალიზი.

რესპუბლიკური საავადმყოფოს ზოგადი თერაპიისა და კარდიოლოგიის განყოფილებებში 1995 წელს მკურნალობდა 60 წლის და მეტი ასაკის 311 ავადმყოფი, მათ შორის 152 (49 %) ქალი და 159 (51 %) მამაკაცი).

2000 წელს 60 წლისა და მეტი ასაკის ავადმყოფთა საერთო რაოდენობამ 552 შეადგინა, მათ შორის 265 (48%) ქალია და 287 (52 %) მამაკაცი. 2005 წელს კი შესაბამისი რაოდენობები ასეთი იყო: 553 ავადმყოფი, 288 ქალი (52%) და 265 მამაკაცი (48%).

მიღებული შედეგები გვიჩვენებს, რომ რესპუბლიკური საავადმყოფოს ზოგადი თერაპიისა და კარდიოლოგიის განყოფილებებში 1995 წელთან შედარებით 2000 და 2005 წლებში თითქმის გაორმაგდა 60 წლის და მეტი ასაკის ავადმყოფთა რიცხვი. შესაბამისად გაიზარდა საწოლდღეების რიცხვიც.

ამასთანავე, სამივე საკვლევ წელს და ორთავე განყოფილებაში პაციენტთა უმეტესი ნაწილი 8 დღეს ან მეტ ხანს რჩებოდა სამკურნალოდ. (დიაგრ. 25, 26, 27).

1995 წელს ქ. თბილისის რესპუბლიკური საავადმყოფოს ზოგად თერაპიულ განყოფილებაში სასუნთქი სისტემის დაავადებების მქონე 60 წელს გადაცილებულ ავადმყოფებში, ქალთა რაოდენობა აღემატება მამაკაცთა რაოდენობას. ამასთანავე, გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადების მქონე პაციენტების საერთო რაოდენობა (ორივე სქესის) სჭარბობს სასუნთქი სისტემით დაავადებულთა საერთო რიცხვს. მამაკაცთა რაოდენობა აღემატება ქალთა რაოდენობას (დიაგრ. 28).

იგივე ტენდენცია აღინიშნება 2000 წელს (დიაგ. 29).

განსხვავებული სურათია 2005 წელს, სადაც 60 წელს გადაცილებულ ასაკობრივ ჯგუფში პაციენტთა ყველაზე მეტი რაოდენობა მოდის სასუნთქი სისტემის დაავადებებზე (დიაგ 29). ეს შეიძლება აიხსნას გრიპის მძიმე ეპიდემიითა და მისი გართულებებით სასუნთქი სისტემის მხრივ.

რაც შეეხება ენდოკრინულ და სიმსივნურ დაავადებებს, მათი თანაფარდობა 1995, 2000 და 2005 წლებში, როგორც ქალებში, ასევე მამაკაცებში

თითქმის თანაბარია. შარდ-სასქესო სისტემით დაავადებულთა შორის 1995 წელს ქალთა რაოდენობა საგრძნობლად აღემატება მამაკაცთა რაოდენობას (დიაგრამა 28), თუმცა შემდგომ საკვლევ ვადებზე ეს უთანაბრობა ნიველირდება. ამასთანავე, პაციენტთა საერთო რაოდენობის სიმცირიდან გამომდინარე, სტატისტიკური მონაცემების განზოგადება და დასკვნების გამოტანა მიზანშეუწონელია.

კარდიოლოგიურ განყოფილებაში 1995, 2000, 2005 წლებში 60 წელს გადაცილებულ ასაკობრივ ჯგუფში პაციენტთა ყველაზე დიდი რაოდენობა დაფიქსირდა გულის იშემიური დაავადებებით. ამასთანავე, მამაკაცთა საერთო რაოდენობა ჭარბობს ქალების რაოდენობას. გამონაკლისს წარმოადგენს 2005 წელი, სადაც 60 გულის იშემიური დაავადებებით დაავადებულ ქალთა რაოდენობა მცირედ აღემატება მამაკაცთა რაოდენობას. რაც შეეხება ჰიპერტონულ დაავადებას, 1995, 2000, 2005 წლებში, 60 და მეტი წლის ასაკობრივ ჯგუფებში დაავადებულ ქალთა რაოდენობა უმნიშვნელოდ აღემატება მამაკაცთა რაოდენობას. გულის მანკით დაავადებულ პაციენტთა რაოდენობა კი თითქმის თანაბარია. სასუნთქი სისტემის პათოლოგიებით დაავადებულ მამაკაცთა საერთო რაოდენობა აღემატება ამავე პათოლოგიებით დაავადებულ ქალების საერთო რიცხვს. (აღსანიშნავია, რომ მამაკაცი პაციენტების რაოდენობა აღემატება ქალი პაციენტების რაოდენობას 1995 და 2005 წლებში, 2000 წელს კი - ქალთა და მამაკაცთა რაოდენობა თანაბარია (დიაგრამა 30, 31).

1995 წელს ზოგადი თერაპიის განყოფილებაში, ერთი თანმხლები დაავადებით დაავადებულთა რაოდენობა აჭარბებს ორი ან მეტი თანმხლები დაავადების მქონეთა რიცხვს, მაშინ როდესაც კარდიოლოგიურ განყოფილებაში ყველას სჭარბობს 2 თანმხლები დაავადების მქონე პაციენტები (დიაგრ. 32).

33-ე დიაგრამაზე მოცემულია ავადმყოფთა გადანაწილება თანმხლები დაავადებების მიხედვით 2000 წელს, სადაც ჩანს, რომ ორივე განყოფილებაში ჯამურად, 60 წლის ასაკს ზემოთ პაციენტებში ყველაზე მეტია ერთი თანმხლები დაავადებით შეპყრობილთა რაოდენობა.

34-ე დიაგრამაზე ნაჩვენებია ავადმყოფთა გადანაწილება თანმხლები დაავადებების მიხედვით 2005 წელს, სადაც უკვე თვალსაჩინოა ორი ან მეტი თანმხლები დაავადების მქონე პაციენტთა სიხშირე.

იმის გამო, რომ რესპუბლიკური საავადმყოფოს ზოგადი თერაპიისა და კარდიოლოგიის განყოფილებებში ავადმყოფთა გადანაწილების სურათი მსგავსია სამივე საკვლევი წლის განმავლობაში 35-ე დიაგრამაზე წარმოდგენილია ჯამური მონაცემები..

37-ე დიაგრამაზე წარმოდგენილია ავადმყოფთა განაწილება მკურნალობის შედეგების მიხედვით; ავადმყოფები დაჯგუფებულია შემდეგ კატეგორიებად “მდგომარეობა უცვლელია”, “მდგომარეობა გაუმჯობესებულია”, “მდგომარეობა გაუარესებულია/ლეტალური გამოსავალი”.

ყველა შემდგომ ვადაზე საერთო შედეგი (საერთო სურათი) გაუმჯობესებულია, კერძოდ:

ლეტალობა ხანდაზმულებში 1995 წელს შეადგენდა - 4.3% -ს, 2000 წელს - 4.2%-ს, ხოლო 2005 წელს - 3.3 % -ს. ეს უკანასკნელი მონაცემი სარწმუნოდ განსხვავდება წინა ორი წლის მონაცემისაგან.

“უცვლელი მდგომარეობით” სტაციონარიდან შედარებით მეტი ხანდაზმული პაციენტი გაეწერა 1995 წელს - 10.2%, ნაკლები 2000 (8.13%) და 2005 წლებში (8.15 %).

კვლევის ქვემოთე ფრაგმენტი ეხება სხვადასხვა სამკურნალწამლო საშუალებების გამოყენების სიხშირის შედარებას ახალგაზრდა და ხანდაზმულ პაციენტებში. 38-ე დიაგრამაზე მოცემულია ანტიბიოტიკების გამოყენების სიხშირე 1995 წელს. ახალგაზრდებში ანტიბიოტიკი 58 ქალიდან დაენიშნა 31-ს, ხოლო 72 მამაკაციდან – 69-ს. ე.ი. ანტიბიოტიკების გამოყენების ჯამურმა სიხშირემ ამ ჯგუფში 1995 წელს შეადგინა 77 %. მოხუცებში ანტიბიოტიკი 156 ავადმყოფი ქალიდან დაენიშნა 75 –ს, ხოლო 155 მამაკაციდან - 77-ს. ამ ასაკობრივ ჯგუფში ანტიბიოტიკების გამოყენების სიხშირე 49 %-ია.

2000 წელს 37 ახალგაზრდა ქალიდან 34-ს ანტიბიოტიკი ჰქონდა დანიშნული, 51 მამაკაციდან კი 41-ს. ე.ი. ანტიბიოტიკების გამოყენების ჯამური სიხშირე შეადგენდა 91%-ს. ხანდაზმულებში, 283 ქალიდან ანტიბიოტიკი დანიშნული ჰქონდა 132-ს, 269 მამაკაციდან კი – 169-ს. ანტიბიოტიკების გამოყენების ჯამური სიხშირე შეადგენდა 52 %-ს.

2005 წელს 33 ახალგაზრდა ქალიდან ანტიბიოტიკი დაენიშნა 27-ს, 50 მამაკაციდან კი – 49-ს. ამგვარად, ამ ჯგუფში ანტიბიოტიკების დანიშვნის ჯამური სიხშირე (92) %-ია. ხანდაზმულებში 310 ქალიდან ანტიბიოტიკი დაენიშნა 116-ს, ხოლო 243 მამაკაციდან – 125-ს. ანტიბიოტიკების გამოყენების ჯამურმა სიხშირემ შეადგინა 77 %.

ამრიგად, 1995 წლიდან 2005 წლამდე ანტიბიოტიკების გამოყენების სიხშირე ხანდაზმულებში გაიზარდა 49%-დან 77 % - მდე.

38- ე დიაგრამაზე მოცემულია საგულე გლიკოზიდების გამოყენების სიხშირე სხვადასხვა ასაკის ავადმყოფებში. 1995 წელს ახალგაზრდებში საგულე გლიკოზიდების გამოყენების სიხშირე 35 % -ია, ხანდაზმულებში 79 %. ამასთანავე, აღმოჩნდა, რომ მამაკაცებსა და ქალებს ამ პრეპარატებს ერთნაირად უნიშნავდნენ.

2000 წელს ახალგაზრდებში საგულე გლიკოზიდების გამოყენების სიხშირე 17%-ია, ხანდაზმულებში კი 44%.

2005 წელს ახალგაზრდებში საგულე გლიკოზიდების გამოყენების სიხშირე - 16 %-ია. ხანდაზმულებში - 43 %.

ამგვარად, საგულე გლიკოზიდების გამოყენების ჯამური მაჩვენებელი 1995 წლიდან 2005 წლამდე შემცირდა, თუმცა ხანდაზმულებში მათი გამოყენების სიხშირე 2-ჯერ მეტია ახალგაზრდებთან შედარებით.

39-ე დიაგრამა გვიჩვენებს დიურეზული საშუალებების გამოყენების სიხშირეს სხვადასხვა ასაკის ავადმყოფებში. 1995 წელს ახალგაზრდა ავადმყოფებში ამ პრეპარატების გამოყენების სიხშირე შეადგენს 25 %-ს, 60 წელს გადაცილებულ პირებში კი - 62 %-ს.

2000 წელს ახალგაზრდა ავადმყოფებში დიურეზული საშუალებების გამოყენების სიხშირე 33 %-ია. ხანდაზმულებში – 71 %.

2005 წელს ახალგაზრდა ასაკის ავადმყოფებში დიურეზული საშუალებების გამოყენების სიხშირე 36 %-ია, ხანდაზმულებში – 86 %. როგორც ირკვევა, დიურეზული საშუალებების გამოყენების სიხშირე ხანდაზმულებში ბევრად მეტია ახალგაზრდებთან შედარებით.

მე-40 დიაგრამაზე წარმოდგენილია ტრანკვილიზატორების გამოყენების სიხშირე. 1995 წელს ახალგაზრდა პაციენტებში ის შეადგენდა 32 %-ს, ხანდაზმულებში კი - 22%-ს.

2000 წელს ეს მონაცემები შესაბამისად იყო 15 % და 11 %, ხოლო 2005 წელს კი - 12 % და 3.9 %.

ამრიგად, ტრანკვილიზატორები უფრო მეტი ხშირად გამოიყენებოდა ახალგაზრდებში, ვიდრე ხანდაზმულებში .

41-ე დიაგრამაზე წარმოდგენილია ჰიპოტენზიური საშუალებების გამოყენების სიხშირე. 1995 წელს ამ ჯგუფის პრეპარატების გამოყენების სიხშირე ახალგაზრდებში 11 %-ს შეადგენს. 60 წლისა და მეტი ასაკის პირებში კი - 54 %-ს.

2000 წელს ახალგაზრდებში ჰიპოტენზიური საშუალებების გამოყენების სიხშირე 42 %-ს შეადგენდა, ხანდაზმულებში კი - 53 %-ს. ეს მონაცემები, 2005 წელს, შესაბამისად იყო 53% და 98 %.

ე.ი. ჰიპოტენზიურ საშუალებათა გამოყენების სიხშირე ახალგაზრდებში 11 % დან 53 % -მდე გაიზარდა, ხოლო ხანდაზმულებში 54 %-დან 98 %-მდე. ამასთან, მამაკაცებში ეს პრეპარატები უფრო ხშირად გამოიყენება.

42-ე დიაგრამაზე ნაჩვენებია საძილე საშუალებების გამოყენების სიხშირე. აღსანიშნავია, რომ ეს საშუალებები, როგორც წესი, შედარებით იშვიათად იყო გამოყენებული.

1995 წელს ახალგაზრდებში ამ ჯგუფის პრეპარატები საერთოდ არ დანიშნულა, ხოლო ხანდაზმულებში, მათი გამოყენების სიხშირე შეადგენდა

2,5%-ს. 2000 წელს ახალგაზრდებში მათი გამოყენების სიხშირე 0,5 %, ხანდაზმულებში კი 0,3 %-ია. ასევე იშვიათად ინიშნებოდა ეს პრეპარატები 2005 წელსაც.

ამასთანავე, ხანდაზმულებსა და ახალგაზრდებში მათი დანიშვნის სიხშირე თითქმის თანაბარია. 43-ე დიაგრამაზე წარმოდგენილია ანთების საწინააღმდეგო არასტეროიდული პრეპარატების გამოყენების სიხშირე. ეს მონაცემი 1995 წელს ახალგაზრდებში შეადგენს 32 %-ს, ხანდაზმულებში კი - 26 %-ს.

2000 წელს ეს მონაცემები შეადგენს, შესაბამისად, 35%-ს და 33%-ს., 2005 წელს კი 65 %-ს და 87 %-ს.

ამგვარად, 2005 წლის მონაცემი ასახავს ანთების საწინააღმდეგო არასტეროიდული პრეპარატების დანიშვნით გატაცების ტენდენციას, ერთი მხრივ, და მოხუცებში მათი ფართოდ გამოყენების დამკვიდრებას, მეორე მხრივ.

ანთების საწინააღმდეგო სტეროიდების გამოყენების სიხშირე ნაჩვენებია 44-ე დიაგრამაზე. ახალგაზრდა ასაკის პაციენტებში 1995 წელს მათი გამოყენების სიხშირე 26 %-ია, ხანდაზმულებში კი -11%. 2000 წელს ახალგაზრდებში ეს მაჩვენებელი შეადგენს 20%-ს, ხოლო ხანდაზმულებში - 12%-ს. 2005 წელს, ეს ციფრები, შესაბამისად არის 22% და 25%. როგორც ვხედავთ ამ პრეპარატების გამოყენების სიხშირეც მატულობს ხანდაზმულებში.


45-ე დიაგრამაზე წარმოდგენილია ანტიარითმული, ანტისპაზმური, ანტი-ანგინალური საშუალებების გამოყენების სიხშირე. ხანდაზმულებში ამ პრეპარატების გამოყენების სიხშირე ყველა შესწავლილ წელს ცალსახად მეტია ახალგაზრდებთან შედარებით.

46-ე დიაგრამაზე წარმოდგენილია არაპირდაპირი ანტიკოაგულანტების გამოყენების სიხშირე. 1995 წელს ახალგაზრდებში იგი 1 % -ს უტოლდება, ხანდაზმულებში 6.7 %-ს. 2000 წელს ახალგაზრდებში იგი 18 % -ის ტოლია, ხანდაზმულებში 13 % -ის. 2005 წელს ახალგაზრდებში მათი გამოყენების სიხშირე 3.3 % -ია, ხანდაზმულებში - 4,4 %.

47-ე დიაგრამაზე ნაჩვენებია პირდაპირი მოქმედების ანტიკოაგულანტების გამოყენების სიხშირე. 1995 წელს იგი ახალგაზრდებში 13 % -ის ტოლია, ხანდაზმულებში კი 20 %-ისა. 2000 წელს ეს ციფრები შესაბამისად არის – 14 % და 13 %, ხოლო 2005 წელს - 6.5 % და 15 %.


როგორც ვხედავთ, ხანდაზმულებში ამ პრეპარატებს უფრო ხშირად იყენებენ, ამასთანავე, საკვლევი წლების მიხედვით მათი გამოყენების სიხშირე მნიშვნელოვან ცვლილებებს არ განიცდის.

ქ. თბილისის რესპუბლიკური საავადმყოფოს ზოგადი თერაპიულა და კარდიოლოგიის განყოფილებების ავადმყოფთა გადასაწილება საწოლოების მიხედვით სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში (1995 წ.)




დიაგრ. 25

ქ. თბილისის რესპუბლიკური საავადმყოფოს ზოგადი თერაპიისა და კარდიოლოგიის განყოფილებების ავადმყოფთა გადანაწილება საწოლდების მიხედვით სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში (2000 წ.)




დიაგრ. 26

3.3. ქ. თბილისის რესპუბლიკური საავადმყოფოს ზოგ.თერაპიისა და კარდიოლოგიის განყოფილებების ავადმყოფთა გადანაწილება საწოლდების მიხედვით სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში (2005 წ.)




დიაგრ. 27

ქ.თბილისის რესპუბლიკური საავადმყოფოს ზოგადი თერაპიის განყოფილებებში სეადასხვა ასაკისა და სქესის ავადმყოფთა გადანაწილება დაავადებების მიხედვით (1995 წ.)




დიაგრ. 28

ქ.თბილისის რესპუბლიკური საავადმყოფოს ზოგადი თერაპიის განყოფილებებში სეადასხვა ასაკისა და სქესის ავადმყოფთა გადანაწილება დაავადებების მიხედვით (2000წ.)




დიაგრ. 29

ქ.თბილისის რესპუბლიკური საავადმყოფოს ზოგადი თერაპიის განყოფილებებში სეადასხვა ასაკისა და სქესის ავადმყოფთა გადანაწილება დაავადებების მიხედვით (2005წ.)




დიაგრ. 30

ქ.თბილისის რესპუბლიკურ საავადმყოფოს კარდიოლოგიის განყოფილებაში სეადასხვა ასაკისა და სქესის ავადმყოფთა გადანაწილება დაავადებების მიხედვით (1995წ.)




დიაგრ. 31

თბილისის რესპუბლიკური საავადმყოფოს კარდიოლოგიის განყოფილება
სხვადასხვა ასაკისა და სქესის ავადმყოფების გადანაწილება
დაავადებების მიხედვით (2000წ.)




დიაგრ. 32

ქ.თბილისის რესპუბლიკური საავადმყოფოს ზოგადი თერაპიისა და
კარდიოლოგიის განყოფილებების სხვადასხვა ასაკისა და სქესის ავადმყოფთა
გადანაწილება თანმხლები დაავადებების მიხედვით (1995წ.)




დიაგრ. 33

ქ.თბილისის რესპუბლიკური საავადმყოფოს ზოგადი თერაპიისა და კარდიოლოგიის განყოფილებების სხვადასხვა ასაკისა და სქესის ავადმყოფთა გადანაწილება თანმხლები დაავადებების მიხედვით (2000წ.)




დიაგრ. 34

ქ.თბილისის რესპუბლიკური საავადმყოფოს ზოგადი თერაპიისა და კარდიოლოგიის განყოფილებების სხვადასხვა ასაკისა და სქესის ავადმყოფთა გადანაწილება თანმხლები დაავადებების მიხედვით (2005წ.)




დიაგრ. 35

ქ.თბილისის რესპუბლიკური საავადმყოფოს ზოგადი თერაპიისა და კარდიოლოგიის განყოფილებების ავადმყოფთა გადანაწილება მკურნალობის შედეგის მიხედვით (ჯამური)




დიაგრ. 36


ქ.თბილისის რესპუბლიკური საავადმყოფოს ზოგადი თერაპიისა და კარდიოლოგიის განყოფილებების ავადმყოფთა გადანაწილება მკურნალობის შედეგის მიხედვით ცალცალკე განყოფილებებში




დიაგრ. 37




დიაგრ. 38




დიაგრ. 39




დიაგრ. 40




დიაგრ. 41




დიაგრ. 42




დიაგრ. 43




დიაგრ. 44




დიაგრ. 45



დიაგრ. 46



დიაგრ. 47



დიაგრ. 48

წარმოდგენილი მონაცემები გვიჩვენებს, რომ ხანდაზმულებში ხშირად გამოიყენება საგულე გლიკოზიდები, ანტიბიოტიკები, ჰიპოტენზიური საშუალებები, დიურეზული საშუალებები, ანთების საწინააღმდეგო არასტეროიდები, სტეროიდები, პირდაპირი და არაპირდაპირი მოქმედების ანტიკოაგულანტები, ანტიარითმული, ანტისპაზმური და ანტიანგინალური პრეპარატები.

ამ პრეპარატების გამოყენების სიხშირე იგივეა, რაც ახალგაზრდებში ან აჭარბებს მას. ამ მონაცემებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ ხანდაზმულების მკურნალობის სრულყოფისათვის აუცილებელია ექიმების და მედდების სპეციალიზაცია გერიატრიაში.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სოციალურ - ეკონომიკურმა საბჭომ ევროპის ქვეყნების 2002 წლის მადრიდის კონფერენციაზე, დაბერების პრობლემებთან დაკავშირებით შეიმუშავა საერთაშორისო მოქმედების გეგმა, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს უფროსი ასაკის მოსახლეობის უსაფრთხოებას,

ჯანმრთელობას და კეთილდღეობას (Declaration P. Madrid International Plan of Action on Ageing. (2002). InA/CONF (Vol. 197, No. 9)).

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანის ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში შექმნილია და ფუნქციონირებს გერიატრიული სამსახური, რომელიც ითვალისწინებს უფროსი ასაკის პირებში დაავადებათა პრევენციას და მკურნალობის სწორად წარმართვას.

ხშირად ხანდაზმულთა ჩივილები მათთვის დამახასიათებელი აკვიატებული აზრი კი არაა, არამედ ატიპიურად მიმდინარე ამა თუ იმ დაავადების კლინიკური სიმპტომებია. ექიმებისათვის აუცილებელია ხანშიშესულ და მოხუცებულ ასაკში ფარმაკოთერაპიის თავისებურებების ცოდნა. გერიატრიული ფარმაკოლოგია, ფარმაკოთერაპიის შედარებით ახალი დარგია. მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში ის ძალზე აქტუალური გახდა (Keijsers CJ et al., 2012; Katzung BG., 2004).

ხანდაზმულებისათვის დამახასიათებელია ქრონიკულ დაავადებათა სიხშირე, რაც შესაბამისად მოითხოვს სხვადასხვა პრეპარატის კომპლექსურ დანიშვნას. ამასთანავე, ცნობილია, რომ ასაკთან ერთად იცვლება პრეპარატის ფარმაკოდინამიკა და ფარმაკოკინეტიკა, მათი მოქმედების თერაპიული და ტოქსიკური ეფექტები (Mangoni AA, Jackson SH., 2004; Williams CM., 2002). ამდენად, გერიატრიული პრაქტიკა, ანუ ხანდაზმული ასაკის მოსახლეობის მკურნალობა მოითხოვს ფარმაკოთერაპიული ნორმების ძირეულ გადახედვას, რამდგანაც ექიმის მიერ ამ პროცესების არცოდნამ, ან გაუთვალისწინებლობამ შეიძლება გამოიწვიოს იატროგენული გართულებები.

ფარმაკოკინეტიკის ასაკობრივი თავისებურებები გამოწვეულია დაბერებულ ორგანიზმში მიმდინარე ისეთი მორფო-ფუნქციური თავისებურებებით, როგორიცაა კუჭ-ნაწლავის ტრაქტიდან ნივთიერებათა შენელებული აბსორბცია, ორგანიზმში წამლის გადანაწილების დინამიკის დარღვევა, სისხლის ცილებთან შეკავშირების და ღვიძლში ბიოტრანსფორმაციის სიჩქარის შემცირება, ასევე, პრეპარატის ექსტრაქციის დაქვეითება (Hämmerlein A et al., 1998). ასაკის მატებასთან ერთად მატულობს წამლით ინტოქსიკაციის რისკი საშუალო თერაპიული დოზების დროსაც კი. აღნიშნული

გამოწვეულია „ეფექტურ“ და „საშიშ“ დოზებს შორის ინტერვალის შემცირებით (Turnheim K., 2003). ამასთანავე, ექიმმა უნდა გაითვალისწინოს, რომ ფარმაკოკინეტიკის დარღვევები ხასიათდება თავისებურებით ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, დაბერებული ორგანიზმის ინდივიდუალურობიდან გამომდინარე (Fick DM et al., 2003).

პრეპარატის პერორალურად მიღების დროს, ფარმაკოკინეტიკის პირველ ეტაპზე შეფერხებულია შეწოვა კუჭნაწლავის ტრაქტიდან, ამის მიზეზია ნაწლავის ხაობის შემწოვი ზედაპირის ატროფია, მოტორიკისა და ევაკუატორული ფუნქციის შენელება, კუჭის სეკრეციის დაქვეითება და აქილია, პანკრეასის ფერმენტული აქტივობის და მეზენტერიული ჯირკვლების სისხლმომარაგების დაქვეითება. შეფერხებულია წამლის გახსნა-შეწოვა და მისი მოქმედების ეფექტი, ანუ მაქსიმალური პიკის მიღწევა სისხლში. ზემოაღნიშნული განსაკუთრებით ეხება ბარბიტურატებსა და ანტიდეპრესანტებს. რკინის პრეპარატების შეთვისება გაძნელებულია არამარტო შეწოვის პროცესის, არამედ ღვიძლის და სხვა ორგანოთა დეპონირების ფუნქციის დაქვეითების გამო.

სამკურნალო პრეპარატების ბიოტრანსფორმაცია, ანუ ადამიანის ორგანიზმის მეტაბოლიზმში ჩართვა ხორციელდება ღვიძლის მიკროსომული ფერმენტების საშუალებით (Katzung BG et al., 2004). ასაკთან დაკავშირებით ღვიძლის პარენქიმა ატროფირდება, ქვეითდება მიკროსომული ფერმენტების აქტივობა და რაც მთავარია მცირდება ღვიძლის ანტიტოქსიკური ფუნქცია. ზემოაღნიშნულმა შესაძლებელია გამოიწვიოს ნახევრად დაშლილი სამკურნალო პრეპარატის ნივთიერებების დაგროვება ორგანიზმში. ამასთანავე, ასაკის მატებასთან ერთად მცირდება სისხლის მიდინება თირკმელებისაკენ, შესაბამისად, ქვეითდება მათი ფილტრაციის ფუნქცია, მცირდება სრულფასოვნად მოფუნქციონირე ნეფრონების რიცხვიც. ასეთ შემთხვევაში არცთუ იშვიათია თირკმელის წამლისმიერი დაზიანება (Corsonello A et al., 2005; Juurlink DN et al., 2003).

სამკურნალო პრეპარატების მოქმედების ეფექტი განისაზღვრება არა მარტო მათი კონცენტრაციით სისხლში, არამედ ორგანოებისა და ქსოვილების

რეცეპტორების ფუნქციური მდგომარეობით, რომელთა საშუალებითაც ვლინდება ფარმაკოლოგიური ეფექტი. ნერვული სისტემის რეცეპტორების რაოდენობრივი შემცირება ხანდაზმულ ასაკში განაპირობებს ნერვული ქსოვილის ფუნქციურ გამოფიტვას, რაც თავის მხრივ განაპირობებს მიღებული პრეპარატის რთულად პროგნოზირებად შედეგს. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებული რისკის შემცველია ისეთი პრეპარატები, როგორიცაა საგულე გლიკოზიდები, ნიტრიტები, გლიკოკორტიკოსტეროიდები, ადრენო ბლოკატორები, ტრანკვილიზატორები, პარკინსონიზმისა და კრუნჩხვის საწინააღმდეგო საშუალებები.

ნაჩვენებია, რომ სამკურნალო პრეპარატებით გამოწვეული გართულებები 7-ჯერ უფრო ხშირია 70-79 წლის ასაკში, ვიდრე 20-29 წლის პირებში. ეს გართულებები მრავალფეროვანია, ხშირად ატიპიურიც. მაგალითად, პრეპარატები – რეზერპინი, ინდომეტაცინი, კორტიკოსტეროიდები, რომლებსაც ახალგაზრდა ასაკში არ ახასიათებთ გვერდითი მოვლენები, ხანდაზმულებში იწვევს დეპრესიას.

ხანდაზმულთა ასაკში პურინული ცვლის დარღვევა, შეიძლება კიდევ უფრო გააღრმავოს ისეთმა პრეპარატებმა როგორიცაა პანკრეატინი, ინოზინი, რიბოქსინი, შარდმდენები (თიაზიდი, ფუროსემიდი და სხვა.) (Puig JG et al., 1999; Johnson RJ et al., 2003).

გერიატრიულ პრაქტიკაში საკმაოდ სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს ნეიროლეპტიკებით გამოწვეული ე.წ. "წამლისმიერი პარკინსონიზმი", რომლის სიხშირე კლინიკებში თითქმის 50%-ს აღწევს. ნეიროლეპტიკები კი, როგორც საძილე, ისე დასამშვიდებელი საშუალებები, სამწუხაროდ, დღესაც უკონტროლოდ გამოიყენება მოხუცებში.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ხანდაზმულ ავადმყოფთა მკურნალობის დროს ფართოდ გამოიყენება კომპლექსური (პოლი-) თერაპია, როდესაც ექიმები ნიშნავენ სხვადასხვა სამკურნალო პრეპარატებს და სამწუხაროდ მხედველობაში არ იღებენ იმ ფაქტს, რომ ამ დროს იზრდება წამალთა ურთიერთქმედების არასასურველი რეაქციები, ვინაიდან, სამკურნალო პრეპარატები, მეტაბოლიზმის ყველა ეტაპზე (შეწოვა, განაწილება, მეტაბოლიზმი, ექსტრაქცია) ურთიერთმოქმედებს, რაც

განაპირობებს არაპროგნოზირებად გართულებებს. ასაკობრივი ფარმაკოლოგიის მოთხოვნილების წარმოდგენილი, თუნდაც ზედაპირული ანალიზი მკაფიოდ წარმოაჩენს საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში სრულყოფილი გერიატრიული სამსახურის შექმნის აუცილებლობას. ამისათვის უნდა მომზადდეს სპეციალისტები სამედიცინო განათლების ყველა დონეზე, სახელმწიფო უმაღლეს სამედიცინო სასწავლებლებში უნდა გაიხსნას გერონტოლოგიისა და გერიატრიის კათედრები. სპეციალობათა ნუსხაში შეტანილ იქნას გერონტოლოგიისა და გერიატრიის სპეციალობა, საავადმყოფოებში შეიქმნას გერიატრიული განყოფილებები, ხოლო პოლიკლინიკებში გერიატრიული კაბინეტი, შეიქმნას მოხუცთათვის დღის სტაციონარები და ბინაზე მოვლის პალიატიური სამსახური.

საქართველოში ხანდაზმული ასაკის მოსახლეობის სრულფასოვანი სამედიცინო მომსახურების მიზნით, სამედიცინო განათლების ყველა დონეზე აუცილებელია ზოგადი გერონტოლოგიისა და გერიატრიის სასწავლო პროგრამის დანერგვა, რაც ხელს შეუწყობს საქართველოში მცხოვრებ უფროსი ასაკის მოსახლეობაში დაავადებათა პრევენციის და კვალიფიცირებული სამედიცინო მომსახურებისა და პალიატიური მზრუნველობის სისტემის ჩამოყალიბებას.

2. მოპროგრესე განუკურნელი ქრონიკული დაავადებით შეპყრობილ ხანდაზმულ პაციენტთა მკურნალობა/მზრუნველობის მიმართ ამ პაციენტთა ოჯახის წევრების მოთხოვნებისა და დამოკიდებულებების გამოკვლევა და სისტემატიზაცია.

ქრონიკული ინკურაბელური დაავადებების მქონე მოხუცებულთა ოჯახის წევრების შეხედულებები კრიტიკული და ინტენსიური თერაპიის განყოფილებებში ამ მოხუცთა მკურნალობის პროცესში ექიმებთან კომუნიკაციის თაობაზე

შედეგები:

კვლევაში მონაწილეობა მიიღო კრიტიკული/ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში სერვის-მიღებული ქრონიკული ინკურაბელური დაავადებით

შეპყრობილი 20 ხანდაზმული პაციენტის 27-მა ოჯახის წევრმა. პაციენტთა სქესი, ასაკი და დიაგნოზები მოცემულია ცხრილში (ცხრილი #1). 27-ივე პირმა შეავსო თანდართული კითხვარი (კითხვარი #1). კითხვარის შედგენის პრინციპი და მისი შევსების მეთოდი აღწერილია თავში „კვლევის მასალა და მეთოდები“.

შევსებული კითხვარები დამუშავდა და დახარისხდა (კლასიფიცირდა) კვლევის მასალასა და მეთოდებში აღწერილი წესით და შედგენილი იქნა ცხრილი, როგორც აბსოლუტური, ისე პროცენტული მაჩვენებლების ჩვენებით (ცხრილი 7).

ცხრილი 7: პაციენტის ოჯახის წევრების აღწერილობითი სტატისტიკა

პაციენტის პასუხები	არასოდეს/ იშვიათად/ არადამაკმა ყოფილბ ლად	მეტ/ნაკლება დ	ხშირად/ ყოველთვის/ დამაკმაყოფ ილებლად	არ ვიცი
	n (%)	n (%)	n (%)	n (%)
თქვენ, როგორც ოჯახის წევრს, გესაუბრებოდათ თუ არა ექიმი პაციენტთან დაკავშირებულ ისეთ დეტალებზე, რომელიც ეხებოდა პაციენტის შესაძლო მდგომარეობის გაუარესებას?	5 (18,5)	9 (33,3)	13 (48,1)	0
ექიმი გატყობინებდათ თქვენ, როგორც პაციენტის ოჯახის წევრს, პაციენტის სავარაუდო სიცოცხლის ხანგრძლივობის თაობაზე?	8 (29,6)	9 (33,3)	10 (37,0)	0
არჩევდა თუ არა ექიმი თქვენთან, თუ როგორ შეიძლება დადგეს პაციენტის სიკვდილი?	12 (44,4)	11 (40,7)	4 (14,8)	0
ათანხმებდა თუ არა ექიმი თქვენთან გადაწყვეტილებას მკურნალობის შემდგომი ტაქტიკის თაობაზე (მართვით სუნთქვაზე შესაძლო გადაყვანა, ან სხვა)?	4 (14,8)	7 (25,9)	16 (59,3)	0
გესაუბრებოდა თუ არა ექიმი იმ ცხოვრებისეულ თემებზე, რომლებიც დაკავშირებულია	13 (48,1)	7 (25,9)	6 (22,2)	1 (3,7)

	მნიშვნელოვანია პაციენტისათვის და თქვენთვის?				
	გესაუბრობოდათ ექიმი პაციენტის რწმენაზე (სარწმუნოებაზე)?	21 (77, 8)	4 (14,8)	2 (7,4)	0
	ექიმი პატივს სცემდა თქვენი და პაციენტის სულიერ განწყობას და რელიგიურობას?	14 (51,9)	4 (14,8)	2 (7,4)	7 (25,9)
		ძალიან უძნელდე ბოდა	საშუალოდ/ რამდენადმე	არ უძნელდებოდა	არ ვიცი
	ექიმს უჭირდა თუ არა თქვენთან პაციენტის სიკვდილზე ლაპარაკი?	2 (7,4)	13 (48,1)	11 (40,7)	1 (3,7)
		უარყოფითად	საშუალოდ	დადებითად	არ ვიცი
	ზოგადად როგორ შეაფასებდით ექიმის და ოჯახის წევრის კომუნიკაციას?	6 (22,2)	14 (51,9)	7 (25,9)	0

კითხვებზე პაციენტის ოჯახის წევრების პასუხების ანალიზმა აჩვენა, რომ გამოკითხულები, მნიშვნელოვანწილად არ არიან კმაყოფილი ექიმებთან თავიანთი კომუნიკაციის ხარისხით. მას დადებითად აფასებს მხოლოდ 25,9 %. ასეთი შეფასების მიზეზად შეიძლება განიხილებოდეს ის, რომ გამოკითხულთა 51,8% მიიჩნევს რომ ექიმები „არ“- ან „მეტ-ნაკლებად“ განიხილავდნენ მათთან პაციენტის მდგომარეობის შესაძლო გაუარესებას; მხოლოდ 37,0 % -მა დაადასტურა, რომ ექიმებმა მათთან ხშირად/ყოველთვის (ანუ ადეკვატურად) განიხილავდნენ საკითხს იმის თაობაზე, თუ როდის და როგორ შეიძლება მომხდარიყო პაციენტის გარდაცვალება; 63 %-ში კი, პაციენტის ოჯახის წევრების შეფასებით, მათთან აღნიშნული საკითხის თაობაზე კომუნიკაცია არასრულფასოვანი იყო. ამასთანავე, პაციენტთა ახლობლების მხოლოდ 14,8 %-ს ჰქონდა დამაკმაყოფილებლად ახსნილი, თუ თუ როგორ შეიძლება დამდგარიყო პაციენტის სიკვდილი. პაციენტის ოჯახის წევრთა 55,5 % მიიჩნევს, რომ ექიმებს უძნელდებოდათ მათთან პაციენტის სიკვდილის თაობაზე საუბარი.

პაციენტის ოჯახის წევრთა პროცენტმა დაადასტურა, რომ ექიმებმა მათთან „ხშირად/ყოველთვის/დამაკმაყოფილებლად“ შეათანხმეს მკურნალობის გეგმა (მათ შორის, გულ-ფილტვის რეანიმაციის და/ან ხელოვნური სუნთქვის აპარატების გამოყენებას), მაშინ როდესაც გამოკითხულთა 14,8 %-ს ასეთი თანამშრომლობას არადამაკმაყოფილებლად აფასებს.

პაციენტის ოჯახის წევრების ნახევარი (50.8%) აღნიშნავდა რომ ექიმი არასოდეს / იშვიათად საუბრობდა სიცოცხლესთან დაკავშირებულ საკითხებზე, რომლებიც ეხებოდა და/ან მნიშვნელოვანი იყო პაციენტისთვის, განსხვავებით ექიმების 10.8%-ისგან, რომლებიც აღნიშნავდნენ იგივეს Q1.6/Q2.6 ($p<0.0001$). რაც შეეხება პაციენტის სულიერ საჭიროებებსა და რელიგიურობას, ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში მომუშავე ექიმების 64.6%-მა აღნიშნა, რომ ისინი ხშირად / ყოველთვის გამოხატავდნენ ამგვარ პატივისცემას, თუმცა პაციენტის ოჯახის წევრების მხოლოდ 6.8% მიიჩნევდა რომ ეს მართლაც ასე იყო (Q1.8/Q2.8) ($p<0.0001$).

ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში სერვის-მიღებული პაციენტების ოჯახის წევრების მხოლოდ მეოთხედი (24.8%) იყო კმაყოფილი კომუნიკაციის დონით (Q2.10). მათი უკმაყოფილების მიზეზი იყო მათი საჭიროებების და მოთხოვნების მიმართ არასათანადო ყურადღება და პატივისცემა. ამისგან განსხვავებით, ინტენსიური თერაპიის განყოფილების ექიმების 78.5% აფასებდა პაციენტების ოჯახის წევრებთან საკუთარ კომუნიკაციას დადებითად (Q1.10) (<0.0001).

1. კრიტიკული მედიცინის და ინტენსიური თერაპიის განყოფილებები არის ის ადგილი, სადაც ამა თუ იმ მიზეზით ხვდება ხანში შესულთა და მოხუცთა მნიშვნელოვანი კონტინგენტი, მათ შორის ქრონიკული განუკურნელი დაავადებით შეპყრობილი ხანდაზმულები. ასეთ განყოფილებებში ხშირია ხანდაზმულთა გარდაცვალება. ეს მაჩვენებელი მთელს მსოფლიოში სხვადასხვაა (Bekelman JE et al, 2016), თუმცა გარდაცვლილთა შორის აშკარად სჭარბობს ხანდაზმულთა კატეგორია. წინათ, მიჩნეული იყო, რომ ძირითადი პრობლემები წარმოიშვებოდა კიბოს ტერმინალური სტადიაზე მყოფი პაციენტების კრიტიკული მედიცინის და

ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში გადაყვანის ხარჯებთან დაკავშირებით; ამავდროულად, ყოველთვის საკამათო იყო სიცოცხლის შემანარჩუნებელი თერაპიის შეჩერებასთან დაკავშირებული ეთიკური, იურიდიული და სამედიცინო-ბიოლოგიური პრობლემების გადაჭრის გზები (Vincent JL et al, 2004). ჰოსპიტალში გარდაცვალება ხშირად ხდებოდა და ხდება პაციენტის სურვილის წინააღმდეგ, რომელთაგანაც ბევრი ამჯობინებდა სახლში გარდაცვალებას (Gomes B et al, 2012; Field MJ, Cassel CK, 1997; De Roo ML et al, 2013).

სერიოზული, სიცოცხლისთვის საშიში დაავადების და ან მდგომარეობის მქონე ბევრი ხანდაზმულის მიყვანა კრიტიკული და ინტენსიური თერაპიის განყოფილებებში ხდება იმის გამო, რომ მათი სიმპტომების კონტროლი ვეღარ ხერხდება სახლში (Addington-Hall J et al, 1998; Grudzen CR et al, 2011). იმის გამო, რომ არ არსებობს პალიატიური მზრუნველობის სამსახური ზოგადად, და მოხუცთა პალიატიური სამსახური - კერძოდ, კრიტიკული და ინტენსიური თერაპიის განყოფილებებს უწევთ ჰოსპისური ტიპის დაწესებულების იძულებით „ჩანაცვლება“. ამასთანავე, თავიანთი პროფესიული ცოდნიდან და ჩვევებიდან გამომდინარე, ამ განყოფილებათა სამედიცინო პერსონალი აგრძელებს პაციენტთა „გადარჩენის“ და „მკურნალობის“ მცდელობას, მაშინაც კი, როდესაც პაციენტს მხოლოდ პალიატიური მზრუნველობა ესაჭიროება. აღნიშნულის გამო, ამ ბოლო დროს სულ უფრო და უფრო საკამათო ხდება კრიტიკული და ინტენსიური თერაპიის განყოფილებებში მოწოდებული ზოგიერთი „უშედეგობის“ ტიპის მკურნალობის საკითხი მოხუცთა კონტინგენტისათვის (Palda VA et al, 2005).

როგორც წესი, ასეთ განყოფილებაში ტერმინალური პაციენტის მოყვანის მოტივაცია მისი ოჯახის წევრებისათვის არის პაციენტის მდგომარეობის გაუმჯობესება და სიცოცხლის

გახანგრძლივება. პაციენტების ნათესავების მოლოდინები და იმედები ხშირად ზედმეტად მაღალია. გასათვალისწინებელია, რომ კრიტიკული და ინტენსიური თერაპიის ექიმებს აქვთ შეზღუდული ცოდნა და რესურსები იმ პაციენტების ადეკვატური მართვისათვის, რომელთაც ესაჭიროებათ პალიატიური მზრუნველობა.

ასევე იმისათვის, რომ პატივი სცენ პაციენტებისა და მათი ოჯახის წევრთა მოლოდინებსა და სურვილებს (Smith AK et al, 2009; Stone SC et al, 2011). მიუხედავად იმისა, რომ კრიტიკული და ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში ექიმები ყოველდღიურად აწყდებიან სიკვდილს, ისინი არ არიან სპეციალურად მომზადებულები ცუდი ამბის შეტყობინების ცოდნისა და ჩვევების თვალსაზრისით; ეს იმითაა გამოწვეული, რომ მათ, თავიანთი პროფესიული განათლების/განვითარების ეტაპზე არ უსწავლიათ პალიატიური მზრუნველობის თუნდაც საბაზისო კურსი, რომელიც უპირობოდ მოიცავს პაციენტებთან და მათ ახლობლებთან კომუნიკაციის ფორმებსა და ჩვევებს, „ცუდი ინფორმაციის“ მიწოდების ფორმებისა და ჩვევების ჩათვლით (Seymour JE., 2000). გარდა ამისა, ცნობილია, რომ საქართველოში ექიმები ისედაც არ გრძნობენ თავს კომფორტულად პაციენტებთან და მათ ახლობლებთან კომუნიკაციისას, როდესაც საქმე ეხება ცუდ პროგნოზს ან მკურნალობის უშედეგობას (Kordzaia D et al, Georgian National Program For Palliative Care, Action Plan for 2011 – 2015. 2011.).

დამოუკიდებლობის აღდგენის პირველსავე წლებში, საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა „კანონი ჯანდაცვის შესახებ“, „კანონი პაციენტის უფლებების შესახებ“ და „კანონი სამედიცინო საქმიანობის შესახებ“; შეიქმნა ბიოეთიკის ეროვნული საბჭო; სავალდებულო გახდა პაციენტისა და მისი ოჯახის წევრებისთვის დიაგნოზისა და პროგნოზის გაზიარება. ამდენად, ახალმა ვითარებამ განაპირობა სხვაგვარი მიდგომა გარდაცვალებისადმი, როგორც სიცოცხლის ბუნებრივი დასასრულისადმი, რომელიც საჭიროებს როგორც სამედიცინო, ასევე სულიერი კუთხით სპეციალურ პაციენტის მომზადების ხელშეწყობას, ასევე მისი ახლობლების ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას.

2007 წლიდან საქართველოში პალიატიური მზრუნველობა აღიარებულ იქნა სუბ-სპეციალობად 4 სამედიცინო დარგისთვის: „შინაგანი სნეულებები“, „ქირურგია“, „ონკოლოგია“ და „რეანიმატოლოგია/ინტენსიური თერაპია“. მოგვიანებით, 2014 წელს ამ სპეციალობათა ნუსხა გაიზარდა 11-მდე (<https://matsne.gov.ge/en/document/view/70162>. Accessed 21 June 2016). პალიატიურ

მზრუნველობაში საგანმანათლებლო/ტრენინგ კურსების განხორციელების მიზანი იყო, განევითარებინა უფრო ჰოლისტური მიდგომა მომკვდავი პაციენტების მზრუნველობის მიმართ ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სოციალური და სულიერი საჭიროებების გათვალისწინებით. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში პალიატიური მზრუნველობის კონცეფციების ტრენინგების დანერგვა სულ უფრო ფართოდ ხდება, მედიცინის ბევრი მიმართულება და სპეციალობა, ინტენსიური თერაპიის (რეანიმატოლოგიის) ჩათვლით, ჯერ კიდევ შორსაა პროფესიულ პრაქტიკაში მათი სრულყოფილი ინტეგრაციისთვის.

დადასტურებულია, რომ პაციენტის გარდაუვალი (მოახლოებული) სიკვდილის გაცნობიერება იწვევს ცვლილებებს, მკურნალობის სტრატეგიასა და ტაქტიკაში რაც მოიცავს მკურნალობის მიზნების გადახედვას (დაზუსტებას), ოჯახის წევრებთან კომუნიკაციის გაუმჯობესებას, პაციენტებთან მეტი დროის გატარებას და უფრო ნაკლები ლაბორატორიული კვლევების დანიშნავს (Johnson DC et al, 2003). თუმცა, უკანასკნელმა კვლევამ, რომელიც ჩატარდა 2009-2010 წლებში საქართველოს 2 ქალაქში (თბილისსა და ბათუმში) აჩვენა, რომ ქართველი ექიმების დიდი რიცხვი, განსაკუთრებით ინტენსიური თერაპიის/კრიტიკული მედიცინის განყოფილებებში, პალიატიურ მზრუნველობაში მათი მწირი ცოდნის გამო, თავიანთ სამედიცინო პრაქტიკაში ბოლომდე ერთგულობენ „ტრადიციულ“ მიზნებს, რაც გულისხმობს თვით უიმედო პაციენტის „განკურნებას“ ან „სიკვდილის გადავადებას“ (Rukhadze T. et al, Report of Survey funded by “Open Society – Georgia Foundation”(unpublished data) 2010). ამან შეიძლება გამოიწვიოს პაციენტების და მათი ოჯახის წევრების უფრო ჰოლისტური საჭიროებების უგულებელყოფა ან დაკმაყოფილების გარეშე დარჩენა.

კიბოს ბოლო სტადიაზე მყოფი 200 პაციენტიდან 29 მათგანმა (14.5%) გაატარა უკანასკნელი დღეები და საათები ინტენსიური თერაპიის პალატაში (რეანიმაციაში). ამ პაციენტების ნახევარზე მეტის ოჯახის წევრები აღნიშნავდნენ სხვადასხვა სახის ჩივილებს პაციენტების მზრუნველობასთან დაკავშირებით და უკმაყოფილონი იყვნენ სამედიცინო პერსონალთან კომუნიკაციის ხარისხით.

2. პაციენტების ოჯახის წევრები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ კიბოს ბოლო სტადიაზე მყოფი პაციენტის კრიტიკული და ინტენსიური თერაპიის (რეანიმაციის) განყოფილებებში გადაყვანის გადაწყვეტილების მიღებაში. ეს გადაწყვეტილებები ნაწილობრივ განპირობებულია იმით, რომ მათ არ იციან თავიანთი ახლობელის ტერმინალური მდგომარეობის შესახებ და აქვთ „გარდაცვალების გადავადების“ მტკიცე იმედით (Rukhadze T. et al, Report of Survey funded by “Open Society – Georgia Foundation”(unpublished data) 2010). იმის გამო, რომ კიბოთი დაავადებული პაციენტების დიდ ნაწილს, რომლებიც კვდებიან კრიტიკული/ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში (რეანიმაციაში), ხშირად აღენიშნებათ ცნობიერების შეცვლილი დონე (კოგნიტური ფუნქციის დაქვეითება და/ან შეცვლილი მენტალური სტატუსი, სტუპორი ან კომა), მათი ოჯახის წევრები წარმოადგენენ სუროგატ გადაწყვეტილების მიმღებებს (Luce JM., 2010). ამის გამო, ექიმებსა და ტერმინალური პაციენტის ოჯახის წევრებს შორის კარგი კომუნიკაცია, ხშირად გადამწყვეტი მნიშვნელობისაა საუკეთესო ჰოლისტური მზრუნველობის უზრუნველყოფისთვის (Johnson DC et al, 2003).

აშშ-სა და დიდ ბრიტანეთში უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა პალატიური მზრუნველობის კომპეტენციების გაუმჯობესების და/ან განვითარების მნიშვნელობა კრიტიკული/ინტენსიური თერაპიის განყოფილებებში (Morgan J., 2008; Truog RD et al, 2008). ეს გულისხმობს, ერთი მხრივ, სიმპტომების კონტროლის, ტკივილის გაყუჩების და მაქსიმალური ფიზიკური კომფორტის უზრუნველყოფის სტანდარტებს, ხოლო მეორე მხრივ, ჰუმანისტური მიზნების, ეთიკური და ფსიქოლოგიური მხარდაჭერის უზრუნველყოფას პაციენტებისა და მათი ოჯახის წევრებისთვის. ამავდროულად, პალატიური მზრუნველობის მიდგომების განხორციელება ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში დაკავშირებულია სიძნელეებთან, რაც პირველ რიგში უკავშირდება სამკურნალო მიდგომიდან სიკვდილისთვის მზადებაზე უეცარი გადართვის პროცესს, რაც, თავის მხრივ, შესაძლებელია, რამოდენიმე საათიდან რამოდენიმე კვირამდე გაგრძელდეს (Truog RD et al, 2001). თუ მეორის პირობებში (რამოდენიმე

კვირა), ექიმებსა და პაციენტის ოჯახის წევრებს აქვთ დრო მკურნალობის სტრატეგიის პალატიური მზრუნველობით ჩანაცვლებისადმი ადაპტაციისათვის, პირველის პირობებში (რამოდენიმე საათი) პროცესი სტრესულად მიმდინარეობს. ასეთ ვითარებაში ოჯახის წევრებთან კომუნიკაციის ხარისხი კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს (Johnson DC et al, 2003).

საქართველოს ოთხ ქალაქში ჩატარებულმა კვლევამ გამოავლინა ინტენსიური თერაპიის (რეანიმაციის) განყოფილებაში მომუშავე ექიმებისა და ამავე განყოფილებაში სერვის-მიღებული ქრონიკული ინკურაბელური დაავადებებით შეპყრობილი პაციენტების ოჯახის წევრების შეხედულებებს შორის შეუსაბამობა კომუნიკაციის საკითხებთან დაკავშირებით, როგორცაა მაგ. პაციენტის მდგომარეობის სავარაუდო გაუარესება, მომავალი მკურნალობის გეგმა, როგორ შეიძლება მოხდეს გარდაცვალება, პაციენტის სულიერი დამოკიდებულებების და რელიგიურობის პატივისცემა. პაციენტების ოჯახის წევრების მხოლოდ ერთი მეოთხედი (23.7%) იყო კმაყოფილი კომუნიკაციის დონით. მათი უკმაყოფილების მიზეზი იყო მათივე საჭიროებების და მოთხოვნების (მოთხოვნილებების) არასათანადო პატივისცემა (უგულებელყოფა). ამისგან განსხვავებით, ექიმების 78.5% აფასებდა პაციენტების ოჯახის წევრებთან საკუთარი კომუნიკაციის დონეს დადებითად.

ეს შეუსაბამობა მიუთითებს შემდეგზე: იმისათვის, რომ მოხდეს საუკეთესო მზრუნველობის უზრუნველყოფა ქრონიკული ინკურაბელური პაციენტებისა და მათი ოჯახის წევრებისთვის მაქსიმალურად ჰოლისტური გზით, ინტენსიური თერაპიის (რეანიმაციის) განყოფილების ექიმებს უნდა ჰქონდეთ როგორც შესაბამისი კლინიკური ცოდნა და უნარ-ჩვევები, ასევე პაციენტებსა და მათი ოჯახის წევრებთან ეფექტური კომუნიკაციის უნარი.

შესამჩნევი შეუსაბამობა ერთიდაიგივე კითხვებზე პასუხებს შორის, ასევე კომუნიკაციის დონის განსხვავებული შეფასება ექიმებისა და პაციენტების ოჯახის წევრების მიერ, მიუთითებს საგანმანათლებლო ჩარევის მნიშვნელოვან პოტენციურ სამიზნეობზე, რაც მოიცავს ინტენსიური თერაპიის (რეანიმაციის) ექიმებს, რომელთა

სწავლებაც შესაძლებელია მოხდეს პალიატიურ მზრუნველობაში ონლაინ-ტრენინგის მოდულებით.

სიცოცხლის ლიმიტირებული ხანგრძლივობის გამაცნობიერებელ ისეთი "ჯანმრთელი" ხანდაზმული (85 წლისა და მეტი ასაკის) პირების ცხოვრების მიწურულის მოთხოვნილებებისა და დამოკიდებულებების გამოკვლევა და სისტემატიზაცია, რომელთა მენტალური მდგომარეობაც ადეკვატურია.

ჩვენს მიერ გამოკვლეულია 85 წლის და მეტი ხნის 20 მოხუცი, რომლებიც ინარჩუნებენ სოციალურ აქტივობას, ამასთანავე, აცნობიერებენ დარჩენილი სიცოცხლის ხანგრძლივობის ლიმიტურობას.

დასმული იქნა სამი კითხვა: "რას გვეტყვით თქვენს ცხოვრებაზე?" "რომ შეიძლებოდა რას შეცვლიდით თქვენს წარსულ ცხოვრებაში?" და "რას გეგმავთ სამომავლოდ?".

განხორციელდა ინტერვიუების აუდიოკასეტებიდან ტრანსკრიპტი და კოდირება. თითოეული ინტერვიუს მეტ-ნაკლებად დამოუკიდებელი ფრაგმენტი ფასდებოდა აბრაამ მასლოუს "ადამიანის მოთხოვნილებათა იერარქიასთან" შესაბამისობაში და თავსდებოდა მასლოუს ხუთსაფეხურიანი პირამიდის შესაბამის დონეზე (დეტალურად იხილეთ თავში „მასალა და მეთოდები“.

შევჩერდეთ ამ პირამიდაზე:



მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში გამოჩენილმა ამერიკელმა ფსიქოლოგმა აბრაჰამ მასლოუმ ეგრეთწოდებული "ადამიანის მოთხოვნილებების პირამიდა" შექმნა, რომელიც ეყრდნობოდა მრავალრიცხოვან ფსიქოლოგიურ კვლევებს.

ამ "პირამიდაში" მან დონეების მიხედვით დაალაგა ადამიანის მოთხოვნილებები. "პირამიდის" ქვედა დონეზე განთავსებულია - ფიზიოლოგიური მოთხოვნილებები, რომლის გარეშეც ადამიანის ბიოლოგიური არსებობა შეუძლებელია, შემდეგ კი მოდის სპექტრი სოციალური ტიპის მოთხოვნილებებიდან - პიროვნულ, სულიერ და შემეცნებით მოთხოვნილებებამდე.

ფიზიოლოგიური მოთხოვნილებები (ფიზიკური გადარჩენა) - თანდაყოლილი და ნიშანდობლივია ყველა ადამიანისთვის, ასეთ მოთხოვნილებებში შედის საკვები, წყალი, სამოსი, სექსი (შთამომავლობის გაგრძელება).

უსაფრთხოებისა და დაცულობის მოთხოვნილებები ჩნდება მას შემდეგ, რაც დაკმაყოფილებულია ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებათა არანაკლებ 85%.

სოციალური მოთხოვნილებები (მეგობრობის, ოჯახის, სიყვარულის, სამსახურის) ჩნდება იმ შემთხვევაში, როდესაც დაკმაყოფილებულია უსაფრთხოების მოთხოვნილების 70%.

იმისათვის, რომ ადამიანს გაუჩნდეს **პატივისცემისა და აღიარების მოთხოვნილება**, რომელიც თავისთავში გულისხმობს განსაზღვრულ სათანადო სოციალურ სტატუსამდე და დამოუკიდებელ ქმედებებამდე მიღწევას, სოციალური მოთხოვნილებები 70%-მდე უნდა ჰქონდეს დაკმაყოფილებული.

თავმოყვარეობის 60%-ის დაკმაყოფილებისას, ადამიანში ჩნდება **თვითაქტუალიზაციის, თვითგამოხატვის, საკუთარი შემოქმედებითი პოტენციალის რეალიზაციის მოთხოვნილება**. თვითრეალიზაციის 40%-ის მიღწევისას ადამიანი უკვე ბედნიერად გრძნობს თავს. თუმცა ამ დონეს, დედამიწის მოსახლეობის მხოლოდ 1-4% თუ აღწევს.

მიღებული მონაცემები დაექვემდებარა სტატისტიკურ ანალიზს.

არსებული 20 ინტერვიუს ანალიზისას გამოყოფილ იქნა სულ 169 ფრაგმენტი. ცალკეულ ინტერვიუებში შეფასებულ ფრაგმენტთა რაოდენობა

ვარირებდა 2-დან 17-მდე. მასლოუს პირამიდის პირველ საფეხურზე (ფიზიკური გადარჩენა) განთავსდა 6 ფრაგმენტი (3. 56 %), მეორეზე (უსაფრთხოება და დაცულობა) - 31 (18.3 %), მესამეზე (სოციალური მოთხოვნილებები) - 68 (40.2 %), მეოთხეზე (აღიარება, პატივისცემა) - 58 (34.3 %), ხოლო მეხუთე საფეხურზე (თვითრეალიზაცია) - 6 (3.5 %).

წარმოდგენილი გასაშუალოებული მონაცემების განაწილების შედარება თითოეული პაციენტის შესაბამისი მონაცემების განაწილებასთან არ ცდება დევიაციის დასაშვებ ზღვარს და ადასტურებს გასაშუალოებული მონაცემების ვალიდურობას.

ამდენად, 85 წელს გადაცილებულ მოხუცებში, რომლებიც აცნობიერებენ დარჩენილი სიცოცხლის ხანგრძლივობის ლიმიტურობას, მაგრამ ინარჩუნებენ სოციალურ აქტივობას, ცალსახად ჭარბობს სოციალური ურთიერთობისა და პატივისცემის მოთხოვნილება. ამასთანავე, ამ მოთხოვნილებათა სპექტრი ფართოა, მესამე საფეხურზე წარმოდგენილია 1-5, ხოლო მეოთხე საფეხურზე 1-4 ნომინაციით.

ცხრილში წარმოდგენილია ინტერვიუთა იმ ფრაგმენტების ნიმუშები, რომლებიც შეფასდა როგორც მე-3, მე-4 და მე-5 დონეების შესაბამისი (ცხრილი 8):

ცხრილი 8: მასლოუს მოთხოვნილებათა / ღირებულებათა იერარქიის მე-3, მე-4 და მე-5 დონეების შესაბამისი ფრაგმენტების ნიმუშები.

კოდი	პირამიდის მესამე დონე
ქ/85	ორი წლის მერე ჩემი მეუღლე თბილისში გადმოიყვანეს, მეც გადმოვედი. ასე ვთქვათ, მისი სამსახურის ჭკუაზე დავდიოდი. სადაც გადაიყვანდნენ მეც იქით მივდიოდი. თბილისში თავიდან 3 წელი ვიყავით, მერე ერთი წლით გორში გადაიყვანეს, მერე ისევ თბილისში დააბრუნეს და დღემდე აქ ვცხოვრობთ. მე თავიდან სკოლაში დავიწყე მუშაობა ფილოლოგად, დაახლოებით 12 წელი ვიმუშავე. შემდეგ თავი

	დავანებე და მას მერე მოსწავლეებს კერძოდ ვამზადებ ქართულ ენასა და ლიტერატურაში. მყავს სამი შვილი, ორი გოგო და ერთი ბიჭი, ოთხი შვილიშვილი და სამი შვილთაშვილი. ჩემთვის ამათზე დიდი განძი და მონაპოვარი ამ ცხოვრებაში არ არსებობს. ამათ რომ ვუყურებ, ვიძახი რომ ჩემს ცხოვრებას ფუჭად არ ჩაუვლია-თქო.
კ/90	დედა უაღრესად სათნო ქალი იყო, განათლებული, წერა-კითხვა დედამ მასწავლა. მახსოვს ლოცვებს მიკითხავდა ხოლმე. ისე ლოგინში დაწოლა მეკრძალებოდა. ყოველი სადილობის წინაც დედა სანთელს ანთებდა და ისე ვჯდებოდით სუფრასთან. კომუნისტების დროს ეს ტრადიცია თითქოს მიივიწყა, მაგრამ დღესასწაულებზე დედა აუცილებლად იმეორებდა იგივე რიტუალს. მახსოვს აღდგომის დღესასწაულზე, როგორ ემზადებოდა სააღდგომოდ. იყალთოს ეკლესიაში მოვდიოდით ხოლმე და იქ ვხვდებოდით აღდგომას. რატომღაც ყველაზე ნათლად ბავშვობიდან ეს მოგონებები მიტრიალებს თავში. მერე იყო მედ ინსტიტუტი. კარგი სტუდენტი ვიყავი ძალიან, მთლად ფრიადზე არ დამიმთავრებია ინსტიტუტი, მაგრამ ჩემი საქმე ძალიან მიყვარდა. სტუდენტობის პერიოდში გავიცანი ჩემი მეუღლეც, ულამაზესი გოგო იყო, ეხლაც შერჩენილი აქვს ხომ უყურებ იმ სილამაზის კვალი. ეს რომ არა ამ ხნობამდე რა მაცოცხლებდა. მთელი ცხოვრებაა მივლის. მე საკმაოდ მძიმე ხასიათები მქონდა, განსაკუთრებით სიმთვრალეში კახურად ვუბერავდი ხოლმე მაგრამ ეს ქალი სულ მაშოშმინებდა, ექიმ კაცს ეგრე მოქცევა არ გეკადრებოდა და მეც ვუჯერებდი ხოლმე.
ქ/89	ასე მგონია, რომ ბავშვობიდან ერთად ვართ, სიმართლე გითხრა ამის გარეშე განვლილი ცხოვრება კარგად არც მახსენდება, არ მახსოვს და მომკალი. ბევრჯერ მაბრაზებდა ჯეელობაში ეს კაცი, მაგრამ იმდენი კარგი თვისება ჰქონდა, რომ ვითმენდი, აბა ეხლანდელელებით წინ და უკან კი არ გავრბოდი დედასთან. რამდენჯერაც ქმარი გააბრაზებთ უკან რომ გარბიან. დაიმახსოვრე შვილო, ოჯახი ციხე სიმაგრესავით უნდა დაიცვა, ეხლა ჩემი ტყუილიც დაიჯერება, იმდენი ცხოვრება გამივლია. 3

	შვილი გავზარდე და ძალიან ვამაყობ ისეთი შვილები გაიზარდნენ, 3 ბიჭის გაზრდა ადვილი არ არის. სამაგალითო კაცები არიან. ხან წკეპლით დავდევი, ხან დავუყვავებდი, ბევრი ღამე მითენებია ამათზე დარდით, მაგრამ ჩიტი ბრდღუნად ღირდა.
კ/93	როცა სახლში ვბრუნდებოდი, დედა მიბრაზდებოდა სად ხარ აქამდეო, მაგრამ შუალამემდე მაინც გარეთ ვიყავი. მიუხედავად იმისა რომ დიდ დროს გარეთ ვატარებდი, ცუდი საქმე არასდროს ჩამიდენია. 38 წლის ვიყავი ცოლი რომ შევირთე. 2 შვილი გვეყოლა, ეხლა ერთი ცოცხალი აღარ არის, იმან დამაბერა. რაზე მოგიყვე არც ვიცი, დიდად საინტერესო ცხოვრება არ მქონდა. მათემატიკის მასწავლებლად ვმუშაობდი მთელი ცხოვრება. მე მგონი კარგი მასწავლებელი ვიყავი. ბავშვს უსამართლოდ არასდროს მოჰქცევია. ყოველთვის ვცდილობდი სიკეთე მესწავლებინა მოსწავლეებისთვის. მეტს ვერაფერს გეტყვი, შეუძლოდ ვარ, თირკმელები მაწუხებს თანაც აღარაფერი მახსენდება.
ქ/89	ვცხოვრობ შვილიშვილთან და რძალთან ერთად. ისეთი კარგი რძალი მყავს, სხვათაშორის ისიც მეგრელია, სამომავლო გეგმებში სიმართლე გითხრათ ამდენი უარყოფითი ინფორმაციის შემხედვარე სიცოცხლე არ მინდა, ტელევიზორის ჩართვა და ყურება შემაზიზღეს.
კ/85	სკოლის პერიოდში გავიცანი ჩემი მომავალი მეუღლე. ერთმანეთს პირობა მივეცით, რომ სანამ ჩავაბარებდით და უმაღლესში არ მოვეწყობოდით ოჯახს არ შევექმნიდით. გერმანულ ფილოლოგიაზე მინდოდა ჩაბარება, მაგრამ ქულები არ მეყო და გადავწყვიტეთ ერთად გვესწავლა ზოოვეტერინარულზე. ჩემთვის ცოტა ძნელი იყო რადიკალურად განსხვავებული პროფესიის დაუფლება, მაგრამ ჩემი ცხოველებისადმი დიდი სიყვარული დამეხმარა ეს დამეძლია. ქირურგიული ჩარევა მაინც ვერ შევძელი და მსგავს შემთხვევებზე ჩემს მეუღლეს ვიხმარებდი ხოლმე. სწავლის დამთავრების შემდეგ სოფ. დიდმუხაში გამანაწილეს. ჩემი მეუღლე ჩემთან ახლოს სოფ. ავრანევში იყო განაწილებული.

კ/90	არაფერს არ შევცვლიდი. რომ დავბრუნდე ეხლა იმ დროში, ისევ ისე ვიქნებოდი. იმიტომ, რომ ძალიან ბევრი რამე ვნახე, ამ 90 წელში მოხდა ყველაფერი. ახალი სახელმწიფო ჩამოყალიბდა, მერე არეულობა, მერე დაჭერები და თავ-პირის მტვრევა ხალხის, მერე კოლექტივიზაცია და მთელი ამბები. მერე მოგება ომის. შევცვლიდი რა, მაინც ექიმი ვიქნებოდი მე. მაგრამ პირად ცხოვრებას შევცვლიდი ცოტას, იმიტომ რომ ცოტას ჩემზეც ვიფიქრებდი. პირადულ ამბავზე არასოდეს არ მიფიქრია. მე ცოლი გვიან შევირთე და ისიც მომიკვდა. 2 წელიწადია მარტო ვარ. ძალიან დიდხანს ვიცნობდით ერთმანეთს, მაგრამ ძირითადად ჩემს საქმეზე ვიყავი გადართული. გვიან დავკორწინდი, 60 წლის ვიყავი და შვილიც აღარ გაგვიჩნდა
კ/86	1945 წლიდან - 2010 წლამდე უწყვეტი სტაჟი მქონდა. ბავშვების, დიდი სიყვარულის მიუხედავად, ასაკის გათვალისწინებით გადავწყვიტე ჩემი დიდი სიყვარული შვილიშვილებისთვის გამენაწილებინა. მყავს ოთხი შვილი, 10 შვილიშვილი და 2 შვილთაშვილი. უბედნიერესი ვარ როცა ისინი ყველანი ერთად იკრიბებიან ჩემთან. მათ როცა ვუყურებ გულში გავიფიქრებ ხოლმე, რომ ცხოვრებას ფუჭად არ ჩაუვლია. ჩემი ერთი დღე ჩვეულებრივია, როგორც სოფლის ერთ-ერთ გლეხკაცს შეეფერება, მაგრამ ყოველთვის გამოვინახავ დროს წიგნისთვის და ბავშვებისთვის, რომლებთანაც საუბარი სხვადასხვა თემებზე დიდი სიხარულით მაცხებს.
კ/89	ჩვენ პლენხანოვზე იტალიურ ეზოში სარდაფში ვცხოვრობდით. მახსოვს საშინელი ნესტი იყო იმ სარდაფში. დაახლოებით 8 წლის ვიყავი რომ მამამ “ატსტუპნოით” ბინა აიღო ვორონცოვზე და იქ გადავედით მე, დედა და მამა საცხოვრებლად. ერთი პატარა ოთახი იყო, მაგრამ ნესტი აღარ იყო რაც მთავარია და მზის შუქი შემოდის ფანჯარაში და დედაც აღარ წუწუნებდა, ბავშვს ჭლექი დაემართებაო. ისე სარდაფში გატარებულმა წლებმა კვალი მაინც დამიტოვა, 27 წლის ასაკში პლევრიტი დამემართა და ძლივს გადავურჩი სიკვდილს, აბასთუმანშიც ვმკურნალობდი, ომშიც არ წამიყვანეს სუსტი ფილტვების და

	ჯანმრთელობის გამო. სამაგიეროდ ჩემი ძმა რომელიც ჩემზე უფროსი იყო წავიდა ომში და ქერჩში დაიღუპა.
ქ/85	ჩემი მეუღლე სკოლაში ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა. სასიყვარულო წერილები და თაიგულები ყოველდღე არ წყდებოდა. ფილოლოგს ენაწყლიანობა არ უჭირდა და იმდენად გამაბრუა თავისი სიტყვებით მგონი დღემდე ასე ვარ. გათხოვების მიუხედავად მუშაობისთვის თავი არ დამინებებია. ერთად დავდიოდით ყველგან, მათ შორის სკოლაშიც. ყველაფერში ვეხმარებოდით ერთმანეთს, სკოლაც ერთად დავტოვეთ. ჩემი დღე შვილიშვილებით იწყება და მათით მთავრდება. ისინი დიდ სიხარულს და ბედნიერებას გვანიჭებენ.
ქ/90	17 წლის ვიყავი დედა რომ გარდამეცვალა. უმცროსი და თბილისში წამოვიყვანე და მე ვზრდიდი. ორ წელიწადში უმცროსი ძმაც წამოვიყვანე რადგან მამაჩემმა ცოლი მოიყვანა და დედინაცვალი ძალიან ცუდად ექცეოდა. თბილისში ქირით ვცხოვრობდი ბეჟანიშვილის ქალთან, რომელიც მარტოხელა ქალი იყო. როგორც დედა-შვილი ისე ვიყავით. ბოლომდე ვუპატრონე, რომ გარდაიცვალა მე და ჩემმა შვილებმა დავიტირეთ. ჩემს და-ძმას ამ ქალს ვუტოვებდი, როცა სასწავლებელში მივდიოდი.

კოდი	პირამიდის მეოთხე დონე
ქ/88	მე ბედნიერად ვგრძნობ თავს რომ მქონდა საშუალება მემუშავა იმ სფეროში, რომელიც ძალიან მომწონდა. ეს პროფესია ძალიან შევისისხლბორცე. ასაკი საკმაოდ დიდი მაქვს, მაგრამ მაინც ვმუშაობ. საპატრიარქოს ქართულ უნივერსიტეტში მიმართულება ჩამოვაყალიბე, „.....“ და იქაც მიდის მუშაობა. ეხლახანს ძალიან დიდი აღიარება მოვიპოვე. დამაჯილდოვეს საქართველოს ეკლესიის უმაღლესი ორდენით, წმინდა გიორგის ოქროს ორდენით. ჩემთვის ძალიან დიდი პატივია ეს, თვითონ პატრიარქმა გადმომცა ორდენი. ასე, რომ მაინც ვაგრძელებთ

	მუშაობას.ეხლა კიდევ გვაქვს იმედი. ახალი მთავრობა აყენებს საკითხს, რომ განვითარდეს მეცნიერება და ჩვენც ამისთვის ვემზადებით. ასე, რომ ხელი არა გვაქვს ჩაქნეული. ასპარეზი დიდი გვაქვს, საშუალება არის, პერსპექტივა არის და ასე, რომ იმედი გვაქვს მომავლის.
კ/88	ქორეოგრაფიულ სტუდიაშიც დავდიოდი პარალელურად. მეორე კურსზე ვიყავი მაშინ, 44 წელში, როცა ილიკო სუხიშვილმა დაიწყო ანსამბლის გაკეთება. ილიკოს სულ უნდოდა ანსამბლის შექმნა. როგორც, მაისევის ანსამბლი იყოს რუსეთში და ჩვენთან არაფერი იყოსო? და სტუდიელი ხალხი, 8 გოგო და 16 ბიჭი შეგვკრიბა 44 წელში და დავიწყეთ რეპეტიციები ფილარმონიაში პლენანოვზე. ახლა რომ კომპოზიტორთა სახლია იმის გვერდზე იყო ფილარმონია. თუ ვინმე ინტელიგენტის ნახვა გინდოდა, იქ ნახავდი ბაღში. მუსხელიშვილი, კონსტანტინე გამსახურდია და ა.შ. პირველ რეპეტიციაზე ვიდექით 4 გოგო და 8 ბიჭი. ნელნელა გავხდით 16 ბიჭი და 8 გოგო. მე-9 წინა იყო და მე-17 ილიკო სუხიშვილი. ერთი თვე და რაღაც დღეები ვიყავით და გამოგვყარეს. მერე გადავედით სარეპეტიციოდ ბერიას კლუბში. ილიკომ გააკეთა ნაცნობობით. ერთი 20 დღე ვიყავით იქ. მერე გამოგვყარეს იქიდანაც. წამოვედით იქიდან და ბესიკის ქუჩაზე იყო მილიციის კლუბი. ანსამბლი ჰყავდა მილიციას და იმის ხელმძღვანელს ილიკო იცნობდა კარგად. ხოდა იმან შეგვიკედლა. შეგვიკედლა და 2 თვის შემდეგ ჩვენი გულისათვის კინალამ მაგიც მოხსნეს იქიდან. წამოვედით იქიდანაც. დინამოს სტადიონი მაშინ არ იყო, 2 იარუსი იყო მარტო. იქ ერთი ოთახი მოგვცეს რაღაცა. წინა რამიშვილის ძმა იყო ფეხბურთელი, იმან ჩავვიწყო საქმე და მოგვცეს ერთი ოთახი სარეპეტიციოდ. ერთი-ორი თვე ვიყავით იქა და იქიდანაც გამოგვყარეს. 5-ჯერ დავგვშალეს მოკლედ. ჩვენ თვითონ ვყიდულობდით ჩუსტებს, ტანსაცმელს. მე მაგალითად ნოხი გავიტანე სახლიდან და გავყიდე, ილიკომ მანქანა გაყიდა. მერე თანდათან შემოგვემატნენ და გავხდით 40 კაცი. უკვე დაემსგავსა რაღაცას. ეხლა ერისიონი სადაც არის რუსთაველზე, ზაქროს დარბაზი იყო მანდ, ილიკოს მეგობარი იყო და იქ გადავედით მერე სარეპეტიციოდ. იქ გვქონდა რეპეტიციები.

ქ/89	შევცლა რომ შეიძლებოდა რამის რას ვიზავდი და ჯანს დავზოგავდი. ფერ უმარილსაც წავისმევდი ეხლა რო იმახის ეს კაცი ნაოჭები აქვს-ნაკლები ნაოჭები მექნებოდა. აქეთ იქაც ნაკლებს ირბენდა და მეტ პატივსაც მცემდა ალბათ.
კ/90	დღემდე მაკითხავენ ხოლმე მადლიერი პაციენტები. ჩემი პროფესია ძალიან მიყვარს მე მგონი წელანაც გითხარი, მგონია რომ ამაზე კარგი საქმე დუნიაზე არ არსებობს. ისე ჩემ ცოლსაც აუღეთ ინტერვიუ, ჩემი დედაკაცი უფრო მჭერმეტყველია ხო იცი ქალებს გრძელი ენა აქვთ. რას შევცვლიდი და ქალს შევცვლიდი რო შემემლოს მაგრამ გვიან როა? ეხლა მე მგონი ამასაც აღარ ვუნდივარ და სხვა დედაკაცს რაღაში დავჭირდები :) მე და ჩემ ქალს ცივ ნიავს არ გვაკარებენ, დაჟე გაზეთებიც კი მოაქვთ ყოველ კვირა. ერთი გაზეთი მთელი კვირა გვყოფნის მე და ჩემ ქალსა. ქალი ვეღარ ხედავს მე კიდევ კარგად ვკითხულობ და ყოველ საღამო ვუკითხავ ახალ-ახალ ამბებს. ხან პოლიტიკაზე ხან ლიტერატურაზე და ხანაც რაზე აღარ.
კ/85	ჩემი პირველი მგზავრობა საზღვარგარეთ იწყება იტალიიდან, შემდეგ ვიყავი კანადაში, მერე იაპონიაში. მე პირველი ქართველი ვიყავი ალბათ ომის შემდეგ იაპონიაში რომ მოვხვდი. მერე ვიყავი ბერლინში. ბერლინი იყო ჩემი ქალაქი რა... ძალიან ხშირად დავდიოდი. ასევე პარიზში, ლუბლიანაში. არსად არ იყო ბარიერი აღარ მახსოვს ბოლოს როდის ვიყავი. მგონი 80 წლის იუბილე რომ გადამიხადეს. არა, არა მერე კიდევ ვიყავი, რაღაც სიგელი მომცეს და მაშინ იყო ბოლო.
კ/87	შესაცვლელი ძალიან ბევრი რამეა. სამედიცინო განათლებაში მეტი ყურადღება უნდა მიექცეს საბაზისო დისციპლინებს. ამაზე ყველაფერი აგებული და თუ საბაზისო არ არის განვითარებული და არ ისწავლე სათანადო დონეზე, სხვას ვერაფერს ვეღარ ისწავლი.
კ/91	ჩემი მეუღლე მუშაობდა აქვე კათედრაზე . ჩემთვის ლამაზი და კარგი ქალი იყო, იმიტომ, რომ როგორც იტყვიან ჩემი მეუღლე ჩემი თანამებრძოლიც იყო. გერმანული და რუსული ენები კარგად

	იცოდა და ლიტერატურის მხრივ კარგად გამიადვილა მუშაობა. ვაკეთებდით ყველაფერს რისი გაკეთებაც საჭირო იყო. ბოლო წლებში ორივე პედაგოგიურ მუშაობაზე გადავდით იმიტომ რომ მეცნიერებას ხელფასი არ ქონდა ასე რო უმაღლეს სასწავლებლებში ლექციებს ვკითხულობდით ხოლმე. იმდენ ლექციას ვკითხულობდი რო პირი გაღებული მქონდა მუდამ ☺ კადრები არ ჰყავდათ და ცდილობდნენ, რაც შეიძლება მეტი და კარგი მოეწვიათ....
კ/89	კომუნისტური წეს-წყობილების დროს სოფლის მეურნეობას დიდი ყურადღება ექცეოდა. მას შემდეგ რაც სააკაშვილი მოვიდა მთავრობაში მითხრეს აღარ გვჭირდებიო და გამომიშვეს სამსახურიდან. არადა ბევრი კარგი იდეა მქონდა, ეხლაც არავის უნდა ეს შენი სოფლის მეურნეობა. დაანგრის და მოანაგავს ყველაფერი. ჩემი ლაბორატორიაც რომელსაც წლები შევალიე აღარ არსებობს. მწყდება გული უზომოდ. ერთადერთი რითიც ეხლა ვერთობი შვილთაშვილებია. ჩემ შვილიშვილ ნინუცას ტყუპები ჰყავს და ისინი მილამაზებენ ცხოვრებას. კვირის ბოლოს მოდიან ხოლმე ჩემთან სტუმრად. შეცვლით რას შეცვლიდი და ჩემი ნება რომ იყოს სოფლის მეურნეობას ავალორძინებდი საქართველოში, ერთადერთი ხსნა ქვეყნისთვის ეს არის. საქართველო უნდა გახდეს აგრარული ქვეყანა. დიდი პოტენციალი აქვს ამ ქვეყანას. სამომავლოდ მინდა რომ კიდევ რამეში გამოვადგე აქაურობას. თუ ვინმე დამიძახებს მე მზად ვარ.
ქ/87	აი, იმ საბჭოთა კავშირში განათლება იყო არაჩვეულებრივ დონეზე. ყველაფერი უფასო იყო. თეატრში წასვლა რომ ადამიანს არ შეძლებოდა ეს იყო წარმოუდგენელი. ყოველდღე რომ გევლო თეატრში ამის საშუალება სულ იყო. ეხლა სად არის, თეატრში როდის ვიყავი აღარ მახსოვს. აღარც მაინტერესებს. მაშინ არაჩვეულებრივი თეატრები გვქონდა თავისი არაჩვეულებრივი მსახიობებით. ძალიან, ძალიან დაეცა ყველაფერი. სამედიცინო მეცნიერებაც, ყველაფერი დაკნინდა. ჩვენ ძალიან მაღალ დონეზე ვიყავით და ჩვენი სკოლა, ქართული სკოლა, ცნობილი იყო მსოფლიოში. დღეს სადღაა, ყველაფერი გაანადგურეს. არაფერი აღარ არის. დღეს შესაძლებლობები მეტია, მონდომება ნაკლები. ამასაც

	თავისი მეზეზები აქვს ალბათ, უმიზეზოდ არაფერი არ ხდება. იმიტომ კი არა რომ ჩვენ კარგები ვიყავით და ეხლა ცუდები არიან, უბრალოდ შეიცვალა სიტუაცია და ისეთი მდგომარეობა ჩამოყალიბდა, როდესაც არავის არაფერი არ აინტერესებს. ჩვენ ოღონდ გაგვეკეთებინა საქმე და ფულის შოვნაზე აბსოლუტურად არავინ არ ფიქრობდა. გამორიცხული იყო. ეხლა ეს ყველაფერი სულ სხვანაირად დატრიალდა. ფულის გარეშე პირსაც კი არ გააღებენ. რა საშინელებაა ეს, წარმოუდგენელი საშინელებაა. ქართველებისთვის ეს არის დამღუპველი. უკუღმა დატრიალდა ჩვენი ბედის ბორბალი. სწრაფად იცვლება ადამიანი ძალიან ცუდისკენაც დ კარგისკენაც. ღმერთმა ქნას ისევ ყველაფერი კარგისკენ შეიცვალოს.
--	---

კოდი	პირამიდის მეხუთე დონე
კ/89	მიმართულება ფაქტობრივად მე ჩამოვაყალიბე. ეხლა ტრაზახი არ გამომივიდეს, იმერეთში იტყვიან, ტრაზახი ჭლაკვად ღირს და ჭლაკვი 10 კაპიკადო. ასე, რომ ამ მიმართულებას მე ჩავუყარე საფუძველი. ჩამოვაყალიბე განყოფილება ინსტიტუტში. საჭირო ლიტერატურა გამოვიწერე, მე მქონდა მარტო.
ქ/88	ერთმანეთის გატანა იყო, გაჭირვება და რამე არ იყო. გაჭირვებულები ხშირად მოდიოდნენ, დახმარებას ითხოვდნენ და მე სულ ვეხმარებოდი, რისი შესაძლებლობაც მქონდა. უმადური არავინ მყავდა, „კეთილ ქალს“ მეძახდნენ. ალბათ ამის გავლენაც არის რომ ამდენი ხანი მოვაღწიე და ღმერთის მადლობელი ვარ. 10 წელია რაც თბილისში ვარ, მანამდე სულ ქუთაისში ვცხოვრობდი.
კ/86	მოსკოვში მე გამაგზავნეს ოფიციალურად. მე ვიყავი საექსპერტო კომისიის თავმჯდომარე და ამისი დაცვა თავდაცვის სამინისტრომ იქ დანიშნა. ჩავედით მოსკოვში. იმ დროს ასე იყო რომ მათი საკავშირო ექსპერტები იღებდნენ მონაწილეობას იმ გამოკვლევებში, რომლებსაც ჩვენ ვატარებდით. ჩვენ ყოველდღიურად რასაც აღმოვაჩენდით, მათ ვაჩვენებდით და ჟურნალში დღის ბოლოს ხელს ვაწერინებდით. როცა ბოლოს, ქლორპიკრინის შესახებ დასკვნა გაკეთდა, ესენი ადგნენ და გაიქცნენ. მაგრამ მანამდე გაკეთებულ

	მთელი 2 თვის ანალიზებზე მათი ხელმოწერები შენახული გვქონდა. ეს დაავიწყდათ იმათ თუ რა მოხდა, რომ ასეთი ჟურნალი არსებობდა და მათ ხელი ჰქონდათ მოწერილი არ ვიცი. როდესაც პრეტენზიები დაიწყეს, მე ავდექი და ეს ჟურნალი დავუდე წინ. ამას არ მოელოდნენ.
--	--

ჩვენს მიერ, კვლევის საწყის ეტაპზე გამოკვლეული იქნა 85 წელს გადაცილებული 10 მოხუცი, რომლებიც აგრძელებენ გონებრივ მუშაობას და ინარჩუნებენ სოციალურ აქტივობას. მათგან აღებული ინტერვიუს ანალიზისას გამოყოფილ იქნა სულ 89 ფრაგმენტი. ცალკეულ ინტერვიუებში შეფასებულ ფრაგმენტთა რაოდენობა ვარიირებდა 2-დან 13-მდე. მასლოუს პირამიდის პირველ საფეხურზე (ფიზიკური გადარჩენა) განთავსდა 3 ფრაგმენტი (3. 37 %), მეორეზე (უსაფრთხოება და დაცულობა) - 15 (16.8 %), მესამეზე (სოციალური მოთხოვნილებები) - 36 (40.4 %), მეოთხეზე (აღიარება, პატივისცემა) - 30 (33.7 %), ხოლო მეხუთე საფეხურზე (თვითრეალიზაცია) - 5 (5.6 %).

ეს შედეგები წარდგენილ იქნა ევროპის პალიატიური მზრუნველობის ასოციაციის სამეცნიერო კონგრესზე, რომელიც 2014 წლის 5–7 ივნისს გაიმართა ქ. ლეიდაში (ესპანეთი) ("Perceptions of- and Attitudes towards End-of-Life Needs and Demands of Elders over 80 Years Continuing Intellectual Work in Georgia" Chikhladze N., Velijanashvili M., Kordzaia D.)

თუ ამ 10 ინტერვიუს შედეგებს შევადარებთ ზემოთ მოტანილ საბოლოო შედეგებს (20 ინტერვიუ, მათ შორის ის 10 ინტერვიუც, რომელიც აღებული იქნა კვლევის საწყის ეტაპზე), აღმოჩნდება, რომ შედეგი იდენტურია. პირამიდის საფეხურების შესაბამისად წარმოდგენილ პროცენტებში სხვაობა სარწმუნო არ არის. და ეს იმის მიუხედავად, რომ კვლევის შემდგომ ეტაპებზე გამოკითხული (ინტერვიუირებული) მოხუცები არ მიეკუთვნებოდნენ მხოლოდ გონებრივად მომუშავეთა ჯგუფს.

აქედან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ სიცოცხლის ლიმიტირებული ხანგრძლივობის გამაცნობიერებელი ხანდაზმული (85 წლისა და მეტი ასაკის) პირების ცხოვრების მიწურულის მოთხოვნილებები და დამოკიდებულებები

მეტწილად იდენტურია და მათი $\frac{3}{4}$ შეესაბამება მასლოუს პირამიდის მე-3 და მე-4 დონეებს.

ხანდაზმული ასაკი, ბუნებრივია, შერწყმულია ისეთ პათოლოგიებთან (პათოლოგიურ მდგომარეობებთან), რომლებიც ჩვენს მიერ განხილული იქნა პირველი ამოცანით განსაზღვრული პრობლემის კვლევის დროს. ამის მიუხედავად, მოხუცებში სჭარბობს **სოციალური მოთხოვნილებები** (მეგობრობის, ოჯახის, სიყვარულის) და **პატივისცემისა და აღიარების მოთხოვნილებები**.

ამდენად ამ მოთხოვნილებების გათვალისწინება, აუცილებელია მოხუცთა პალიატიური მზრუნველობის სამსახურის მოდელის შემუშავებისას. აუცილებელია ისეთი გარემოს შეთავაზება, სადაც ოჯახის წევრებს შეეძლება მათთან კომუნიკაცია, შესაძლებელი იქნება თუნდაც მინიმალური სოციალური აქტივობის რეალიზაცია. ამასთანავე, ამ კონტინგენტთან მომუშავე ექიმებმა კარგად უნდა გააცნობიერონ, რომ მოხუცებს, რომელთაც ისედაც გაცნობიერებული აქვთ დარჩენილი სიცოცხლის ლიმიტურობა, მკურნალობასა და სიმპტომთა მართვის პარალელურად სჭირდებათ განსაკუთრებული პატივისცემითა და გულისყურით მოპყრობა.

დასკვნები

1. სიმსივნით ავადმყოფ ხანდაზმულთა რაოდენობა ჩამორჩება საშუალო ასაკის ასეთსავე ავადმყოფთა რაოდენობას, თუმცა, 5-ჯერ აჭარბებს სიმსივნით დაავადებულ ახალგაზრდების რიცხვს. ხანდაზმულთა ხვედრითი წილი ყველაზე მაღალია გულ-სისხლძარღვთა, შარდ-სასქესო, სასუნთქი, თვალის და ენდოკრინული სისტემის დაავადებების მქონე ავადმყოფებს შორის (აღნიშნული დაავადებები შეადგენს ქრონიკული პათოლოგიების 89.3 %-ს), რაც გათვალისწინებული უნდა იქნას მოხუცთა პალიატიური მზრუნველობის მოდელის შექმნისას.

2. ხანდაზმულ ავადმყოფთა მკურნალობის დროს ფართოდ გამოიყენება კომპლექსური (პოლი-) თერაპია, როდესაც ექიმები ნიშნავენ სხვადასხვა სამკურნალო პრეპარატებს და სამწუხაროდ მხედველობაში არ იღებენ იმ ფაქტს, რომ ამ დროს იზრდება წამალთა ურთიერთქმედების არასასურველი რეაქციები. კვლევამ წარმოაჩინა საქართველოს საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში სრულყოფილი გერიატრიული სამსახურის - საავადმყოფოებში გერიატრიული განყოფილებების, პოლიკლინიკებში გერიატრიული კაბინეტების, ასევე მოხუცთა დღის სტაციონარებისა და ბინაზე მოვლის პალიატიური სამსახურის შექმნის აუცილებლობა.

3. საქართველოში ხანდაზმული ასაკის მოსახლეობის სრულფასოვანი სამედიცინო მომსახურების და, მათ შორის, პალიატიური მზრუნველობის ადეკვატური მოდელის დანერგვისათვის აუცილებელია სამედიცინო განათლების ყველა დონეზე ზოგადი გერონტოლოგიისა და გერიატრიის და პალიატიური მედიცინის (მზრუნველობის) სასწავლო პროგრამის დანერგვა.

4. საქართველოს ოთხ ქალაქში ჩატარებულმა კვლევამ გამოავლინა ინტენსიური თერაპიის (რეანიმაციის) განყოფილებაში მომუშავე ექიმებისა და ამავე განყოფილებაში სერვის-მიღებული ხანდაზმული პაციენტების ოჯახის წევრების შეხედულებების (შეფასებების) შეუსაბამობა მათ შორის კომუნიკაციის თაობაზე. პაციენტების ოჯახის წევრების მხოლოდ ერთი მეოთხედი (23.7%) იყო კმაყოფილი კომუნიკაციის დონით. უკმაყოფილების მთავარ მიზეზს წარმოადგენდა მათი საჭიროებების და მოთხოვნების (მოთხოვნილებების) არასათანადო გაზიარება და პატივისცემა. ამასთანავე, ექიმების 78.5% დადებითად აფასებდა პაციენტების ოჯახის წევრებთან საკუთარი კომუნიკაციის დონეს.

5. პაციენტების ოჯახის წევრთა კმაყოფილების დონე არ განისაზღვრება მხოლოდ გაწეული სამედიცინო მომსახურების შედეგით. ის მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული იმის აღქმაზე, თუ რამდენად ხორციელდება ეს მომსახურება ადეკვატური კომუნიკაციის თანხლებით, რაც ადასტურებს პაციენტისა და მისი ოჯახის წევრებისადმი მედიკოსთა პიროვნულ პატივისცემას.

6. სიცოცხლის ლიმიტირებული ხანგრძლივობის გამაცნობიერებელი ხანდაზმული (85 წლისა და მეტი ასაკის) პირების ცხოვრების მიწურულის მოთხოვნილებები და დამოკიდებულებები მეტწილად იდენტურია და მათი $\frac{3}{4}$ შეესაბამება მასლოუს პირამიდის მე-3 და მე-4 დონეებს. ამათში ცალსახად სჭარბობს სოციალური ურთიერთობის, სიყვარულისა და პატივისცემის მოთხოვნილება. ამ მოთხოვნილებების გათვალისწინება, აუცილებელია მოხუცთა პალიატიური მზრუნველობის სამსახურის მოდელის შემუშავებისას.

ლიტერატურა:

1. About the Marie Curie Delivering Choice Programme [web site]. London, Marie Curie Delivering Choice Programme, 2010 (http://deliveringchoice.mariecurie.org.uk/about_the_delivering_choice_programme)
2. Addicott R, Dewar S. Improving choice at end of life: a descriptive analysis of the impact and costs of the Marie Curie Delivering Choice Programme in Lincolnshire. London, King's Fund, 2008.
3. Addington-Hall J, Altmann D, McCarthy M. Variations by age in symptoms and dependency levels experienced by people in the last year of life, as reported by surviving family, friends and officials. *Age and ageing*. 1998;27(2):129-36.
4. Ahmad S, O'Mahony MS. Where older people die: a retrospective population-based study. *Quarterly Journal of Medicine*, 2005, 98:865–870
5. Aita, K.; Takahashi, M.; Miyata, H.; Kai, I. & Finucane, TE. (2007) Physicians' attitudes about artificial feeding in older patients with severe cognitive impairment in Japan: a qualitative study. *BMC Geriatrics*, Vol.7, (August 2007), p.22, ISSN 1471-2318
6. Akabayashi et al., 1997; Hirakawa et al., 2006b) (Akabayashi, A.; Kai, I.; Ito, K. & Tsukui, K. (1997) [The acceptability of advance directives in Japanese society: a questionnaire study for health people in the physical check-up settings]. *Journal of the Japan Association for Bioethics*, Vol.7, No.1, (September 1997), pp.31-40. (in Japanese) ISSN 1343-4063;
7. American Geriatrics Society Panel on Persistent Pain in Older Persons. The management of persistent pain in older persons. *Journal of the American Geriatrics Society*, 2002, 50(Suppl.):S205–S224 (<http://www.americangeriatrics.org/products/positionpapers/JGS5071.pdf>)
8. American Health Care Association. Testimony of the National Center for Assisted Living presented to the Institute of Medicine Committee on Improving Quality in Long Term Care, March 12, 1998. Available at: <http://www.ahca.org/brief/written.htm>
9. Anderson GF, Hussey PS. Population aging: a comparison among industrialized countries. *Health affairs*. 2000 May 1;19(3):191-203.
10. Annual report April 2007 – March 2008. London, King's College Hospital NHS Foundation Trust, King's College Hospital Palliative Care Team, 2008.
11. Kendall M, Edmonds P, Booth S. Palliative care in the acute hospital setting. Oxford, Oxford University Press, 2009.

12. Arcand M et al. Educating nursing home staff about the progression of dementia and the comfort care option: impact on family satisfaction with end-of-life care. *Journal of the American Medical Directors Association*, 2009, 10:50–55.
13. Arcand M, Caron C. Comfort care at the end of life for persons with Alzheimer's disease or other degenerative diseases of the brain. Sherbrooke, Centre de sante et de services sociaux, Institut universitaire de geriatrie de Sherbrooke, 2005 (<http://www.expertise-sante.com/guidespratiques>)
14. Arno PS, Levine C, Memmott MM. The economic value of informal caregiving. *Health Affairs*. 1999 Mar 1;18(2):182-8.
15. As a Process G. Grief and Bereavement in Pediatric Palliative Care. *Pediatric Palliative Care*. 2015 Aug 3:11.
16. Back AL, Wallace JI, Starks HE, Pearlman RA. Physician-assisted suicide and euthanasia in Washington State. Patient requests and physician responses. *JAMA*. 1996;275:919-925
17. Bailey FA et al. Improving processes of hospital care during the last hours of life. *Archives of Internal Medicine*, 2005,165:1722–1727.
18. Baltes MM, Carstensen LL. The process of successful ageing. *Ageing and society*. 1996 Jul 1;16(04):397-422.
19. Bekelman JE, Halpern SD, Blankart CR, Bynum JP, Cohen J, Fowler R et al. Comparison of Site of Death, Health Care Utilization, and Hospital Expenditures for Patients Dying With Cancer in 7 Developed Countries. *Jama*. 2016;315(3):272-83. doi:10.1001/jama.2015.18603.
20. Bentur N, Emanuel LL, Cherney N. Progress in palliative care in Israel: comparative mapping and next steps. *Israel journal of health policy research*. 2012 Feb 20;1(1):1.;
21. Bernabei R, Gambassi G, Lapane K, Landi F, Gatsonis C, Dunlop R, Lipsitz L, Steel K, Mor V, SAGE Study Group. Management of pain in elderly patients with cancer. *Jama*. 1998 Jun 17;279(23):1877-82.
22. Better Palliative Care for Older People. [<http://www.euro.who.int/document/E82933.pdf>].
23. Birch D, Draper J. A critical literature review exploring the challenges of delivering effective palliative care to older people with dementia. *Journal of clinical nursing*. 2008 May 1;17(9):1144-63.

24. Bishop CE. Where are the missing elders? The decline in nursing home use, 1985 and 1995. *Health Aff. (Millwood)* 1999;18:146-155. Zimmerman SS, Sloane PD, Eckert JK, eds. *Assisted Living Needs, Practices, and Policies in Residential Care for the Elderly*. Baltimore, MD: Johns Hopkins University Press; 2001
25. Bito, S.& Asai, A. (2007) Attitudes and behaviors of Japanese physicians concerning withholding and withdrawal of life-sustaining treatment for end-of-life patients: results from an internet survey. *BMC Medical Ethics* ,Vol.8, (June 2007), p. 7, ISSN 1472-6939
26. Blinderman CD, Cherny NI. Existential issues do not necessarily result in existential suffering: lessons from cancer patients in Israel. *Palliative medicine*. 2005 Jul 1;19(5):371-80.
27. Bolmsjo I: Review Article: End-of-Life Care for Old People: A Review of the Literature. *Am J Hosp Palliat Care* 2008, 25.
28. Bronstein JM, Jones CA. Ethics, technology, and the high cost of dying: a public form. *South Med J*. 1986;79:1485-1488
29. Brooker D, Latham I. *Person-Centred Dementia Care: Making Services Better with the VIPS Framework*. Jessica Kingsley Publishers; 2015 Nov 21.
